

# სპეციალური მასნავაზების პორტფოლიო



2021 წელი

## გზამკვდევის ავტოჩები:

ლია ქურციკიძე - ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

ბაბა კუბლაშვილი - ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ასისტენტ-პროფესორი

## გზამკვდევის კონსულტანტი:

ნათია ნიაური - სპეციალური განათლების პედაგოგი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი



მასწავლიანელთა  
პროფესიული  
განვითარების  
ეროვნული  
ცენტრი

გზამკვდევი მომზადებულია მასწავლებელთა  
პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.



# გ ზ ა მ კ ვ ე ვ ი ს ს ა ხ ჩ ე ვ ი

|  |   |
|--|---|
| ნაწილი 1 - სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს არსი და მიზანი<br>რა არის პორტფოლიო? ..... | 4 |
| რისთვის გვჭირდება სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო? .....                               | 5 |

## ნაწილი 2 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესი


|  |     |
|--|-----|
| მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება .....                                      | 8   |
| აკადემიური უნარების შეფასება .....   | 14  |
| კოგნიტური უნარების შეფასება .....  | 49  |
| კომუნიკაცია, ენა-მეტყველება .....  | 82  |
| ფიზიკური სფეროს შეფასება .....   | 89  |
| სოციალურ-ემოციური სფეროს შეფასება .....  | 92  |
| ადაპტური სფეროს შეფასება .....   | 95  |
| სპეციალური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა .....   | 97  |
| სასწავლო მიზნები და აქტივობები .....   | 99  |
| რა როლი აქვს სპეციალურ მასწავლებელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის<br>შემუშავების პროცესში? ..... | 104 |

## ნაწილი 3 - სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ანალიზი

|   |     |
|---|-----|
| სპეციალური მასწავლებლის თვითშეფასება .....        | 109 |
| სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა .....     | 112 |
| რუბრიკები .....                                   | 115 |
| სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის განრიგი ..... | 118 |

## ნაწილი 4 - სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს დამატებითი კომპონენტები

|   |     |
|---|-----|
| რა დამატებითი დოკუმენტაცია შეიძლება იყოს წარმოდგენილი სპეციალური<br>მასწავლებლის პორტფოლიოში? ..... | 124 |
| ქცევის მართვის გეგმა .....  | 125 |
| კომპლექსური დავალება .....  | 128 |
| ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა .....  | 131 |



# სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს არსი და მიზანი

## რა არის პორტფოლიო?

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლის სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო, მოსწავლის სწავლის და სწავლების პროცესის თვალსაჩინოდ ამსახველი დოკუმენტია. პორტფოლიო განკუთვნილია იმ მასწავლებლისთვის, ვისთვისაც სწავლება და სწავლა - ცხოვრების წესს, უსასრულო შემოქმედებით პროცესს, საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის სრულყოფასა და სხვისთვის გაზიარების სურვილს წარმოადგენს. განათლების სფეროში განხორციელებული მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ მასწავლებლის პორტფოლიოს წარმოება ანუ სწავლის თავისებურებების სისტემატური ანალიზი როგორც საკუთარი, ასევე მოსწავლის სწავლების პროცესის პედაგოგიური წარმატების და პროფესიული განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა.

სწავლა - სწავლების პროცესი მაშინ ხდება განსაკუთრებით საინტერესო და შემოქმედებითი, როდესაც მოსწავლე საგანმანათლებლო საჭიროებებით თანატოლებისგან განსხვავდება. პედაგოგებმა კარგად იციან, რომ მოსწავლეები, რომლებსაც სწავლის გარკვეული სირთულეები აქვთ, სასწავლო შედეგების მისაღწევად ზოგჯერ მეტ ძალისხმევასა და განსხვავებულ მიდგომას საჭიროებენ. შესაბამისად, მასწავლებლები ყოველდღიურ პრაქტიკას ქმნიან ახალი ცოდნის შეძენით, გამოცდილების დაგროვებითა და ინოვაციური სწავლების სტრატეგიების დაგეგმვით, შედეგად კი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან წარმატებას აღწევენ.

ზოგჯერ ეს გამოცდილება, სამწუხაროდ, შეუმჩნეველი რჩება და ხშირად იკარგება კიდეც. რეალურად კი შესაძლებელია მასწავლებლის გამოცდილების, გამოყენებული სწავლების სტრატეგიებისა და მიგნებების დოკუმენტირება, რაც მომავალში პედაგოგის საქმიანობის შეფასების საფუძველი გახდება. ამავე დროს, შესაძლებელია, სხვა მასწავლებლის სახელმძღვანელო მასალადაც იქცეს.

## რისთვის გვჭირდება სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო?

პრაქტიკა აჩვენებს, რომ მასწავლებლებს სასწავლო წლის განმავლობაში ძალიან ბევრი წერითი სამუშაოს შესრულება უწევთ, რაც ხშირად მათ უკმაყოფილებასა და პროტესტს იწვევს. სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესს მასწავლებლები განსაკუთრებულ გამოწვევად აღიქვამენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი აღიარებენ, რომ **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლეების სწავლების ოპტიმალური სტრატეგიების შერჩევასა და შემუშავებაში ეხმარებათ.**

სსსმ მოსწავლის სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს ფუნქციასა და დანიშნულებას ზუსტად თუ არ გავიაზრებთ, საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ იგი აღიქვან, როგორც არაფრის მომცემი, დამატებითი წერითი სამუშაო. განათლების სფეროს მკვლევრები და პრაქტიკოსი მასწავლებლები პორტფოლიოს წარმატებული პრაქტიკისთვის აუცილებელ დოკუმენტად თვლიან, რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს მასწავლებლის სწავლების მეთოდების ეფექტიანობას, ცოდნას, უნარებს, დამოკიდებულებებსა და ქცევებს. აგრეთვე იმას, თუ რამდენად ადეკვატურად პასუხობს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს სკოლის გარემოში. პროფესიული საქმიანობის თვითშეფასების მხრივ პორტფოლიო მასწავლებლისთვის შეუცვლელი ინსტრუმენტია, რადგან იგი ეხმარება და ამზადებს პედაგოგს სხვა ალტერნატიული შეფასებისთვის და ნათლად ადასტურებს მის მზარდ განვითარებას.

სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო წარმოადგენს:

- სპეციალური მასწავლებლის შეფასებისა და თვითშეფასების საშუალებას, მისი პროფესიული განვითარების მაჩვენებელს;
- პედაგოგიური რეფლექსის ინსტრუმენტს, რომლის დახმარებითაც სპეციალური მასწავლებელი პროფესიული ზრდის გზაზე საკუთარ მიღწევებს აანალიზებს;
- სპეციალური მასწავლებლის ერთგვარ “სავიზიტო ბარათს”. კადრით დაინტერესებულ პირს პორტფოლიოს დახმარებით ნათელი წარმოდგენა ექმნება მასწავლებლის საქმიანობის ხარისხისა და პროფესიული განვითარების შესახებ. როგორც წესი, პორტფოლიოს ითვალისწინებენ მასწავლებლის დასაქმების, წახალისების ან კატეგორიის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ კუთხით, პორტფოლიო პედაგოგის საქმიანობის ადეკვატური შეფასების საშუალებაა, რომელზე დაყრდნობითაც ხშირად ფასდება მასწავლებლის შესრულებული სამუშაოს ხარისხი და მისი პროფესიული კომპეტენცია.

პორტფოლიო შეუცვლელია სსსმ მოსწავლის აკადემიური თუ სოციალური მიღწევების შეფასებისთვისაც. დოკუმენტურ მასალაზე (ნამუშევრები, შემაჯამებელი წერის

ნიმუშები, მოსწავლის ნაწერი, ფოტოები და სხვა) დაყრდნობით, სასწავლო სემესტრში ორჯერ სპეციალური მასწავლებელი აფასებს მოსწავლის ცოდნას, უნარებსა და მიღწევებს, რა დროსაც ასევე ითვალისწინებს საგნის მასწავლებლის შეფასების მონაცემებს.

ეს ყოველივე საშუალებას გვაძლევს:

- საგნის მთლიან კონტექსტში დავინახოთ სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევები;
- სპეციალურმა მასწავლებელმა უზრუნველყოს ყველა მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები;
- განათლების სისტემაში შეაფასოს ინკლუზიური განათლების ეფექტიანობა, დაადგინოს სსსმ მოსწავლეთა ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურების გადალახვის ხარისხი და დრო.

ნათელია, რომ პორტფოლიო საუკეთესო საშუალებაა, დაინტერესებულ საზოგადოებას წარედგინოს სსსმ მოსწავლის და სპეციალური მასწავლებლის მიღწევები და საუკეთესო ნამუშევრები სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, პორტფოლიოს ფუნქციებია:

- სსსმ მოსწავლის მიღწევებისა და სპეციალური მასწავლებლის გამოცდილების დოკუმენტირება;
- მიღებული ცოდნის გაანალიზება და სისტემაში მოყვანა;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკულთან დაკავშირება;
- თვითგანვითარება.

წარმოდგენილი პორტფოლიო სწორედ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეების სწავლისა და მათი სწავლების პროცესის ამსახველი წერილობითი დოკუმენტია, რომელსაც ყოველი პედაგოგი ინდივიდუალურად ავსებს. იგი მასწავლებლის პერსონალური დოკუმენტია და ორ ძირითად მიმართულებად შეიძლება გავყოთ: **საკუთარ პრაქტიკასთან დაკავშირებული და კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან დაკავშირებული დოკუმენტები.**



სპეციალური მასწავლებელი იმ სსსმ მოსწავლეებთან, რომლებთანაც მისი საქმიანობაა დაკავშირებული, ქმნის და პრაქტიკაში იყენებს შემდეგ ძირითად დოკუმენტებს:

- მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერა (მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფირება)
- ინტერვენციის გეგმა
- სსსმ მოსწავლის ნამუშევრების კრებული

საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვება და რეფლექსის გზით პროფესიული უნარების, ცოდნისა და კომპეტენციების განვითარება მოითხოვს შემდეგ დოკუმენტებზე მუშაობას:

- თვითშეფასება;
- სამოქმედო გეგმა;
- რუბრიკები;
- სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ამსახველი განრიგი.

გზამკვლევში განხილულია თითოეული ზემოთ მოცემული კომპონენტი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სსსმ მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასებას.





# სპეციალური საგანმანათლებლო საქიროობის მქონე მოსწავლის სწავლის პროცესი

## მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლის პროცესში სპეციალური მასწავლებლების, მშობლებისა თუ სხვადასხვა საგნის პედაგოგისთვის მრავალი აქტუალური შეკითხვა ჩნდება. მათ შორისაა, როგორ შევძლოთ მოსწავლის ძირითადი საჭიროებების შეფასება, სწავლის საჭიროებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა ამა თუ იმ საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით იმგვარად, რომ საუკეთესოდ აღწერდეს და ახასიათებდეს მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საკვანძო საკითხია სწავლა - სწავლების პროცესში, რადგან დეტალურ და მრავალფეროვან ინფორმაციაზე დაფუძნებული შეფასების გარეშე ძნელად წარმოსადგენია მოსწავლეზე მორგებული მნიშვნელოვანი, ღირებული მიზნების დასახვა, შესაბამისი მიდგომებისა და სტრატეგიების შერჩევა.

მნიშვნელოვანია, ყურადღება დავუთმოთ შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხს, მიმოვინილოთ სხვადასხვა ტიპის შეფასება და შევძლოთ გამოვკვეთოთ სპეციალური მასწავლებლის როლი მათი განხორციელების პროცესში. შეფასების საკითხზე დისკუსიის პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვანი დაშვების გათვალისწინებაა რეკომენდებული:

- შეფასების სხვადასხვა მეთოდი განსხვავებულად ფოკუსირებს სწავლის პროცესსა და მოსწავლის უნარებზე. შესაბამისად, შეფასების მეთოდი შესაძლოა სწავლის პროცესის ხელშემწყობი, პროდუქტიული აღმოჩნდეს ან პირიქით, საზიანოც, თუ ის არასწორადაა შერჩეული.
- სწავლის ან ქცევის სირთულეები ყოველთვის გარკვეულ კონტექსტში ვლინდება. შესაბამისად, გაუმართლებელია, შეფასების განხორციელება კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. სასწავლო გარემო, სწავლის მეთოდები, რესურსები და მასალები, კურიკულუმიც კი, შეფასების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული და გააზრებული.
- მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთის მსგავსი სირთულე სწავლაში ან ქცევაში, თითოეული მათგანი ინდივიდუალურია.
- თითოეული სიტუაცია უნიკალურია, ყოველ მათგანს გადაჯრის, რეაგირების საკუთარი გზა აქვს.

მოსწავლეს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუ მას ექმნება სირთულეები სწავლაში, რაც მნიშვნელოვნად აღემატება თანატოლებში გამოვლენილ გამოწვევებს. სწავლის პროცესში წარმოქმნილი დაბრკოლებები მრავალფეროვანია და შესაძლოა, ნებისმიერი მოსწავლე აღმოჩნდეს მის წინაშე სასკოლო ცხოვრების განმავლობაში. მაგრამ, რა შემთხვევაში ხდება სწავლის სირთულე საგანმანათლებლო საჭიროებისა და დამატებითი სერვისების აუცილებლობის საწინდარი? შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც ადგენს, რამდენად განსხვავდება ამა თუ იმ მოსწავლის სწავლის შედეგი მისი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა საშუალო შედეგებისგან, ნორმაზე დაფუძნებულ მეთოდებს მიეკუთვნება. სტანდარტიზებულ ტესტში მიღებული ქულა აჩვენებს, რამდენად ახლოსაა მოსწავლის შედეგი ნორმასთან. ყურადსაღებია, რომ ტესტის ნორმირებისას ხდება ამა თუ იმ ქვეყნის, კონკრეტული ჯგუფის პოპულაციაზე მორგება. მარტივად რომ ვთქვათ, ინტელექტული ტესტში მიღებული ქულა ვერ შედარდება ამერიკულ ან ბრიტანულ მონაცემებთან, ის მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალიდური, თუ ნორმა (ქულათა განაწილება, საშუალო ქულები) დადგენილია ქართველი მოსწავლეებისთვის.

სტანდარტიზებული, ნორმაზე ორიენტირებული ინსტრუმენტები უმეტესწილად გამოიყენება დიაგნოსტირების ან/და კვლევითი მიმართულებით. საგანმანათლებლო სტატუსის თუ კონკრეტული დიაგნოზის მინიჭება სწორედ ამგვარი ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება.

საგანმანათლებლო სისტემაში სტანდარტიზებული ინსტრუმენტები შეიძლება გამოვიყენოთ, მაგალითად, ეროვნულ დონეზე მოსწავლეების წერის, კითხვის ან სხვა უნარების გასაზომად. შემდგომში ის შეიძლება შედარდეს საერთაშორისო ან სხვა ქვეყნის მოსწავლეების შედეგებს. აღსანიშნავია, რომ სტანდარტული ინსტრუმენტები არც ისე მრავლადაა ჩვენს ქვეყანაში და არსებობის შემთხვევაში მათი გამოყენება კვლევითი ან სადიაგნოსტიკო მიზნებისთვის ხდება. სწავლა - სწავლების პროცესში, უმეტესწილად, აქტიურად გამოიყენება შეფასების არაფორმალური მეთოდები, რომლებსაც გარკვეული უპირატესობა ახლავს თან.

ცხრილი 1. ფორმალური და არაფორმალური მეთოდების შედარება


| სტანდარტიზებული ინსტრუმენტები  | არაფორმალური მეთოდები  |
|--|--|
| ტესტის ადმინისტრირება მოითხოვს შესაბამის გადამზადებას, კვალიფიკაციას   | მეთოდების გამოყენება არ მოითხოვს სპეციფიკურ ტრენინგსა და გადამზადებას                |
| შედეგები რაოდენობრივი სახით მიღება, უმეტესწილად, ეს არის ქულები, რომელთა ინტერპრეტაცია დამატებით ცოდნას მოითხოვს | შედეგები შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი, აღწერითი სახის         |
| ტესტის ჩატარების, ინსტრუქციის, ქულების დათვლის და სხვა პროცედურები მკაცრად გაწერილია                             | შესაძლებელია ინსტრუქციების მოდიფიცირება და სხვადასხვა საჭიროებების მიხედვით ცვლილება |

|   |   |
|---|---|
| ინსტრუმენტის ხელხალი გამოყენება<br>მოსწავლესთან გარკვეული პერიოდის შემდეგაა<br>ვალიდური | შესაძლებელია უწყვეტი შეფასების<br>მიზნით გამოყენება, არ მოითხოვს<br>პროცედურებს შორის ინტერვალებს |
|---|---|

შეფასების სხვადასხვა მეთოდის მიმოხილვამდე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ შეფასება და სწავლა-სწავლება ერთმანეთზე გადაჯაჭვული, პარალელურად მიმდინარე, უწყვეტი პროცესებია. კვლევები აჩვენებს, რომ ხარისხიან შეფასებას ნებისმიერ სხვა ინტერვენციაზე მეტი დადებითი გავლენა აქვს მოსწავლეთა სწავლაზე<sup>1</sup>. მონაცემები ადასტურებს, რომ ხარისხიანი შეფასება სარგებლიანია ყველა მოსწავლისთვის<sup>2</sup>.

შეფასება სწავლის პროცესის მონიტორინგის საუკეთესო საშუალებაა. აღნიშნული ფრაზა კარგად ასახავს შეფასების ფუნდამენტურ მიზანს, დავადგინოთ და გავიაზროთ, თუ სად არის მიღწევის დონით მოსწავლე სწავლის იმ მომენტში, როდესაც შეფასება ხდება. შეფასება აზუსტებს, რა იცის, გაიგო და შეუძლია მოსწავლეს, ასევე გამოკვეთს, რა არის საჭირო სწავლის გაუმჯობესებისთვის. შეფასება, საუკეთესო შემთხვევაში, ციკლური პროცესია, რომელიც იწყება საჭიროებების იდენტიფიცირებით, სწავლის სტრატეგიებისა და მიღებომების შემუშავებით, მონიტორინგითა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით.

ილუსტრაცია 1. შეფასების ციკლური პროცესი



შეფასების მეთოდები ძალიან მრავალფეროვან ჯეფს წარმოადგენს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მიზნის, პროცედურებისა და მიღებული შედეგების

<sup>1</sup> Davies, A., et al. 2012. *Leading the Way to Assessment for Learning: A Practical Guide*, 2nd Edition. Connections Publishing and Bloomington, IN: Solution Tree Press.

<sup>2</sup> Wiliam, D., 2011. *Embedded Formative Assessment*. Solution Tree Press

ანალიზის შესაძლებლობებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სხვადასხვა მეთოდის მიმოხილვა.

#### ცხრილი 2. შეფასების მეთოდების აღწერა


| მეთოდი                                 | აღწერა  | მაგალითი  |
|--|---|---|
| განმსაზღვრელი<br>შეფასება              | წარმოადგენს მოსწავლის მიღწევის აღნიშვნას ქულობრივად. განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლის პროგრესისა და მიღწევის შესახებ მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ინფორმირებისთვის გამოიყენება. ჩვეულებისამებრ ქულა აღნიშნავს, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელი, კარგი ან ცუდია მოსწავლის სწავლის დონე კონკრეტულ საგანში, კურსში ან ზოგადად, სკოლაში. | <ul style="list-style-type: none"> <li>- შუალედური გამოცდები</li> <li>- ფინალური გამოცდები</li> <li>- ტესტირება</li> <li>- პროექტი (პროექტის რომელიმე კომპონენტი შეიძლება ფასდებოდეს ქულებით)</li> <li>- მოსწავლის შესრულება (დავალებები, რომელიც ფასდება ქულით)</li> </ul> |
| განმავითარებელი<br>შეფასება            | განმავითარებელი შეფასება შესაძლებელს ხდის მასწავლებელმა დაინახოს უფრო მეტი ნიუანსი და დეტალი სწავლის პროცესში. განმავითარებელი შეფასების ფოკუსი მიმართულია იმ ასპექტების, დეტალების იდენტიფიცირებაზე, რომელთა გაუმჯობესებაც სჭირდება მოსწავლეს.   | <ul style="list-style-type: none"> <li>- საკლასო პროცესის დროს დაკვირვების წარმოება</li> <li>- მოსწავლის შესრულებული დავალებების რეფლექსია</li> <li>- მოსწავლეების პასუხების ანალიზი</li> </ul>   |
| დიაგნოსტიკური<br>შეფასება              | საგანმანათლებლო კონტექსტში დიაგნოსტიკური შეფასება წინ უსწრებს სწავლის პროცესს, მისი მიზანი კი მოსწავლის დონის, მიღწევის ზუსტი დონის დადგენაა.   | <ul style="list-style-type: none"> <li>- პრეტესტი</li> <li>- შეფასების ეროვნული, სასკოლო ინსტრუმენტები</li> </ul>   |
| კურიკულუმზე<br>დაფუძნებული<br>შეფასება | კურიკულუმზე დაფუძნებული შეფასება განმავითარებელი შეფასების ფორმა, რომელიც მოსწავლის ცოდნის, უნარების აღწერას ახდენს კურიკულუმით გათვალისწინებული კომპეტენციების ფარგლებში.  |   |
| შესრულებაზე<br>დაფუძნებული<br>შეფასება | შესრულებაზე დაფუძნებული შეფასება აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს შესწავლილი მასალის შესახებ ცოდნის, უნარის დემონსტრირება. ხშირად, შეფასების ამგვარი მეთოდი მიმართულია ნასწავლის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენებისკენ.  | <ul style="list-style-type: none"> <li>შესრულების დავალებები</li> <li>მოსწავლისგან მოითხოვს:</li> <li>- კეთებას</li> <li>- დემონსტრირებას</li> <li>- დავალების შესრულებას</li> <li>- უკუკავშირს</li> <li>- მოყოლას, წერას და ა.შ.</li> </ul>                                |

|                                  |   |  |
|----------------------------------|---|--|
| <b>პორტფოლიოს<br/>შეფასება</b>   | <b>პორტფოლიო წარმოადგენს მოსწავლის<br/>შესრულებული სამუშაოს ამსახველი<br/>დოკუმენტაციის მიზანმიმართულ<br/>კოლექციას. ნიმუშები იმგვარადაა<br/>შეგროვებული, რომ იძლეოდეს<br/>მოსწავლის პროგრესის დანახვის<br/>შესაძლებლობას.</b>  | <b>პორტფოლიო შეიძლება<br/>იყოს:</b><br><b>- ვიზუალური<br/>ნამუშევრები<br/>- დდიური<br/>- ჟურნალი<br/>- ფოტო, ვიდეო, აუდიო...</b>   |
| <b>კომპიუტერული<br/>შეფასება</b> | <b>კომპიუტერის ასისტირებითი შეფასება<br/>ფართო ტერმინია, რომელიც<br/>აერთიანებს ნებისმიერ მეთოდს,<br/>რომელშიც კომპიუტერი მონაწილეობს.<br/>შეფასების ამგვარი მეთოდების<br/>გამოყენება მარტივია, ზოგავს<br/>შემფასებლის დროს და აადვილებს<br/>ნაშრომის გასწორების, ქულების<br/>გამოთვლის პროცედურებს.</b>  | <b>ქართული<br/>კონტექსტისთვის კარგად<br/>ნაცნობი კომპიუტერზე<br/>დაფუძნებული შეფასებაა<br/>CAT.</b>  |
| <b>ონლაინ შეფასება</b>           | <b>ონლაინ შეფასება განსხვავდება კომპიუტერზე დაფუძნებული<br/>შეფასებისგან და მოიაზრებს ისეთი ინსტრუმენტების, სავარჯიშოების<br/>ერთობლიობას, რომელიც შეიძლება დისტანციურად შესრულდეს.</b>   |  |
| <b>თანატოლთა<br/>შეფასება</b>    | <b>საკლასო გარემოში თანატოლთა<br/>შეფასება გავრცელებული და<br/>პოპულარული მეთოდია, რომელიც<br/>მოიაზრებს ერთი მოსწავლის მიერ სხვა<br/>მოსწავლის შეფასებას, უკუკავშირის<br/>დაბრუნებას და ასევე მიღებას.<br/>თანატოლთა შეფასება უმჯობესია<br/>განმავითარებელი შეფასების ფორმით<br/>გამოიყენებოდეს და არა<br/>განმსაზღვრელი. უმჯობესია<br/>მოსწავლეებმა ისაუბრონ ერთმანეთის<br/>ცოდნაზე და ქულებით არ შეაფასონ<br/>ერთმანეთი. ასევე,<br/>გასათვალისწინებელია, რომ<br/>თანატოლთა ეფექტიანი შეფასების<br/>განხორციელება მოითხოვს უფროსის<br/>მოდერაციას, მოსწავლეებისთვის<br/>უკუკავშირის მიწოდების ფორმების<br/>სწავლებას.</b> | <b>შეფასების „იარაღი“<br/>შეიძლება ძალიან<br/>მრავალფეროვანი იყოს,<br/>მაგალითად:</b><br><b>- წინადადების<br/>დასრულება<br/>- ლაიკერტის ტიპის<br/>სკალა (მაგალითად,<br/>ქულების მინიჭება<br/>სკალაზე, სადაც 5 =<br/>მოსწავლემ ძალიან<br/>საინტერესოდ გადმოსცა<br/>მოთხოვთ, 1 =<br/>გაუჭირდა მოთხოვთის<br/>გადმოცემა)</b><br><b>- ჩეკლისტები<br/>- კითხვარები<br/>- რუბრიკები</b> |

|  |  |  |
|--|--|--|
| თვითშეფასება                           | თვითშეფასებით მოსწავლეს<br>შესაძლებლობა აქვს, თავად გაუწიოს<br>მონიტორინგი საკუთარი სწავლის<br>პროცესს, გარდა ამისა, საკუთარ<br>დავალებაზე დაფიქრება მას ეხმარება<br>სწავლის გაუმჯობესებაში.   | მოსწავლემ საკუთარი<br>მოსაზრება შეიძლება<br>გამოთქას მის მიერ<br>შესრულებულ პროექტზე,<br>წერილობით თუ სხვა<br>ტიპის დავალებაზე                         |
| სტანდარტიზებული<br>შეფასება            | სტანდარტიზებული და ნორმაზე<br>დაფუძნებული შეფასებები ადგენს<br>მოსწავლის უნარს, ცოდნის დონეს სხვა<br>მოსწავლეებთან შედარებით.<br>სტანდარტიზებული ინსტრუმენტის<br>გამოყენების აუცილებელი მოთხოვნაა<br>ყველა მოსწავლეთან მისი იდენტური და<br>თანაბარი ადმინისტრირება.  | - ვექსლერის ინტელექტის<br>საზომი ინსტრუმენტი<br>(WISC)<br>- ფართო დიაპაზონის<br>მიღწევის სკალა (Mwrat-R)<br>- კეტელის ინტელექტის<br>საზომი ინსტრუმენტი |
| კრიტერიუმზე<br>დაფუძნებული<br>შეფასება | აღნიშნული მეთოდი აფასებს მოსწავლის შესრულებას, მიღწევას<br>კონკრეტული, დაკვირვებადი და გაზომვადი კრიტერიუმის მიხედვით.<br>შეფასების კრიტერიუმები აღწერს, თუ რა მოსალოდნელი შედეგი,<br>უნარი ან ცოდნა უნდა გამოავლინოს მოსწავლემ.   |  |
| პრე და პოსტ<br>შეფასება                | პრე შეფასება ხორციელდება სწავლის პროცესში ახალი ამოცანის,<br>თემის, საკითხის შესწავლამდე და ამგვარად ფასდება მოსწავლის<br>წინარე ცოდნა. იგივე პროცედურა ხორციელდება მასალის შესწავლის<br>შემდეგ და მიღებული პრე და პოსტ შეფასების მონაცემების<br>შედარებით განისაზღვრება როგორც მოსწავლის პროგრესი და<br>დინამიკა, ასევე სწავლის პროცესის ეფექტიანობა. |  |

სპეციალური მასწავლებელი მოსწავლის ცოდნისა და უნარების ობიექტურად აღწერის მიზნით შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს. მათ შორის, შესრულებაზე დაფუძნებულს - აკვირდება, როგორ ასრულებს მოსწავლე ამა თუ იმ აქტივობას, როგორ ართმევს თავს დასახულ ამოცანას. პორტფოლიოს შეფასებისას აანალიზებს მოსწავლის ნამუშევრებს, კურიკულუმზე დაფუძნებული შეფასებისას აგროვებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება მოსწავლის ცოდნა კურიკულუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სპეციალურმა მასწავლებელმა სწავლა - სწავლების პროცესში შესაძლოა, პრე და პოსტ ტესტიც გამოიყენოს. პრეტესტით გაიგოს მოსწავლის საწყისი უნარები, ხოლო ინტერვენციის შემდგომ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოსწავლეს იგივე ტესტის ადმინისტრირებით დააკვირდეს, აღნუსხოს, გაიზარდა თუ არა მოსწავლის შედეგები. რადგან სტანდარტიზებული დიაგნოსტიკური ინსტრუმენტები შესაბამის სპეციფიკურ კომპეტენციას, ხშირ შემთხვევაში კონკრეტული ინსტრუმენტების ჩატარების, ქულების დათვლისა და შედეგების ინტერპრეტაციის შესახებ ინტენსიურ

გადამზადებას საჭიროებს, სპეციალური მასწავლებლის პროფესიული ჩარჩო არ ითვალისწინებს შეფასების აღნიშნული მეთოდის გამოყენებას.



## აკადემიური უნარების შეფასება

### წერა

წერა კომუნიკაციის ერთ-ერთი კომპლექსური ფორმაა. წერა აკადემიურ უნარებს მიეკუთვნება და ის ინდივიდს თვითგამოხატვის საშუალებას აძლევს. წერის პროცესი აერთიანებს ვიზუალურ, მოტორულ და გონებრივ შესაძლებლობებს. ეს არის ძირითადი გზა, რომლის საშუალებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი აკადემიური უნარების დამონსტრირება სხვადასხვა საგანში. წერის საშუალებით ადამიანი აწესრიგებს საკუთარ იდეებს, აზრებს და სხვა ადამიანს მათ შეტყობინების სახით გადასცემს. წერა არის უნარი, რომელიც ეფუძნება სმენას, საუბარს, ნატიფ მოტორულ უნარებს, კითხვასა და მეტყველებას. წერის პრეაკადემიური უნარებია:

- ვიზუალურ-სივრცითი აღქმა;
- წვრილი მოტორიკა;
- თვალისა და ხელის კოორდინაცია;
- მოტორული დაგეგმარება;
- მხედველობითი მეხსიერება;
- მოტორული მეხსიერება (პრაქსისი);
- დასახელებული სიტყვის ბეჭრითი მხარის ანალიზი და სინთეზი;
- დეკოდირება.

წერისთვის საჭირო პრეაკადემიური უნარების განვითარება ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკიდან იწყება. ბავშვები ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც წერისთვის მზაობას უწყობს ხელს. ასეთია: ხაზების გავლება, გაფერადება, გადახატვა, მარტივი, რამდენიმე ელემენტიანი ნახატის (მაგ: მზე, ხე, სახლი, ადამიანი და ა.შ.) შექმნა. ასოების, ციფრებისა და სიტყვების წერა ბავშვებისათვის სკოლის ასაკამდე დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. მესამე კლასიდან წერას ინდივიდისთვის თვითგამოხატვის ფუნქცია აქვს. ეს არის ეტაპი, როდესაც აქცენტი კეთდება გრამატიკული წესების დაცვასა და იდეების/სათქმელის წერილობით გამოხატვის ხარისხზე.

წერა ვიზუალურ-მოტორული აქტივობაა, რომელიც მოიცავს დამოუკიდებლად წერას, გადაწერასა და კარნახით წერას. დამოუკიდებლად წერა, ერთი მხრივ, მოიაზრებს საკუთარი იდეების, დამოკიდებულებების წერილობით დაფიქსირებას, ხოლო, მეორე მხრივ, მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემას წერილობითი გზით. გადაწერა მოიცავს ნაბეჭდი ტექსტის/წინადადების/სიტყვის/ასოს ან წერილობითი დოკუმენტის გადაწერას, ასევე გადაწერას სხვადასხვა სივრციდან, მათ შორის, დაფიდან. რაც შეეხება კარნახით წერას, მოსწავლე წერს სხვა ადამიანის ნათქვამ ფრაზას ან სიტყვას.

წერითი დავალებების შესრულება ეფუძნება შემცნებითი უნარების ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: ყურადღების კონცენტრაცია, აღქმა, ინსტრუქციის გაგება და სხვა. წერითი აქტივობების შესრულებაში აქტიურ როლს თამაშობს ყურადღების კონცენტრირება, შესაბამისად, თუ წერით სირთულეებს საფუძვლად უდევს ყურადღების შენარჩუნების სირთულე და არა ასოების გამოსახვასთან დაკავშირებული პრობლემა, მოსწავლეებს სჭირდებათ პირდაპირი და მოკლე ინსტრუქციები და არა ცალკეული ასოს გამოწერაზე რუტინული აქტივობების შესრულება და გავარჯიშება.

ადამიანები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წერითი უნარებით, როგორც კითხვის უნარით, დავალების შერულების ტემპით, საკუთარი აზრის გამოხატვისა და მეტყველების უნარებით. შესაბამისად, წერის პროცესში მოსწავლე არაერთი გამოწვევის წინაშე შეიძლება დადგეს. წერითი სირთულეების იდენტიფიცირება რთულია სასკოლო ასაკამდე და უმეტესწილად თავს სკოლაში იჩენს, რადგან წერითი დავალებების შესრულება ბავშვს ცხოვრების სწორედ ამ პერიოდში უწევს.

## წერის სირთულეები

წერითი აქტივობის შესრულებისას მთავარი სირთულე დაკავშირებულია უნართან წერო ასოები გასაგებად, სწორად და სწრაფად, ნაწერი იყოს წაკითხვადი და გასაგები. წერილობითი ნაშრომის ხარისხი სწორედ ამ კრიტერიუმებით იზომება. წერა რომ კომუნიკაციის ფორმას ატარებდეს მოსწავლის შესრულებული ნაწერი, პირველ რიგში, უნდა იყოს წაკითხვადი და გამართული. სანამ წერილობითი ნაშრომი ამ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, მასწავლებელმა წერის უნარის განვითარებაზე უნდა იმუშაოს. სწავლა იწყება იმით, თუ როგორ უნდა დაიჭიროს მოსწავლემ ხელში საწერი საშუალება, როგორი უნდა იყოს ასოების სწორი მოხაზულობა და ფორმა, ასევე უმთავრესი ნაწილია ასოების ზომა და მათ შორის არსებული ინტერვალი. წერის სირთულეები სხვადასხვა ფაქტორთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, ესენია: მოტორული სირთულეები, ვიზუალური აღქმის სირთულე, ვიზუალური მეხსიერებისა და ინსტრუქციის გაგების სირთულე. ჩამოთვლილ უნარებთან ერთად დაბალ მიღწევასა და წერის ტექნიკაზე

შესაძლოა, გავლენას ახდენდეს მოსწავლის დაბალი მოტივაცია. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი შესაძლოა, მნიშვნელოვნად განაპირობებდეს სირთულეებს წერაში.

წერის სირთულის ერთ-ერთი მიზეზი უკავშირდება ნატიფ მოტორულ უნარს, რომელიც, ერთი მხრივ, შესაძლოა, ხელს უშლიდეს წერით აქტივობას და ამდენად, იწვევდეს სირთულეებს სასკოლო დავალებების შესრულებაში. მაგალითად, მოსწავლემ შესაძლოა, იცოდეს, როგორ იწერება კონკრეტული სიტყვა, მაგრამ არ შეეძლოს ამ სიტყვის ასოთა სწორი თანმიმდევრობით და ისეთი ტემპით ჩაწერა, როგორც ამას მისგან ითხოვს მასწავლებელი. ნაწერის გარჩევასთან და წერის ტემპთან დაკავშირებული სირთულე შეიძლება შექმნას მაშინ, როდესაც მოსწავლეს უწევს დაფიდან გადაწერა იმ დროს, როცა თვითონ მერჩთან ზის. სამწუხაროდ, ასეთ დროს, ბევრი მასწავლებელი და მშობელი ამბობს და ფიქრობს, რომ მოსწავლეს აქვს მუშაობის ნელი ტემპი, სინამდვილეში კი, მას წერასთან დაკავშირებული სირთულეები აქვს.

ზოგადად, მოსწავლის წერის სირთულეები შესაძლოა სხვადასხვა მიმართულებით ვლინდებოდეს, მათ შორისაა:

- წერის ნელი ტემპი;
- ასოებისა და ციფრების მოხაზვა ხელის არასწორი მოძრაობით;
- ასოების არასწორი ფორმა (მაგ: დახრილი);
- ასოებსა და სიტყვებს შორის ინტერვალის დაცვის სირთულე;
- ხაზე, ხაზს ქვემოთ და ხაზს ზემოთ ასოების არასწორად განთავსება;
- ასოების ან მარცვლების გადანაცვლება;
- სარკისებური ასოების და ციფრების ერთმანეთში არევა (შ, წ, ხ, ძ, ჰ, კ, კ.);
- გრაფიკულად მსგავსი მოხაზულობის მქონე ასოების არევა (ჭ, ჯ, პ, პ.);
- საწერი საშუალების ძალიან დიდი ძალით დაწოლა ფურცელზე ან ძალიან მკრთალად წერა.

აღნიშნული სირთულეები ნაწერის გაშიფრას და მისი შინაარსის გაგებას ართულებს.

## როგორ შევაფასოთ წერის უნარები?

წერის უნარი კომპლექსურად ფასდება. უნარს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში აფასებს როგორც საგნის, ასევე სპეციალური მასწავლებელი. წერის პრეაკადემიური უნარების შეფასებისას სპეციალური მასწავლებლის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შეფასების პროცესში გამოიყენება დაკვირვებისა და ინტერვიუს მეთოდი, ასევე ტესტები და კითხვარები. უნარის შეფასების დროს შემფასებელი აფასებს, როგორც მოსწავლის დამოუკიდებლად წერის უნარს, ისე გადაწერას და

კარნახით წერას. მოსწავლის წერილობითი ნაშრომის შეფასება წერის ოთხი ძირითადი კომპონენტის ანალიზითა შესაძლებელი, კერძოდ:

- **წერის მოტორული კომპონენტი** - როგორ, რამდენად მოქნილად და თავისუფლად უჭირავს ხელში საწერი საშუალება; ზის თუ არა მაგიდასთან გამართულად, ისე, რომ მარტივად შეძლოს საწერი საშუალებების გამოყენება; აფიქსირებს თუ არა ფურცელს მეორე ხელით.
- **ნაწერის ვიზუალური მხარე** - მასწავლებელი აკვირდება, როგორია ასოების ზომა და მოყვანილობა; როგორ ათავსებს მოსწავლე ასოებს ხაზზე, ხაზს ზემოთ და ხაზს ქვემოთ; იცავს თუ არა ასოებსა და სიტყვებს შორის ინტერვალს; იცავს თუ არა საზღვრებს ფურცლის ორივე მხარეს.
- **ორთოგრაფია/მართლწერა** - მასწავლებელი აკვირდება ხომ არ ტოვებს, ანაცვლებს ან ამატებს მოსწავლე სიტყვაში ასოებს.
- **ნაწერის შინაარსობრივი მხარე** - მასწავლებელი ადარებს ნაწერს ორიგინალს; აკვირდება რამდენადაა დაცული ნაწერში მოვლენათა განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობა; როგორ არის გადმოცემული დეტალები და საბოლოო ჯამში, ასრულებს თუ არა ნაწერი მის მთავარ, კომუნიკაციურ ფუნქციას; შესაძლებელია თუ არა ნაწერიდან ავტორის აზრის, ძირითადი იდეის წაკითხვა და გაგება.

თითოეული მიმართულების შეფასების მიზნით მოსწავლეს სხვადასხვა დავალება მიეწოდება, რომელთა მოდიფიცირება შესაძლებელია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, დაწეროს საყვარელი ფილმის/წიგნის შინაარსი;
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, დაწეროს მოსმენილი/წაკითხული ტექსტის შინაარსი;
- მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს ბარათს და სთხოვს დაწეროს ბარათზე გამოსახული მოქმედების შესაბამისი შინაარსი (ტექსტის ან წინადადების სახით); შესაძლოა მასწავლებელმა აჩვენოს ბარათზე გამოსახული კონკრეტული საგანი და მოსწავლეს სთხოვოს, ჩაწეროს მისი შესაბამისი სიტყვა;
- მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს გადაწეროს ტექსტი, წინადადება ან სიტყვა დაფიდან და/ან წიგნიდან;
- მასწავლებელი კარნახობს მოსწავლეს წინადადებას, სიტყვას ან ასოს და სთხოვს მოსწავლეს, ჩაწეროს ის.

თითოეული ინსტრუქციისშემდეგ მოსწავლის წერის პროცესზე დაკვირვებით და შესრულებული დავალების ანალიზით მასწავლებელი აფასებს მოსწავლის წერით უნარებს. მნიშვნელოვანია, რომ სპეციალურმა მასწავლებელმა მოსწავლისთვის შესაფასებელი დავალების სირთულე სწორად შეარჩიოს და საჭიროების შემთხვევაში

გაართულოს ან გაამარტივოს. მაგალითად, მასწავლებელმა პირველ ეტაპზე შესაძლოა გამოარკვიოს, რამდენად შეუძლია მოსწავლეს ცალკეული ასოების გამოსახვა, შემდეგ დაკვირდეს, როგორ ახერხებს მარცვლების გადაწერას, დამოკიდებლად ჩაწერას, შემდგომ უკარნახოს ცალკეული სიტყვები და ამგვარად გააგრძელოს შეფასების პროცესი მარტივიდან რთულისკენ.

შეფასებისას გამოყენებული სტანდარტები, ტესტები და აქტივობები მოსწავლის ასაკზეა დამოკიდებული. 8-9 წლის და უფრო პატარა ასაკის მოსწავლის შეფასებისას შემფასებელს უნდა ახსოვდეს, რომ ასოების გადანაცვლება, გამოტოვება და ინტერვალის დაუცველობა გარკვეულწილად ნორმაა. წერის სირთულესთან საქმე გვაქვს მაშინ, თუ ეს სირთულეები დიდი ხნის განმავლობაში ნარჩუნდება და თუ მოსწავლეს უჭირს წერითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

წერის უნარის შეფასებისას ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში აქტიურად გამოიყენება შეფასების არაფორმალური მეთოდები, რადგან სტანდარტიზებული ინსტრუმენტების ადმინისტრირებისგან განსხვავებით, ის არ მოითხოვს სპეციფიკურ, მკაცრად განსაზღვრულ ინსტრუქციებსა და პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ წერის უნარის დემონსტრირებისას მინიმალური შესრულების განსაზღვრა საკმაოდ რთულია, რადგან მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წერის ტემპით, წერისადმი დამოკიდებულებით. თუმცა, მაინც არსებობს გარკვეული საზღვრები, როდესაც დეფიციტურად გამოვლენილი უნარი შეიძლება მივაწეროთ ასაკს ან გარკვეულ სირთულეს ამ მიმართულებით. მაგალითად, პირველკლასელიმოსწავლისათვის გრაფიკულად მსგავსი ასოების ერთმანეთში არევა (მაგალითად; ძ-ხ, წ-შ. ჭ-ჯ და ა.შ) არ ითვლება დარღვევად, თუმცა, მეორე კლასის ბოლოს ან მით უფრო, მესამე კლასში, მსგავსისირთულის არსებობა მოსწავლეებში, როგორც წესი, გარკვეული უნარის დეფიციტურ განვითარებაზე მიგვანიშნებს. ასევე, პირველი კლასის დასაწყისში მოსწავლეს შესაძლოა უჭირდეს დასახელებული სიტყვის ბეჭედითი მხარის ანალიზი, თუმცა, წლის ბოლოს უნდა შეეძლოს მისთვის ნაცნობი, ასაკის შესაბამისი სიტყვის კარნაზით წერა.

## წერის უნარის ფორმალური შეფასება

გამომდინარე იქიდან, რომ ნორმაზე ორიენტირებული საზომი ინსტრუმენტები ნაკლებად ხელმისაწვდომია სასკოლო სივრცეში, სხვადასხვა სკალა და კითხვარი ხშირად გამოიყენება მოსწავლის წერის უნარის შეფასების მიზნით. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს წერის უნარის შეფასების ერთ-ერთ ცნობილ ფორმას, რომელიც მოიცავს ორ სტანდარტიზებულ ტესტს და ერთ კრიტერიუმზე ორიენტირებულ ინსტრუმენტს. მოცემული ინსტრუმენტი გვაძლევს საშუალებას დავინახოთ მოსწავლის

წერითი უნარის ზოგადი სურათი. აქ აქცენტი გაკეთებული არაა სპეციფიკურ შეცდომებსა და გაურკვეველ ხელწერაზე. ამდენად, ეს ფორმა შესაძლოა მასწავლებელმა გამოიყენოს პირველადი სკრინინგისათვის. წერის უნარზე დეტალური ინფორმაციის მოპოვებაში კი, მას დაეხმარება შეფასების არაფორმალური ტექნიკები.

ცხრილი 3. წერის უნარის შეფასების ფორმალური მეთოდები

| ტესტი   | ასაკი             |
|---|-------------------|
| <b>სასკოლო უნარების ბაზისური<br/>ინსტრუმენტი</b>  | <b>5-6 წელი</b>   |
| მოცემული ინსტრუმენტის მიხედვით წერის უნარი ფასდება სხვადასხვა დავალების მიხედვით და აკვირდებიან ისეთ დეტალებს, როგორიცაა: წერს თუ არა მოსწავლე მარცხნიდან მარჯვნივ; როგორ უჭირავს საწერი საშუალება; წერს თუ არა საკუთარ სახელს; წერს თუ არა სიტყვას შემფასებლის თხოვნის/მითითების საფუძველზე; გადაწერს სიტყვებს; გადაწერს დაფილან ფურცელზე; ტოვებს ხაზებს; წერს საკუთარ გვარს. მოცემული საკითხები მასწავლებელმა შესაძლოა გამოიყენოს იმისათვის, რომ შეადაროს კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობები მისი ასაკის შესაბამის უნარებს ან მისივე ასაკის სხვა მოსწავლეს.  |                   |
| <b>სასკოლო ბაზისური უნარების<br/>ყოვლისმომცველი ინსტრუმენტი</b>   | <b>I-IX კლასი</b> |
| კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტი გთავაზობთ წერის რამდენიმე ტესტს/კითხვარს. წერის შეფასებისათვის მოსწავლეს სთხოვენ, დაწეროს ასოები, აწერინებენ კარნაბს, აწერინებენ რიცხვებს თანმიმდევრობით, სთხოვენ, დაწეროს პირადი მონაცემები. გარდა ამისა, ფასდება შესრულებული წერილობითი ნაშრომის ხარისხი და შინაარსი.   |                   |
| <b>წერითი უნარების ტესტი</b>  | <b>6-18 წელი</b>  |
| აღნიშნული სტანდარტიზებული ტესტი მოიცავს რამდენიმე სუბტესტს და აფასებს მოსწავლის წერის უნარს. 10 სუბტესტი ფოკუსირებულია ასოების წერაზე, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს არ ევალება ასოების თანმიმდევრულად ჩაწერა, შემფასებელი კარნახობს მას ასოს და მოსწავლემ უნდა ჩაწეროს ის. გარდა ამისა, ტესტი აფასებს გადაწერასაც, მოსწავლემ ასოთა თანმიმდევრობიდან უნდა გადაწეროს 10-12 ასო, ასევე უნდა გადაწეროს 6 სიტყვა (დაახლოებით 21 ასო); გადაწეროს 2 წინადადება (6 სიტყვა, 29 ასო) და კარნახით დაწეროს 6 სიტყვა (21 ასო). მოსწავლის წერის ტემპის შეფასება ხდება სხვა უნარებთან ერთად, კომპლექსურად. აღნიშნული ტესტი ტარდება ინდივიდუალურად, ან ჯგუფურად 25 წუთის განმავლობაში. |                   |

ზოგადად, სფეროში არსებული აკადემიური მიღწევების შეფასების სტანდარტიზებული ტესტების უმეტესობა წერილობითი ნაშრომის ანალიზისას აქცენტი აკეთებს შემდეგ მიმართულებებზე: აფასებს ნაწერის შინაარსს და მოვლენათა განვითარებას, ტექსტის ორგანიზების სტრატეგიებს, სიტყვათა მარაგს, წინადადებების წყობასა და წერის ტექნიკებს. ასევე, აქცენტი კეთდება გრამატიკული წესების დაცვასა და სასვენი ნიშენების გათვალისწინებაზე.

## წერის უნარის არაფორმალური შეფასება

წერის უნარის შეფასების მიზნით შესაძლებელია მრავალფეროვანი არაფორმალური მეთოდების გამოყენება. პირველ რიგში, განვიხილოთ დაკვირვება. მასწავლებელს მოსწავლის ნაწერზე და წერის პროცესზე ვიზუალური დაკვირვებით შეუძლია მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება წერის უნარზე და შედეგად მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების აღწერა. მოსწავლის მიერ დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესში გამოიკვეთება სირთულეები, რომელიც ხელს უშლის ნაწერის გარჩევას. საბოლოო ჯამში კი, დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება მასწავლებელს აძლევს ინფორმაციას, თუ რა ტიპის სირთულეები აქვს მოსწავლეს წერის პროცესში და რა არის მისი ძლიერი მხარე. შეფასების პროცესში ვაკირდებით მოსწავლის წერის ტემპს. არსებობს წერის ტემპის შეფასების სამი ტიპი, ესენია: ნორმალური ტემპი, საუკეთესო და ყველაზე სწრაფი წერა. ნორმალური წერის ტემპი აჩვენებს მოსწავლის მუშაობას ჩვეულებრივ, არდაღლილ ანუ დასვენებულ მდგომარეობაში. საუკეთესო ტემპისათვის მოსწავლეს აძლევენ დროს, რა დროშიც მან უნდა დაწეროს წინასწარ განზრახული და მიწოდებული წინადადება იმდენჯერ, რამდენჯერაც მოასწრებს 3 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი მასწავლებელი ამოწმებს და ითვლის, რამდენჯერ დაწერა მოსწავლემ წინადადება. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ შესაძლოა მოსწავლე წერდეს კარგად, მაგრამ ექსტრემალური სიტუაცია ხელს უშლიდეს მას ნაწერის ხარისხიანად შესრულებაში. ამ დავალებების შესრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს მოსწავლის წერის ტემპი და ის, თუ რამდენად გასაგებად წერს ის.

მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს, სანამ ის ასრულებს წერით დავალებას და ინიშნავს გამოკვეთილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. ამ დროს მასწავლებელი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- უჭირავს თუ არა მოსწავლეს საწერი საშუალება სწორად და მისთვის მოხერხებულად?
- რამდენად სწორადაა ფურცელი მაგიდაზე განთავსებული?
- ზოს თუ არა მოსწავლე სწორად წერის დროს, თავი ძალიან შორს ან ძალიან ახლოს ხომ არ აქვს ფურცლიდან?
- მოსწავლე მუდმივად ერთი ხელით წერს?
- წერის დროს მოსწავლე ფრუსტრირებული, ნერვიული ან ემოციური ხომ არ არის?
- წერითი დავალებისადმი მოსწავლეს ნეგატიური დამოკიდებულება ხომ არ აქვს?
- დავალება ადვილად ჰქონდება?

მას შემდეგ, რაც მოსწავლე დაასრულებს წერის პროცესს, ნაწერის გაანალიზებისას ვაკირდებით შემდეგ ასპექტებს:

- **ასოების მოხაზულობა** - ყველა ასო შედგება ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ხაზებისაგან, რკალის ან რგოლისაგან, შესაბამისად, ასოები მოხაზულობით

ერთმანეთისაგან განსხვავებულია. როდესაც მასწავლებელს სურს შეაფასოს, რამდენად სწორად გამოსახავს მოსწავლე ასოს, მას შეუძლია აჩვენოს ბარათი, რომელზეც კონკრეტული ასოა გამოსახული და სთხოვოს ჩაწეროს. ამ დროს მასწავლებელი დააკვირდება მოსწავლის ხელის მოძრაობას და დაწერილ ასოს.

- **ასოების ზომა, პროპორცია** - ასოების ზომა და მოყვანილობა სწორედ ის ინდიკატორია, რომელიც ერთ ასოს სხვა ასოსაგან განასხვავებს. ზოგი ასო პატარაა, ზოგი შედარებით დიდი.
- **ინტერვალი** - სიტყვის წერის დროს მოსწავლე უნდა იცავდეს ინტერვალს ასოებს შორის. ინტერვალი ასევე დაცული უნდა იყოს სიტყვებსა და წინადადებებს შორის.
- **ხაზზე განლაგება** - ასოები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ თავსდება ის ხაზზე, ხაზს ქვემოთ თუ ხაზს ზემოთ. წერის დროს ხელისა და სხეულის არასწორი პოზა დიდწილად განაპირობებს იმას, რამდენად სწორად ათავსებს მოსწავლე ასოებს შესაბამის რეგისტრში.
- **სისწრაფე** - წერის სისწრაფის შესაფასებლად მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, დაწეროს იმდენად სწრაფად, რამდენად ეს მას შეუძლია. სისწრაფე ფასდება იმის მიხედვით, რამდენ სიტყვას წერს მოსწავლე ერთ წუთში. აქვე მნიშვნელოვანია სიტყვაში ასოების რაოდენობა, რომლითაც რეალურად განისაზღვრება სისწრაფის მოცულობა.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელშიც აღწერილია წერის უნარის შეფასების პროცედურები, ასევე ხაზგასმულია ხშირად დაშვებული შეცდომები, ამ შეცდომების სავარაუდო მიზეზები და ინტერვენციის რეკომენდებული გზები.

ცხრილი 4. წერის უნარის შეფასების სირთულეები და პრევენციის გზები

| ფაქტორი |                             | სირთულე   | შესაძლო გამომწვევი<br>მიზეზი  | პრევენცია |
|---------|-----------------------------|---|---|-----------|
| ფორმა   | დახრილი ასოები              | დახრილი ფურცელი   | ფურცელი განათავსეთ მოსწავლის პირდაპირ, ფურცლის ხაზები მიმართული იყოს მოსწავლის სხეულის ცენტრისაკენ.   |           |
|         | სტანდარტისაგან განსხვავება  | ასოს არასწორი ხატის არსებობა გონიერები                      | მოსწავლეს პერიოდის საშუალება, ასოები, რომლის წერაც უჭირს, დაწეროს დაფაზე.                             |           |
|         | ძალიან მომრგვალებული ასოები | გადაჭარბებული მკლავის მოძრაობა და ასოს დამაზინჯებული სურათი | შეამოწმეთ მკლავი-მერხის პოზიცია ( $90^{\circ}$ ); მიმოიხილეთ ასოების ფორმა და ზომა, აჩვენეთ ნიმუშები. |           |
|         | ძალიან ვიწრო ასოები         | თითოთ წერა  | შეამოწმეთ სხეულის პოზიცია, დარწმუნდით, რომ მოსწავლეს აქვს მკლავის მოძრაობის შესაძლებლობა.             |           |
|         |                             | გადაჭარბებული ყურადღება სწორი ხაზების /წრფივ გავლებაზე      | დარწმუნდით. რომ ისეთი ასოების წერის დროს, როგორიცაა რ, მ ან ხ, არ სცდება ხაზს ქვემოთ.                 |           |

|  |  |  |   |
|--|--|--|---|
| ზომა   | ძალიან დიდი  | უჭირს სტრიქონის აღქმა  | ასწავლეთ ზომის ცნება საწერ ფურცელზე თითოეული ხაზის დანიშნულების მითითებით.  |
|  |  | მკლავის გადაჭარბებული მოძრაობები   | შეამცირეთ მკლავის მოძრაობები პოზის სწორი ცვლილებით ან დამხმარე საწერი საშუალებების გამოყენებით  |
|  |  | ასოს არასწორი ხატი გონებაში  | მოსწავლეს პქონდეს საშუალება, ასოები, რომლის წერაც უჭირს, დაწეროს დაფაზე.  |
| ძალიან პატარა                                      | უჭირს სტრიქონის აღქმა                                      | ასწავლეთ ზომის ცნება საწერ ფურცელზე თითოეული ხაზის დანიშნულების მითითებით.   |   |
|  | გადაჭარბებული აქცენტი თითის მოძრაობაზე                     | შეამოწმეთ ხელისა და საწერი საშუალების, ასევე მკლავისა და მერხის პოზიციები, რათა დარწმუნდეთ, რომ მკლავის მოძრაობა შესაძლებელია. |   |
|  | ასოს არასწორი ხატი გონებაში                                | მოსწავლეს პქონდეს საშუალება, ასოები, რომლის წერაც უჭირს, დაწეროს დაფაზე.   |   |
| არათანაბარი  | თითოეული ასოს დაწერის შემდეგ საწერი ხელის ამოძრავება       | ამოძრავეთ ფურცელი იმ ხელით, რომლითაც არ წერთ, ასეთ დროს საწერი/დომინანტური ხელი დარჩება სწორ წერით პოზიციაში.                  |   |
|  | გადაჭარბებული აქცენტი თითის მოძრაობაზე                     | შეამოწმეთ ხელისა და საწერი საშუალების, ასევე მკლავისა და მერხის პოზიციები.   |   |
| ინტერვალი  | სიტყვაში ასოების ერთმანეთში გადაჯაჭვა, ინტერვალის არ დაცვა | ასწავლეთ ასოებს შორის ინტერვალის დაცვის ფორმა (მაგ: თითის ან ფანჯრის სიგანე).  |   |
|  | ასოებს შორის ძალიან დიდი ინტერვალი                         | ასოების არასათანადო ზომა და ფორმა  | გადახედეთ, როგორ ესმის ზომისა და ფორმის ცნება; უზრუნველყავით შესაბამისი შესწორებები ფორმასა და ზომასთან დაკავშირებით.   |
|  | სიტყვებს შორის არათანაბარი ინტერვალი                       | სიტყვებს შორის ინტერვალის აღქმის სირთულე   | ისაუბრეთ სიტყვებს შორის ინტერვალის დაცვის საჭიროებაზე, გამოიყენეთ რაიმე საგანი, კუბიკი, უჯრა, რომლითაც დაიცავს დაშორებას (მაგ: ერთი სიტყვის დაწერის შემდეგ ჩააკარი ეს კუბიკი და შემდეგ დაწერე მეორე სიტყვა) |
| ხაზზე, ხაზს ქვემოთ და ხაზს ზემოთ ასოების განლაგება | ასოები არ არის განთავსებული შესაბამის რეგისტრში            | ასოების არასათანადო ფორმა  | შეაფასეთ ასოების ფორმა, აწერინეთ კარნახით წინადადება, შეაფასეთ ასოების ფორმა, განლაგება ხაზზე, გამოყავით, შუა, ზედა და ქვედა რეგისტრის ასოები.  |
|  |  | ხაზის აღქმის სირთულე   | ისაუბრეთ საწერ ფურცელზე არსებული ხაზების მიზნებზე.  |
|  |  | ხელისა და საწერი საშუალების, ასევე ფურცლისა და მერხის არასწორი პოზიცია   | შეამოწმეთ პოზა, რათა დარწმუნდეთ, რომ მოსწავლეს შეუძლია ხაზებს მისწვდეს იოლად.   |
|  | ასოები არათანმიმდევრული სიმაღლისაა                         | უჭირს ზომის აღქმა  | ისაუბრეთ მიმართებაზე, რაც უნდა არსებობდეს რვეულის ფურცელზე არსებულ ხაზებსა და ასოებს შორის.   |
|  | ძირითად ხაზთან მიმართებით ასოს არასწორი განთავსება         | წერის დროს არასწორი ჯდომის პოზა; თითის მოძრაობა; მკლავის ზედმეტი მოძრაობა  | მიმოიხილეთ მკლავის პოზიცია, წაახალისეთ რიტმული მოძრაობები წერის დროს.   |

|                         |  |  |   |
|-------------------------|--|--|---|
|                         | სიტყვაში<br>არათანაბარი ზომის<br>ასოები  | ზომის არასწორი აღქმა   | აჩვენეთ ზომის ურთიერთმიმართება მცირე და<br>დიდ ასოებს შორის   |
| სიჩქარე და<br>სიმარტივე | წერა სტრესის და<br>სიჩქარის პირობებში    | ხელით სწრაფად წერის<br>უნარი არ შეესაბამება<br>წამოყენებულ<br>მოთხოვნებს | გააუმჯობესეთ წერის პოზიცია; მეტად<br>განვითარეთ მკლავის მოძრაობა და<br>ნაკლებად თითის მოძრაობა.   |
|                         | როდესაც წერის<br>აქტივობა<br>ხანგრძლივია | წერის პოზა არ არის<br>კომფორტული წერითი<br>აქტივობის<br>დასრულებისათვის  | გააუმჯობესეთ ნებისმიერი პოზა, რომელიც<br>ხელს უძლის წერაში, განსაკუთრებული<br>ყურადღება მიაქციეთ ხელისა და საწერი<br>საშუალების ჩაჭიდების პოზიციას. |

წერის სირთულეების შეფასების აღნიშნული არაფორმალური ინსტრუმენტი მასწავლებელმა შესაძლოა გამოიყენოს მოსწავლის თვითრეგულაციის განვითარების მიზნით, მაშინ, როდესაც მოცემული სქემის საშუალებით მოსწავლეს თავად შეუძლია მონიშნოს მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები წერასთან მიმართებით, ეს მას დაეხმარება, თავად ამოიცნოს, რა მიმართულებით უნდა იზრუნოს განვითარებაზე. ასეთ დროს, შედარებით დაბალკლასელი მოსწავლეები აკვირდებიან, იცავენ თუ არა ინტერვალს ასოებს შორის, როგორია მათი დაწერილი ასოს მოყვანილობა. შედარებით მაღალკლასელი მოსწავლეები კი, აკვირდებიან რამდენად თანაბარია ასოები, იძლევა თუ არა ნაწერი ერთიან სურათს. როცა მოსწავლეს თავად შეუძლია დაინახოს ნაწერში გასაუმჯობესებელი მხარე, ამ დროს პროგრესი ბევრად უფრო სწრაფად და მარტივად მიღწევადია. ამ პროცესს აქვს მეორე დადებითი მხარეც, მოსწავლე თავად იღებს პასუხისმგებლობას თავისი უნარების გაუმჯობესებაზე.

წერის უნარის შეფასებისას წერილობით ტექსტში ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად კარგად შეუძლია სიტყვების გამოყენებით მოსწავლეს საკუთარი იდეებისა და სათქმელის გადმოცემა. ასევე, როგორ აკავშირებს მოსწავლე სიტყვებს ერთმანეთთან და აყალიბებს წინადადებებს. წერილობით ტექსტში ასევე ყურადღება ექცევა გამოყენებულ სიტყვებს. წერს თუ არა მოსწავლე ასაკის შესაბამის სიტყვებს, ანაცვლებს თუ არა ერთი და იმავე სიტყვას სინონიმებით, ანუ, როგორია მოსწავლის სიტყვათა მარაგი. აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვათა მარაგი იზრდება ასაკის მიხედვით და კლასიდან კლასში უფრო მრავალფეროვანი ხდება.

მოსწავლეები, რომლებსაც სწავლის სირთულეები აქვთ, იყენებენ ერთფეროვან სიტყვებს და აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი. სწავლის სირთულის მქონე ზოგიერთი მოსწავლე შესაძლოა იყენებდეს ასაკის შესაბამის სიტყვათა მარაგს, თუმცა წერისას უშვებდეს სხვადასხვა სახის შეცდომას. წერითი უნარის შეფასებისას მნიშვნელოვანია ნაწერის სტრუქტურა, რომელიც მოიაზრებს ისეთ ტექნიკურ საკითხებს, როგორიცაა პუნქტუაციისა და გრამატიკული წესების დაცვა. გრამატიკული წესები მოიცავს პირსა და რიცხვში სიტყვების სწორად შეთანხმებას, ბრუნვის ნიშნების გამოყენებას, მრავლობითი და მხოლობითი რიცხვის ნიშნების გამოყენებას და სხვა.

## წერისათვის მზაობის უნარები

წერისათვის მზაობის აქტივობები მოიცავს მოსწავლეების წერით დაინტერესებას, საწერი საშუალების ხელში დაჭერის წახალისებას და ნატიფი მოტორული უნარების გაუმჯობესებას. წერა მოითხოვს კუნთების კონტროლს, თვალისა და ხელის კოორდინაციას და სხვადასხვა ფორმის/ზომის ვიზუალურ დისკრიმინაციას. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ამ უნარების განვითარებაში მანამ, სანამ მოსწავლეს ექნება წერითი აქტივობის შესრულების მზაობა. კუნთები კოორდინირებული მოძრაობების შესრულებისათვის შესაძლოა განვითარდეს მანიპულირებადი სავარჯიშოებით (მაკრატლით ჭრა, თითებით ხატვა, ხაზების გავლება, გაფერადება). თვალისა და ხელის კოორდინირებული მოქმედებები სრულდება, როცა მოსწავლე ხატავს წრეებს და გადახატავს/აკოპირებს გეომეტრიულ ფორმებს. სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დამახასიათებელი დეტალის მიხედვით ნივთების ერთანეთისგან გარჩევა ავითარებს ვიზუალური დისკრიმინაციის უნარს. მოსწავლეს მსგავსი აქტივობები ეხმარება ასოებისა და მისი ნაწილების ვიზუალური განსხვავებების პოვნაში. წერითი უნარის მზაობისათვის ასევე მნიშვნელოვანია დაფაზე სხვადასხვა აქტივობის შესრულება, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, ამოძრაოს მხრების, მკლავის, ხელისა და თითების კუნთები. წერითი დავალებების შესრულებამდე მოსწავლე უნდა ასრულებდეს შემდეგ აქტივობებს:

- ხელის ისეთ მოძრაობებს, როგორიცაა მაღლა აწევა, მარჯვნივ/მარცხნივ გაშლა და წინ/უკან გაწევა;
- აერთებდეს წერტილებით მონიშნულ ხაზებსა და გეომეტრიულ ფიგურებს;
- ფურცელზე შეეძლოს წერტილების ერთმანეთთან დაკავშირება;
- ავლებდეს ჰორიზონტალურ ხაზებს მარცხნიდან მარჯვნივ, ზევიდან ქვევით;
- ავლებდეს ვერტიკალურ ხაზებს ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ;
- ავლებდეს ტალღოვან ხაზს, შემოხაზულ წრეს აყოლებდეს საწერ საშუალებას;
- ავლებდეს დახრილ ვერტიკალურ ხაზს;
- შეეძლოს მარტივი ფორმებისა და დეტალების გადახატვა;
- ასახელებდეს ასოებს და არჩევდეს მსგავსებებსა და განსხვავებებს ასოების ფორმებს შორის და სხვა.

მასწავლებელმა უნდა გამოარკვიოს, რომელ ხელს იყენებს მოსწავლე ყველაზე ხშირად ყოველდღიური აქტივობების შესრულებისას, როგორიცაა ჭამა ან ბურთის სროლა. მასწავლებელმა შესაძლოა სთხოვოს მოსწავლეს, მხოლოდ ერთი ხელით ამოიღოს ფანქარი ყუთიდან, ერთი ხელი აიფაროს თვალზე ან დასვას რაიმე ნიშანი დაფაზე. თუ ბავშვი უმეტეს აქტივობას ასრულებს მარცხენა ხელით, დიდია ალბათობა, რომ ის წერის დროსაც მარცხენა ხელს გამოიყენებს. თუ მოსწავლე სხვადასხვა, ყოველდღიურ აქტივობაში თანაბრად იყენებს ორივე ხელს, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელი ხელით შეასრულებს წერით აქტივობას.

წერითი დავალებების შესრულებამდე მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეს, როგორი მიმართება უნდა იყოს ფურცელსა და საწერ საშუალებას შორის. წერის დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლე იჯდეს კომფორტულ სკამზე სწორ პოზაში, მიეყრდნოს სკამის საზურგეს და ორივე ფეხი ჰქონდეს იატაკზე. გასათვალისწინებელია მერხის სიმაღლე, მოსწავლემ უნდა შეძლოს იდაყვების განთავსება სხეულის პირისპირ ისე, რომ ეს არ უქმნიდეს დისკომფორტს. ხელით, რომლითაც არ წერს, უნდა აფიქსირებდეს ფურცელს/რვეულს. საწერი საშუალება მოსწავლემ უმჯობესია დაიჭიროს სამთითა ჩაჭიდებით (ცერა თითისა და პირველი ორი თითის კომბინაცია), ანდა მისთვის მოხერხებულად, ხელი მსუბუქად უნდა დაეყრდნოს მერხის გარე კიდეს. მასწავლებელმაუნდა ასწავლოს მოსწავლეებს საწერი საშუალების სწორად დაჭერა და გამოყენება, რათა შემდეგში თავიდან აიცილონ დაღლილობა ან დისკომფორტი ხანგრძლივი წერის დროს.

წერის დროს ფურცელი უნდა იდოს სწორად, ზუსტად თვალების წინ. იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც მარცხენა ხელით წერენ, შესაძლოა უფრო კომფორტული იყოს ფურცლის ოდნავი დახრა ქვედა მარჯვენა კუთხით და ფურცლის გასწორება სხეულთან მარცხენა მხრის პოზიციიდან. განსხვავებით მოსწავლეებში, რომლებიც მარჯვენა ხელით წერენ, მათ ფურცელი შეიძლება დახარონ ქვედა მარცხენა კუთხით.

## ბეჭდვა

კლავიატურაზე ბეჭდვა შესაძლოა განვიხილოთ წერის ალტერნატივად, როდესაც მოსწავლეს აქვს ნატიფი მოტორული სირთულეები ან წერს ძალიან ნელა. მოტორული მოძრაობების გამარტივების გარდა, კლავიატურაზე ბეჭდვის უპირატესობებში შედის უფრო სწრაფად წერა, ნაწერის წაკითხვის/გარჩევის მაღალი ხარისხი და წერითი აქტივობის შესრულების მოტივაცია. გარდა ამისა, კომპიუტერებისა და ტექსტების დამუშავების პროგრამების, ასევე, კლავიატურაზე ბეჭდვის გამოყენება ავითარებს წიგნიერების უნარს. კვლევები ასევე აჩვენებს, რომ პატარა ასაკის მოსწავლეებში კლავიატურაზე ბეჭდვა უფრო ნელა ხორციელდება, ვიდრე ხელით წერა. კლავიატურაზე ბეჭდვის უნარების განვითარება ხელით წერის უნარის განვითარებაზე გვიან, დაახლოებით 2 წლის შემდეგ ხდება. კლავიატურაზე ბეჭდვის სწრაფად ასათვისებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მკაფიო ინსტრუქცია რათა ეს სივრცე ეფექტიანად გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დაწყებით კლასებში მოსწავლეებს შეუძლიათ გაეცნონ კლავიატურას და ისწავლონ ხელის პოზიციონირება და სწორი პოზა კლავიატურასთან მუშაობისთვის. ბეჭდვის, როგორც წერის ალტერნატიული ან დამატებითი ფორმის ოფიციალური სწავლა III-IV

კლასიდან იწყება, როცა მოსწავლეებს შეუძლიათ ისწავლონ შეხებით აკრეფა და პტირაქტიკაზე დაყრდნობით იმუშაონ სიჩქარისა და სიზუსტის განვითარებაზე.


## კითხვა

კითხვა წერილობითი ან ბეჭდური სიმბოლოებით მოცემული შინაარსის წვდომის კომპლექსური პროცესია. კითხვის სწავლა მოსწავლისგან საკმაოდ დიდ ფიზიკურ, ემოციურ და გონებრივ ძალისხმევას მოითხოვს. გარდა ამისა, კითხვის უნარი და მოსწავლის გამოცდილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის თვითაღქმასა და თვითშეფასებაზე. წარუმატებლობამ კითხვაში შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ქცევები, შფოთვა და მოტივაციის დაკარგვა.

კითხვის, როგორც მრავალკომპონენტიანი პროცესის მკაფიოდ აღქმაში თეორიული საფუძვლების მიმოხილვა დაგვეხმარება. განვიხილოთ რამდენიმე მოდელი, რომელიც სიღრმისეულად წარმოაჩენს კითხვის დაუფლების პროცესსა და პროცესში მოქმედ სხვადასხვა კომპონენტს.

ადამსი (Adams, 1990) გვთავაზობს 4 ერთეულისაგან შემდგარ კითხვის მოდელს, რომელსაც პროცესორებს უწოდებს. ავტორის აზრით, კითხვა წარმოადგენს ორთოგრაფიული, ფონოლოგიური, შინაარსობრივი და კონტექსტური გადამუშავების შედეგს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკური ფუნქცია აქვს, ისინი ერთმანეთთან მჟიდროდაა დაკავშირებული და ერთდროულად მუშაობენ.

როგორც სურათზე ვხედავთ, ცენტრალური ადგილი კითხვის პროცესში გაგებას, მნიშვნელობის წვდომას უჭირავს. კითხვის პროცესში საჭიროა, მოსწავლემ ამოიცნოს ასოები (ორთოგრაფია), დაუკავშიროს შესაბამის ბერებს და წარმოთქვას (ფონოლოგია), გაიგოს წაკითხულის შინაარსი (მნიშვნელობა) და სიტყვის გაგებისთვის გაითვალისწინოს კონტექსტი. მოცემული კითხვის ციკლი საინტერესოა სპეციალური მასწავლებლებისთვის, რადგან თითოეული კომპონენტის შეფასებით შესაძლებელია, როგორც მოსწავლის საჭიროებების აღმოჩენა, ასევე ინტერვენციის გეგმის შემუშავება გამოვლენილ სირთულესთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ მოსწავლეს აქვს ასოების სწრაფად ამოცნობის სირთულე (ორთოგრაფია) მასთან სწორედ აღნიშნული უნარის განმავითარებელი შესაბამისი აქტივობები დაიგეგმება.



ჩალი (Chall, 1996) კითხვის დაუფლების ეტაპებს გვთავაზობს და გვაჩვენებს უნარების განვითარების დინამიკას ასოების ცნობიდან ტექსტის გაანალიზებასა და კრიტიკულ შეფასებამდე.

0. **პრე-კითხვის ეტაპი.** 0-6 წლამდე ბავშვი იძენს გარკვეულ უნარებსა და დამოკიდებულებას კითხვის პროცესისადმი. იქერს წიგნს ხელში სწორად, არჩევს გარეკანს, ბოლო ყდას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აცნობიერებს, რომ ტექსტი გარკვეულ ენობრივ შინაარსს ატარებს.
1. **დეკოდირების ეტაპი.** მოსწავლე სწავლობს ასოების გარჩევას, ასოების ბეჭრებთან დაკავშირებას, მათ გამოლიანებასა და მნიშვნელობის გაგებას. კითხვის დაუფლების აღნიშნულ ეტაპზე მოსწავლე კითხულობს ნელ-ნელა, სჭირდება გარკვეული ძალისხმევა, რომ წაკითხული სიტყვის, ფრაზის შინაარსი გაიგოს. საყურადღებოა, რომ დეკოდირების ეტაპზე მოსწავლეს შესაძლოა უჭირდეს ამოკითხული სიტყვების გაგება მაშინ, როცა მოსმენით იმავე სიტყვის მნიშვნელობას მარტივად იგებს.
2. **გაწაფული კითხვის ეტაპი.** II-III კლასის მოსწავლეს კითხვაში უკვე გარკვეული გამოცდილება აქვს, შესაბამისად, უფრო მარტივად შეუძლია ამოკითხოს ნაცნობი სიტყვები. კითხვის უნარის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე დეკოდირება ავტომატური პროცესი ხდება და სწორედ ამის შედეგია, რომ მოსწავლე უფრო სწრაფად, მოქნილად და ნაკლები შეცდომების გარეშე კითხულობს. გაწაფული კითხვის ეტაპზე მოსწავლე ასოების ბეჭრებთან დაკავშირებაზე (დეკოდირება) დიდ ძალისხმევას აღარ ხარჯავს, კითხვის პროცესში უმჯობესდება ინტონაცია და მოსწავლე ახერხებს შედარებით უცხო სიტყვების კონტექსტის მიხედვით ამოცნობას.
3. **კითხვა ახლის სწავლისთვის.** კითხვის უნარის განვითარების აღნიშნულ სტადიაზე კითხვა მოსწავლისთვის ერთგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომლის გამოყენებითაც სწავლობს და იგებს ახალს, შეიმეცნებს, იძენს გამოცდილებას, უყალიბდება დამოკიდებულებები სხვადასხვა ტიპის საკითხავის მიმართ. კითხვის უნარის დაუფლების ეს ეტაპი მეოთხე კლასიდან იწყება, როცა მოსწავლეს უკვე შეუძლია საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტების ჩუმად წაკითხვა.
4. **მრავალმხრივი ხედვა.** დაახლოებით IX კლასიდან მოსწავლეს კარგად განვითარებული მეტაკოგნიტური უნარების<sup>3</sup> დახმარებით შეუძლია კითხვის

<sup>3</sup> მეტაკოგნიცია - მოსწავლის მიერ საკუთარი სააზროვნო პროცესების გაცნობიერება და მართვა.

პროცესის შეფასება და მონიტორინგი, სხვადასხვა რთული იდეის წვდომა და შეფასება, ტექსტების ერთმანეთან შედარება.

5. **კონსტრუირება.** კითხვის უნარის განვითარების აღნიშნული ეტაპი ზოგადი განათლების მიღების დასრულების შემდგომ ვლინდება და თანდათან უფრო და უფრო უმჯობესდება. მკითხველი ტექსტებს მიზნობრივად ეცნობა და მასში გადმოცემულ იდეებსა და შეხედულებებს საკუთარი აზრების გასაღრმავებლად და გასამდიდრებლად იყენებს.

აუცილებელია, ვიცოდეთ, რომ ნულოვანი, პირველი და მეორე ფაზა მნიშვნელოვანი საფეხურებია კითხვის დაუფლებისთვის, რადგან ყოველი წინა ეტაპის დაძლევის სირთულე ავტომატურად აფერხებს შემდგომ ეტაპზე გადასვლას.

იმისთვის, რომ უკეთ გავიაზროთ, როგორ მიმდინარეობს კითხვის პროცესი დამწყები მკითხველის შემთხვევაში, ვცადოთ ქვემოთ მოცემული ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა.

  
ნყედაბით ებკლასში განსაგებო რადყუდება ცეკვა  
სწავმოლეთა ლოგიუფონორი არუნ-ევებჩის ვითარგანებას, ცარ  
კიხთვისა და მარმეტყველთლების ძვსაფუელს დგენწარმოას.  
აობამუშ დაუნ რთოსწარიმა ევეას ვლემოსწათა პიულიორთოე  
(წარმომართლთქმის) არუნ-ევებჩის ყალიბებიჩამოსა ად  
ვითგანარების თუმიმარლებით.


ალბათ ტექსტის წაკითხვას თქვენგან საკმაოდ დიდი ძალისხმევა და დრო დასჭირდა, რადგან აკვირდებოდით თითოეულ ასოს და მარცვალს. ახლა კი სცადეთ მეორე ტექსტის წაკითხვა.

  
დაწყებით კლასბში საგანგებო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა  
ფონოლგიური უნარ-ჩვევენის განვითარებას, რაც კითხვისა და  
მართლმეტყველების საფუძველს წარმოადგენს. მუშაობა უნდა  
წარიმართოს ასევე მოსწავლეთა ორთოეპიული  
(მართლწარმოთქმის) უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებსა და  
განვითარების მიმართულებით.

დიდი ალბათობით, მეორე ვარიანტის შეუფერხებლად წაკითხვა მოახერხეთ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სიტყვა შეცდომით არის მოცემული. რადგან თქვენთვის ტექსტის კონტექსტი და თემატიკა კარგად ნაცნობია, კითხვა ავტომატურად მიმდინარეობს და ნაცვლად თითოეული ასოს, მარცვლის ამოკითხვისა, ახერხებთ, რომ გაწაფულად, მყისიერად წაკითხოთ.

აღნიშნული მაგალითები კითხვის აღმავალი და დაღმავალი მოდელების ნათელი ილუსტრაციაა. კითხვის აღმავალი მოდელის მიხედვით კითხვა იწყება ასოების მხედველობითი გარჩევით, შემდგომ ასოების (გრაფემა) ბგერებთან (ფონემა) დაკავშირებით, რასაც მოსდევს ასო-ბგერების სიტყვაში გაერთიანება და ბოლოს, წინადადების წაკითხვა და მნიშვნელობის წვდომა. აღნიშნულის საპირისპიროდ, დაღმავალი მოდელი ძირითად აქცენტს აკეთებს შინაარსზე და კითხვის პროცესში ხაზს უსვამს მკითხველის წინასწარ გამოცდილებას, კონტექსტის შესახებ არსებულ ცოდნას, რომელზე დაყრდნობითაც, ის არ ხელმძღვანელობს ასო-ბგერათა შორის მიმართებების დაყყარებით, არამედ ამოცნობს მთლიან სიტყვებს.

ილუსტრაცია 3. კითხვის აღმავალი და დაღმავალი მოდელი



კითხვის აღმავალი და დაღმავალი მოდელები სხვადასხვა კომპონენტებზე აკეთებენ აქცენტს და რადგან კვლევები ადასტურებს, რომ კითხვა უმეტესწილად ზემოთ აღნიშნული ორივე პროცესის პარალელურად მიმდინარეობის შედეგია, ავტორების მიერ შემოთავაზებულია მათი კომბინაცია, რომელსაც ინტერაქციულ მოდელად მოიხსენიებენ (Nara, 2003). ინტერაქციული მოდელი კითხვის უნარის გამომუშავების დაბალანსებულ მიდგომას ავითარებს და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ასოების ამოცნობას, ასო-ბგერების მარცვლებად და სიტყვებად გაერთიანებას, ასევე მოსწავლის ზოგად ცოდნას წაკითხულის ინტერპრეტაციისთვის.

## რომელი კომპონენტებისგან შედგება კითხვა?

კითხვის უნარის საფუძვლები ადრეული ბავშვობის პერიოდს უკავშირდება და ისეთი კომპონენტები, როგორიცაა, წიგნის ცნობა ყდის მიხედვით, წიგნში ნახატებისა და

ობიექტების ამოცნობა, წიგნის გაზიარება უფროს ადამიანთან, დადებით გავლენას ახდენს შემდგომში კითხვის უნარის დაუფლებაზე. სპეციალისტები თანხმდებიან იმაზე, რომ კითხვის ათვისების პროცესში არსებით როლს ფონოლოგიური უნარების გამომუშავება ასრულებს. სანამ მოსწავლე კითხვას ისწავლის, მან უნდა აღმოაჩინოს და გაიგოს, რომ სიტყვები, რომლებიც ჩვენი საუბრისას ერთგარ ნაკადად მოედინება, ბეგერათა უფრო მცირე ერთეულებად იყოფიან. ფონოლოგიური ცნობიერება სამი იერარქიული ენობრივი კომპონენტისგან შედგება: სიტყვა, მარცვალი და ბეგერა. შესაბამისად, კითხვის შეფასების პროცესში თავდაპირველად ყურადღება უნდა გამახვილდეს პრეაკადემიურ უნარებზე, როგორიცაა ფონოლოგიური ანალიზი და სინთეზი.

**სიტყვების გარჩევა** - მოსწავლემ იცის, რომ სიტყვა საუბრის, ენის ელემენტია, ადარებს სიტყვებს ერთმანეთს და პოულობს მსგავსება-განსხვავებებს.

**წინადადების სიტყვებად სეგმენტაცია** - მოსწავლე ისმენს წინადადებას და ითვლის მასში შემავალი სიტყვების რაოდენობას.

**სიტყვაში მარცვლების გარჩევა** - მოსწავლემ სიტყვაში უნდა ამოიცნოს მარცვლების რაოდენობა.

**ბეგერების დაკავშირება** - მოსწავლე განარჩევს ბეგერებს ერთმანეთისაგან, იცის თითოეულის უღერადობა და შეუძლია ერთსა და იმავე ბეგერაზე დაწყებული სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება.

**ბეგერების სინთეზი** - მოსწავლემ დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე წარმოთქმული ბეგერები უნდა გაართიანოს და მათი შეერთებით შეძლოს სიტყვის გამთლიანება.

**სიტყვების მანიპულაცია** - მოსწავლისგან მოითხოვს უნარს, რომ სიტყვას მოაკლოს რაიმე ფრაგმენტი (ბეგერა, მარცვალი) და თქვას, რა დარჩა. შედარებით მარტივ ამოცანას წარმოადგენს სიტყვის დაბოლოების ჩამოშორება, ვიდრე სიტყვის წარმოთქმა შუაში მყოფი ბეგერის გარეშე.

**პირველი ბეგერის ამოცნობა** - მოსწავლე მოსმენილ სიტყვებში გამოყოფს პირველ, დასაწყის ბეგერას, ასევე შეუძლია დარჩენილი ბეგერათა თანმიმდევრობის წარმოთქმა.

**სიტყვის ბეგერებად დაშლა** - გულისხმობს სიტყვაში შემავალი თითოეული ფონემის (ბეგერის) გამოყოფას და მათი რაოდენობის განსაზღვრას. აღნიშნული ამოცანა გაცილებით უფრო რთულია მოსწავლეებისთვის, ვიდრე სიტყვებში მარცვალთა რაოდენობის დასახელება.

**ბეგერების მანიპულაცია** - წარმოადგენს უნარს, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, სიტყვაში დაამატოს, ამოაკლოს, გადაანაცვლოს ბეგერები და ცვლილებების შედეგად მიღებული სიტყვა წარმოთქვას.

**თვალით კითხვა** - მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც კითხვის დაუფლების საწყის ეტაპზე საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. დამწყები მკითხველი, რომელმაც

ახლახან ისწავლა ასოების ცნობა და გარჩევა, სიტყვის დეკოდირებისთვის საჭიროებს ასო-ბგერათა მიმართებების დამყარებას, ანალიზსა და სინთეზს, უპირატესობას ხმამაღლა კითხვას ანიჭებს, რადგან აღნიშნული სტრატეგია უადვილებს როგორც ამოკითხვას, ასევე წაკითხული სიტყვის, ფრაზისა თუ წინადადების შინაარსის გაგებას. რაც უფრო იხვეწება კითხვის უნარი, მით მეტადაა შესაძლებელი ე.წ. „ჩუმი კითხვა“. თვალით კითხვის დროს არ ხდება წაკითხული ტექსტის ვერბალური რეპრეზენტაცია, არამედ ტექსტი, ვიზუალური მასალა მოსწავლის გონიერები აღიბეჭდება.

ილუსტრაცია 4. ფონოლოგიური უნარები

## ფონოლოგიური ცნობიერების პომპონენტები რა ამოცანას ასრულებს მოსწავლე?

| სიტყვების გარჩევა   | ნინადადების სიტყვებად<br>სეგმენტაცია  | სიტყვაში მარცვლების<br>გარჩევა  |
|---|---|---|
| რომელია ზედმეტი: „მთა, გზა,<br>თხა, ხე“ (პირველი სამი სიტყვა<br>მთავრდება ერთსა და იმავე<br>ბგერაზე);               | დაუკარი ტაში ყველა<br>სიტყვაზე: „ჩიტი ხეზე ზის“.                                  | მოუსმინე სიტყვებს და დაუკარი<br>ტაში იმდენჯერ, რამდენი<br>მარცვალიცა: „ხე“, „ქოლგა“,<br>„ატამი“, „ველოსიპედი“.  |
| <b>ბგერების დაკავშირება</b>   | <b>ბგერების სინთეზი</b>   | <b>სიტყვების მანიპულაცია</b>  |
| მე გეტყვი სამ სიტყვას, მათგან<br>ერთი დაუკავშირე სიტყვა -<br>„ბურთი“. ეს სამი სიტყვაა:<br>„წერო, ბალი, ეზო“.        | „თ-ო-ლ-ი-ა“ რა სიტყვა<br>გამოვიდა?  | რა სიტყვა გამოვა, თუ სიტყვაში<br>„მამალი“ მოვაკლებთ „ლი“?; რა<br>გამოვა, თუ სიტყვაში „ტორტი“<br>არ იტყვი ბგერას „რ“?  |
| <b>პირველი ბგერის ამოცნობა</b>  | <b>სიტყვის ბგერებად დაშლა</b>   | <b>ბგერების მანიპულაცია</b>   |
| რა ბგერაზე იწყება სიტყვა<br>„ფონოლონი“? როცა მოსწავლე<br>დაასახელებს „ფ“, ვეკითხებით:<br>„შემდეგ რა ბგერები მოდის?“ | დააბაკუნე ფეხი იმდენჯერ,<br>რამდენი ბგერაცაა სიტყვაში -<br>„ცა“, „ჭიქა“, „სკოლა“. | მე გიტყვი სიტყვას, შენ<br>მითხარი, როგორ იქნება ბოლო<br>ასოდან, რომ დავინყოთ თქმა -<br>„ხელი“ (ილებ); რა სიტყვა<br>გამოვა, თუ „ხ“-ს ნაცვლად იტყვი<br>„ც“-ს? (ცელი). |

წერილობითი ან ნაბეჭდი კოდის აღქმა - ფონოლოგიური ცნობიერების მსგავსად ერთ-ერთ პრეაკადემიურ უნარს წარმოადგენს. მანამ, სანამ ბავშვი ასოების ცნობას ისწავლის და შეძლებს დამოუკიდებლად წაკითხვას, მას უნდა ჩამოუყალიბდეს გარკვეული ცოდნა წასაკითხი მასალისადმი. კერძოდ, განსაზღვრავს წიგნში ადგილს, საიდანაც იწყება ტექსტი, მიუთითებს ცალკეულ სიტყვებზე ან ფრაზებზე, ამოიცნობს კითხვისთვის საჭირო მიმართულებას (მარცხნიდან მარჯვნივ აყოლებს თითს), შეუძლია დაითვალის ტექსტში მოცემულ წინადადებაში სიტყვათა რაოდენობა (ხვდება, რომ სიტყვები ვიზუალურად სივრცეებითაა დაშორებული), პოულობს ილუსტრაციებს წიგნში.


ფონოლოგიური ცნობიერება, როგორც კითხვის ძირითადი, პრეაკადემიური უნარი ვლინდება მანამ, სანამ მოსწავლე ასოების ცნობას ისწავლის. კითხვა წარმოუდგენელია გრაფიკული სიმბოლოების გარეშე, სწორედ გრაფემების (ასოები) გაერთიანება, მათი ბერებთან შესატყვისობისა და გამთლიანების შედეგია კითხვა. შესაბამისად, კითხვის შემდეგ კომპონენტად განვიხილავთ ასოების ცნობას.

**გრაფემის (ასოს) ამოცნობა და გარჩევა** - მოსწავლის თავდაპირველი კომუნიკაცია ანბანთან იწყება იმის მიხვედრით, რომ გრაფიკულად გამოსახული სიმბოლოები რაიმე მნიშვნელობას ატარებს. ეს კი ვლინდება იმით, რომ ბავშვი ვითომ-ვითომ კითხულობს ან აყოლებს თითს წიგნში მოცემულ ტექსტს. პირველი კლასიდან კი ანბანს ეუფლება, შესაბამისად, კითხვის მნიშვნელოვანი კომპონენტი ასოების ვიზუალურად გარჩევა და ამოცნობაა.

**ასოების ბერებთან დაკავშირება** - ასოს თითოეულ გრაფიკულ გამოსახულებას შესაბამისი აკუსტიკური ჟღერადობა აქვს, რასაც ფონემას ანუ ბერებს ვუწოდებთ. როდესაც მოსწავლე ასახელებს, წარმოთქვამს იმ ასოს, რომელსაც ხედავს, ვიზუალურ სიმბოლოს გარდაქმნის ბერებად.

**დეკოდირება** - ასოების ბერებთან დაკავშირებას, ბერების სიტყვად გაერთიანებას და წაკითხული სიტყვის მნიშვნელობის გაგებას დეკოდირება ეწოდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დეკოდირება ნაბეჭდი ან წერილობითი სიტყვის გაშიფრის პროცესია. მაგალითად, მოსწავლემ უნდა წაიკითხოს სიტყვა „წვიმა“. სიტყვის ამოკითხვისთვის ის უნდა ცნობდეს და არჩევდეს ხუთივე ასოს, შეეძლოს ასოების ბერებთან დაკავშირება (დასახელება), შემდგომ ასო-ბერებთა თანმიმდევრულად გაერთიანება და წაკითხული სიტყვის შინაარსის გაგება. თუ მოსწავლემ წარმატებით შეასრულა პირველი სამი ამოცანა, მაგრამ ვერ გაივო წაკითხული სიტყვის შინაარსი - ასეთ შემთხვევაში დეკოდირებაზე ვერ ვისაუბრებთ.

ილუსტრაცია 5. სიტყვის წაკითხვის პროცესი



**გაწაფული კითხვა** დაკავშირებულია კითხვის ტექნიკასთან, რა ტემპით, როგორი ინტონაციითა და სიზუსტით კითხულობს მოსწავლე. ტემპი შესაბამისია მაშინ, როდესაც წაკითხული სიტყვა ჟღერს არა დანაწევრებულად, არამედ მთლიანობითად, ხოლო წინადადებაში ამოკითხული სიტყვები ერთმანეთისგან განირჩევიან და მათ შორის არ არის 0,5 წამზე მეტი ხანგრძლივობის პაუზა. კითხვისას შესაბამის ინტონაციას განსაზღვრავს სასვენი ნიშნების ცოდნა. კერძოდ, რამდენად შეუძლია მოსწავლეს კითხვისას მძიმესთან, წერტილთან შეჩერება, კითხვითი ნიშნის შემთხვევაში კითხვით სიტყვაზე მახვილის გაკეთება. კითხვის სიზუსტე უშუალოდ სიტყვებში ასო-ბერებისა და წინადადებაში სიტყვების სწორი თანმიმდევრობით წაკითხვას, რეგრესიას (თვალის უკუმიმართულებით მოძრაობა) და სიტყვაში დომინანტური ასოების (დასაწყისსა და ბოლოში მოცემული თანხმოვნები) სწრაფ ამოცნობას უკავშირდება.

**გაგება** წაკითხული სიტყვის, ფრაზის, წინადადების თუ ტექსტის შინაარსის წვდომაა. კითხვის მიზანი სწორედ წაკითხულიდან აზრის გამოტანა, მნიშვნელობის გაგებაა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, განსაკუთრებით დამწყები მკითხველის შემთხვევაში, როცა მოსწავლეს შეუძლია ამოკითხოს ცალკეული ფრაზები და წინადადებები, თუმცა იმდენად დიდ ძალისხმევას ხარჯავს აკურატულ, სწორ, მოქნილ ამოკითხვაზე, რომ წაკითხული სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება, მთლიანობით აღქმა და მნიშვნელობის წვდომა უჭირს. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კითხვის სწავლა ერთდროულად ორიენტირებული იყოს როგორც კითხვის ტექნიკურ, ასევე, შინაარსობრივ მხარეზე, წაკითხულის შინაარსის გაგებაზე.

## როგორ შევაფასოთ კითხვა?

კითხვის უნარის შეფასებისთვის სპეციალურმა მასწავლებელმა ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვანი გზები უნდა გამოიყენოს. როდესაც ვაკვირდებით მოსწავლის მიერ სხვადასხვა დავალების შესრულების პროცესს, მნიშვნელოვანია, პარალელურად მივიღოთ პასუხები მოსწავლის კითხვისადმი განწყობის, დამოკიდებულების შესახებ:

- როგორ გრძნობს მოსწავლე თავს კითხვის პროცესში?
- რამდენად გამოხატავს ინტერესს მიწოდებული საკითხავი დავალებებისადმი?
- მიწოდებული საკითხავი მასალიდან რომელი სიტყვების, ფრაზების ამოკითხვა უადვილდება და პირიქით?
- რა ტიპის შეცდომას უშვებს კითხვისას ყველაზე ხშირად?
- რამდენად კონცენტრირებულია მიწოდებულ საკითხავ მასალაზე?
- რამდენად ახერხებს კითხვის პროცესში დაშვებული შეცდომების შესწორებას?
- რამდენად იცვლება მოსწავლის განწყობა, ემოციები, ჩართულობის ხარისხი დაშვებული შეცდომების შემდგომ?

ქვემოთ განხილულია კითხვის უნარის შეფასების არაფორმალური მეთოდები და ინსტრუმენტები. კითხვაზე დაკვირვების სკალა რეიტინგული ინსტრუმენტია, რომლის გამოყენება შესაძლებელია საკმაოდ ფართო ასაკობრივ ჯგუფში (7 - დან 17 წლამდე). ინსტრუმენტის გამოყენება მოითხოვს მოსწავლეზე დაკვირვებას საგავეთილო პროცესში ან ინდივიდუალური მეცადინეობების დროს კითხვასთან დაკავშირებულ 4 ძირითადი მიმართულებით: ბაზისური უნარები, დეკოდირება, გაწაფულობა და გაგება.

ცხრილი 5. კითხვის უნარის შეფასების კითხვარი

|  | თარიღი | თარიღი | თარიღი |
|--|--------|--------|--------|
| <b>ბაზისური უნარები</b>  |        |        |        |
| ამთლიანებს ბერებს  | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| შლის სიტყვას ბერებად, მარცვლებად   | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| აკავშირებს ასოებს ბერებთან   | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| <b>დეკოდირება</b>  |        |        |        |
| კითხულობს და იგებს ერთმარცვლიან სიტყვებს   | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| კითხულობს და იგებს ღია ორმარცლიან სიტყვებს   | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| კითხულობს და იგებს სიტყვებს, თანხმოვანთა კომბინაციებით                               | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| კითხულობს და იგებს კომპოზიტებს (მაგ: მთა - ბარი)                                     | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| კითხულობს წინადადებას და ესმის მისი შინაარსი   | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| მთლიანობითად ამოიცნობს სიტყვებს  | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| <b>გაწაფულობა</b>  |        |        |        |
| კითხულობს მსმენელისთვის გასაგები ტემპით  | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| კითხულობს მსმენელისთვის გასაგები ტონით   | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| კითხულობს ფრაზის, წინადადების, ტექსტის შესაბამისი ინტონაციით                         | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| ცვლის ინტონაციებს სასვენი ნიშნების მიხედვით  | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| კითხულობს შეყოვნებების, გამორებების გარეშე   | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| სიტყვებს კითხულობს სწორად (95 %-ით)  | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| <b>გაგება</b>  |        |        |        |
| სვამს შეკითხვებს კითხვისას გაუგებარი სიტყვების, მნიშვნელობების დასაზუსტებლად         | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს   | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| პასუხობს ტექსტში პირდაპირ მოცემულ შინაარსზე დასმულ შეკითხვებს                        | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| პასუხობს ტექსტში ნაგულისხმევ შინაარსზე დასმულ შეკითხვებს                             | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |
| უკეთ გასაგებად იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას (გაუგებარ მონაკვეთს კითხულობს ხმამაღლა, | ს პ ი  | ს პ ი  | ს პ ი  |

|   |  |  |  |
|---|--|--|--|
| კითხულობს რამდენჯერმე, მონიშნავს საკვანძო<br>ეპიზოდებს) |  |  |  |
| ჩანიშვნები დაკვირვება 1-დან                             |  |  |  |
| ჩანიშვნები დაკვირვება 2- დან                            |  |  |  |
| ჩანიშვნები დაკვირვება 3- დან                            |  |  |  |

სიტყვების სია წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია დეკოდირების, სისხარტისა და სიტყვების ამოცნობის უნარების შეფასება. შეფასების პროცესში მოსწავლეს მიეწოდება სიტყვათა ჩამონათვალი, მარტივიდან რთულისაკენ. დაკვირვებელი ინიშნავს, რომელ სიტყვებს კითხულობს მოსწავლე შეუფერხებლად, რომლებს - ვერა. რომლის შინაარსი ესმის და რომლის არა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სიტყვათა ჩამონათვალი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებიდან 1-დან 4 კლასის ჩათვლით. სპეციალურ მასწავლებელს თავადაც შეუძლია მსგავსი ტიპის არაფორმალური შეფასების ცხრილის შექმნა და გამოყენება.

ცხრილი 6. კითხვის შეფასება - სიტყვების სია

| 1 დონე | 2 დონე      | 3 დონე         | 4 დონე        |
|--------|-------------|----------------|---------------|
| მიმი   | ეტლი        | სახელგანთქმული | მთავარსარდალი |
| მაია   | ცხელი       | დააარსა        | ქორბუდა       |
| დედა   | ღარიბი      | გამოცანა       | ნაკადული      |
| დიდი   | მშვიდი      | სამშობლო       | სტრიქონი      |
| ატამი  | გადაღრღნა   | ძმები          | პირნათელა     |
| იწვი   | ამბავი      | თავაზიანი      | გამრავლებული  |
| ია     | ბრწყინვავს  | ფრენა          | შესაძლებელია  |
| საათი  | წყალი       | აბზაცი         | შეთანხმება    |
| მამიდა | ლეგენდა     | თანხმოვანი     | გასუსული      |
| ირემი  | ლექსი       | სახელოვანი     | დაბრკოლება    |
| ნიორი  | ტექსტი      | საუცხოო        | გადააბიჯებს   |
| ენა    | დაზიანებული | მოგზაური       | მომცრო        |
| თითო   | ძლიერი      | სულსწრაფი      | უზარმაზარი    |
| კარი   | ამაყი       | დაუზარელი      | შთაბეჭდილება  |
| მათე   | კვლავ       | აღმაფრენა      | ფიცხი         |

ეპიზოდის კითხვა და შეცდომების მარკირება საკმაოდ მოქნილ შეფასების მეთოდს წარმოადგენს. საჭიროა მხოლოდ მოსწავლისთვის შერჩეული საკითხავი ტექსტის ორი ეგზემპლარი, ერთი - მოსწავლისთვის, მეორე - შემფასებლისთვის. მოსწავლე კითხულობს ტექსტს, ხოლო დაკვირვებელი წინასწარ არსებული ნიშნების გამოყენებით ინიშნავს დაშვებულ შეცდომებს. ქვემოთ მოცემულია მარკირების ნიმუში, თუმცა, შესაძლებელია შემფასებელმა მისთვის მოსახერხებელი სიმბოლოთა სისტემა შეიმუშაოს.

ცხრილი 7. კითხვის შეფასება - მონიშვნის სისტემა

| კითხვის კომპონენტი                              | მონიშვნის სისტემა  | ნიმუში                     |
|---|--|----------------------------|
| სიტყვების სწორად ამოკითხვა                      | ყოველი სწორად წაკითხული სიტყვა<br>მონიშვნეთ შემდეგი სიმბოლოთი -          | <br>ძალის მშვიდად სძინავს. |
| სიტყვაში ასოების გამოტოვება<br>ან გადანაცვლება  | თუ მოსწავლე წაკითხულ სიტყვაში ტოვებს<br>ან ანაცვლებს ასოებს მონიშვნეთ -  | <br>ძალის მშვიდად სძინავს. |
| სიტყვის შეცვლა                                  | თუ მოსწავლე სხვა სიტყვას წაკითხავს,<br>დააწერეთ ზემოთ წარმოთქმული სიტყვა | <br>ძალის მშვიდად სძინავს. |
| სიტყვის გამოტოვება                              | თუ მოსწავლე სიტყვას გამოტოვებს<br>მონიშვნეთ შემდეგი სიმბოლოთი -          | <br>ძალის მშვიდად სძინავს. |
| ასო-ასო ან მარცვლებით<br>ამოკითხვა              | თუ მოსწავლე დამარცვლით, ასო-ასო<br>წაკითხავს მონიშვნეთ წყვეტილი ხაზებით  | <br>ძალის მშვიდად სძინავს. |
| სიტყვის გამეორება                               | თუ მოსწავლე სიტყვებს იმეორებს,<br>დაახატეთ ზემოთ ორი ხაზი                | <br>ძალის მშვიდად სძინავს. |
| თვითშესწორება                                   | თუ მოსწავლე სიტყვას არასწორად<br>კითხულობს, მაგრამ თავად ასწორებს        | <br>ძალის მშვიდად სძინავს. |
| ხანგრძლივი პაუზები, ყოყმანი<br>კითხვის პროცესში | თუ მოსწავლე კითხვას პროცესში ფერხდება,<br>ქვემოთ, გასწროვ მონიშვნეთ -    | <br>ძალის მშვიდად სძინავს. |
| ვერ ახერხებს სიტყვის<br>წაკითხვას               | თუ მოსწავლე ვერ კითხულობს სიტყვას<br>მონიშვნეთ შემდეგი სიმბოლოთი -       | <br>ძალის მშვიდად სძინავს. |

აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია კითხვაში ტიპური, ყველაზე ხშირად გამოვლენილი შეცდომების აღრიცხვა და შესაბამისად, ინტერვენციის დაგეგმვა. ასევე, შეცდომათა მონიშვნის სისტემა სპეციალურ მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, რაოდენობრივად შეაჯეროს და გამოთვალის, რამდენად აკურატულად, სიზუსტით კითხულობს მოსწავლე. ამისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$\text{წაკითხული სიტყვების ჯამური რაოდენობა - შეცდომათა რაოდენობა} \times 100 =$$

**წაკითხული სიტყვების ჯამური რაოდენობა**

მაგალითად, თუ მოსწავლემ ჯამში წაკითხა 50 სიტყვა და აქედან 6 შეცდომით, კითხვის სიზუსტის პროცენტული მაჩვენებელი იქნება (50-6) : 50 x 100 = 88%. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, წაკითხულ ტექსტში მოსწავლის სიზუსტის მაჩვენებელი თუ 89 პროცენტზე დაბალია, ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტი საკმაოდ რთულია მისთვის, ნაკლებად შეესაბამება მოსწავლის კითხვის უნარის აქტუალურ დონეს და შესაძლებელია, კითხვის პროცესი მისთვის ემოციურად წევაზე დამუხტული გახდეს.

კითხვის უნარის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი წაკითხულის გაგებას უჭირავს. მოსწავლეს წასაკითხად მიეწოდება სიტყვა, ფრაზა, ტექსტი თუ მოთხოვთა, მნიშვნელოვანია, შემფასებელმა დაადგინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ამოკითხვის შედეგად ინფორმაციის გაებას. შინაარსის წვდომის შეფასების ყველაზე მარტივი გზაა, ვთხოვთ მოსწავლეს, გადმოსცეს წაკითხული ტექსტის შინაარსი. თუმცა, რადგან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები

განსხვავდებიან თხრობის, ენა-მეტყველების უნარების განვითარებით, შეფასების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

წაკითხულის გაგების შეფასებისთვის შესაძლებელია მოსწავლისთვის სხვადასხვა ტიპის დავალების მიწოდება და მის მიერ გამოვლენილი უნარების, დავალების შესრულების აღწერა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ნიმუში მარტივიდან რთულისკენ. პირველ მაგალითში, მოსწავლეს მოეთხოვება წაკითხოს სიტყვა, შემდეგ კი დააკავშიროს შესაბამის ილუსტრაციასთან.

ილუსტრაცია 6. კითხვის სავარჯიშო - სიტყვა და სურათი



მსგავსი ტიპის დავალების მოდიფიცირებულ ვერსიაში მოსწავლე კითხულობს მარტივ წინადადებას და სამი ილუსტრაციიდან არჩევს ყველაზე შესაბამისს.

ილუსტრაცია 7. კითხვის სავარჯიშო - წინადადებება და სურათი



როდესაც ფასდება სიტყვების გაგების დონე, მნიშვნელოვანია, დავალებები მოიცავდეს როგორც არსებითი სახელების წაკითხვას, ასევე ზმნას, ნაცვალსახელს, ზმნიზედას. შეფასების პროცესში სპეციალური მასწავლებელი ინიშნავს მოსწავლის სწორ და არასწორ პასუხებს. მნიშვნელოვანია, შემფასებელი დარწმუნებული იყოს იმაში, რომ მოსწავლისთვის სიტყვა ნაცნობია.

წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგების შეფასებისთვის შესაძლებელია, მოსწავლეს მიეწოდოს ტექსტი ან ტექსტის გარკვეული ეპიზოდი, შემდეგ კი შინაარსთან დაკავშირებული შეკითხვების დასმით შეფასდეს წაკითხულის გაგება. წაკითხულის

გააზრების შეფასებისას საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს სამ ისეთ მნიშვნელოვან კრიტერიუმზე, როგორიცაა: ტექსტში პირდაპირ მოცემული ინფორმაციის, ტექსტის არაპირდაპირი, ნაცულისხმევი აზრის, ტექსტის იდეის გაგება და ტექსტის სტრუქტურის, შინაარსის თანმიმდევრობის გააზრება.

ილუსტრაცია 8. წაკითხულის შინაარსის გაგება

## თევზაობა

დათამ დილით ადრე გაიღვიძა. დაამთქნარა და გაიფიქრა, მოდი დღეს სათევზაოდ წავალო. აიღო ანკესი და გზას გაუდგა.

მალე ზუკა შეხვდა. მეც წამიყვანეო, შეეხვეწა. კარგიო, დათანხმდა ზუკა და ერთად გაუდგნენ გზას.

ცოტა ხანში გზაზე ლილე დაინახეს. ლილესაც მოუნდა სათევზაოდ წასვლა და მეგობრებს გაჰყვა.

დაიწყეს თევზაობა. ანკესი წყალში ჩააგდეს და განაბულები ელოდნენ თევზის გამოჩენას. უცებ, ანკესი შეირხა. ზუკა თავისკენ ექაჩებოდა, დათა - თავისკენ. ორივე ამბობდა, არა ჩემია, არა ჩემიო. ამ განევ-გამოწვევაში დათა მიწაზე გაიშოტა, ზუკამ კი წყალში მოადინა ტყაპანი.

**შეკითხვები:**

1. როდის გაიღვიძა დათამ?
2. სად წავიდნენ მეგობრები?
3. ვინ წავიდა სათევზაოდ?
4. რა აიღო დათამ?
5. რა ერქვა გოგონას?
6. რა დაემართა ბიჭებს?
7. სად ჩავარდა ზუკა?

**ტექსტში პირდაპირ მოცემული ფაქტები**

1. როგორ ფიქრობ, რატომ იჩხუბეს დათამ და ზუკამ?
2. როგორ შეიძლება მოქცეულიყვნენ მეგობრები?

შექსტის იდეის  
გააზრება






## თხრობა

თხრობა,- მისი ყველაზე გავრცელებული და მარტივი განმარტებით ამბის გადმოცემაა. სიტყვის ფესვები მომდინარეობს ლათინური ტერმინიდან „ნარატივი“ (Narrative), რაც მოყოლას ნიშნავს. გასათვალისწინებელია, რომ თხრობა ყოველთვის არ უკავშირდება ვერბალურ გადმოცემას, რადგან, შეიძლება იყოს როგორც სიტყვიერი, ასევე წერილობითი ანდა ალტერნატიული კომუნიკაციით გაშუალებული. თხრობა წარმოადგენს უნარს, რომლის გამოყენებით მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს რაიმე ამბავი, იქნება ეს მის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენა თუ მოსმენილი ან წაკითხული შინაარსი. თხრობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გულისხმობს რეალური ან გამოგონილი ამბის, ისტორიის გადმოცემას, რომელსაც აუცილებლად აქვს გარკვეული წყობა და შინაარსის ფრაგმენტები კავშირშია ერთმანეთთან.

მნიშვნელოვანია, თხრობა განვასხვაოთ ინფორმაციის, ფაქტების, ტექსტების დამახსოვრებისგან. თხრობის დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლემ თავისი სიტყვებით გადმოსცეს ამბავი ისე, რომ შეძლოს ამბის ლოგიკური განვითარების ხაზის წარმოჩენა.

თხრობა მოსაუბრისგან მოითხოვს გახანგრძლივებულ მონოლოგს, აუდიტორიის პერსპექტივის გათვალისწინებას იმგვარად, რომ არ საჭიროებდეს უწყვეტ, მიმდინარე უკუკავშირს ამბის გადმოცემის პროცესში (Westby, 1985). თხრობა განსხვავდება ყოველდღიურ კომუნიკაციაში ენისა და მეტყველების გამოყენებისგან იმით, რომ მთხოვნელი ამბის გადმოცემისას ფაქტების, მოვლენების თანმიმდევრობას ლოგიკური წესის მიხედვით აწყობს და ორიენტირებულია შინაარსის მსმენელისთვის გადაცემაზე. ამბის სტრუქტურის, წინადადებათა წყობის ორგანიზება და სიტყვების შერჩევა თავად მთხოვნელზეა დამოკიდებული.

თხრობის უნარი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კარგად აქვს მოსწავლეს ათვისებული ენის გრამატიკული წესები, რამდენად მდიდარია მისი ლექსიკა და რამდენად კარგად აქვს განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები. მეტაკოგნიცია მოსწავლის მიერ საკუთარი სააზროვნო პროცესების გაცნობიერება და მართვაა. თხრობის პროცესში მეტაკოგნიტური პროცესები მნიშვნელოვნად აქტიურდება, რადგან მთხოვნელს უწევს შეაფასოს, რამდენად ახერხებს, ზუსტად გადმოსცეს სათქმელი.

თხრობის უნარის განვითარება ადრეული ასაკიდანვე იწყება. ხშირად მშობლები და მასწავლებლები ბავშვს უბიძებენ მოჰყვეს, რა მოხდა უახლოეს წარსულში. სწორედ ამგვარად იწყებს განვითარებას თხრობის უნართან დაკავშირებული კომპეტენციები, რაც ლექსიკური მარაგის გამდიდრების, სინტაქსის ათვისების კვალდაკვალ უფრო და უფრო იხვეწება.

## რომელიკომპონენტებისგან შედგება თხრობა?

თხრობა, ყველაზე ფართო განმარტებით ამბის გადმოცემაა, თუმცა, იმის მიხედვით, თუ რასთანაა დაკავშირებული ამბავი და თხრობის პროცესში რა დეტალებია საკვანძო, შესაძლებელია თხრობაში ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შემდეგი სამი ფორმა: **პერსონალური ნარატივი, ამბის გაგება და ამბის გადმოცემა.**

**პერსონალური ამბავი** მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მის წარსულთან ან სამომავლო ხედვებთანაა დაკავშირებული.

**ამბის გაგება** გულისხმობს რაიმე მოთხოვნის, ისტორიის, ამბის გაცნობას (წაკითხვას ან მოსმენას), ხოლო შემდეგში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას ან აღწერას ილუსტრაციებზე დაყრდნობით.

**ამბის გადმოცემა** კი უშუალოდ წარმოადგენს უნარს, რომელიც ვლინდება მაშინ, როდესაც მოსწავლე თავად პყვება მოსმენილ ან წაკითხულ ამბავს.

შეფასების პროცესში, ხშირად თხრობის სამივე ფორმა გამოიყენება. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რა ამოცანის წინაშეც არ უნდა იდგეს მოსწავლე თხრობის დროს, ყურადღება უნდა გავამახვილოთ თხრობის უნარის რამდენიმე მახასიათებელზე. ესენია:

**შინაარსი** ყველა ამბავს, იქნება ეს პირადი ბიოგრაფიული მომენტი მოსწავლის ცხოვრებიდან თუ მოსმენილი, წაკითხული ისტორია, აქვს გარკვეული შინაარსი, რომლის გადმოცემაც თხრობის აუცილებელიკომპონენტია. თუ ყოველდღიურ დიალოგში, მოსწავლის ნათქვამ წინადადებებსა და ფრაზებს შესაძლოა სხვადასხვა, მრავალფეროვანი დანიშნულება ჰქონდეს (მაგალითად, მოთხოვნილების დაკმაყოფილება - როცა მოსწავლე ამბობს, რომ სწყურია), თხრობის მთავარი მიზანი მსმენელისთვის ამბის გადაცემაა.

**თანმიმდევრობა** თხრობის ერთგვარ სტრუქტურას წარმოადგენს. იმისთვის, რომ თხრობით გადმოცემული ამბავი მსმენელისთვის გასაგები იყოს, მნიშვნელოვანია შინაარსის თანმიმდევრულად გადმოცემა. თანმიმდევრობაში მოიაზრება როგორც ამბის, მოთხრობის, ისტორიის განვითარების ხაზის ჩვენება, ასევე ცალკეული დეტალების ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა.

**კავშირები** თხრობის პროცესში მთხრობელს ეხმარება გადმოსცეს ამბავი, როგორც ერთი მთლიანი და არა დანაწევრებული, ცალკეული სიუჟეტების ერთიანობა. შესაბამისად, თხრობა მოსწავლისგან მოითხოვს სხვადასხვა მონაკვეთების, პასაჟების, აბზაცების ერთმანეთთან დაკავშირებას.

**ლექსიკა** დაკავშირებულია თხრობის პროცესში სიტყვების, ფრაზების შერჩევასთან. რაც უფრო მრავალფეროვანია მოსწავლის ლექსიკა, მით უფრო გაჯერებულია გადმოცემული ამბავი მრავალი დეტალით, რაც, საბოლოო ჯამში, მსმენელისთვის მეტად საინტერესო ხდება.

**არავერბალური სტრატეგიების გამოყენება** დაკავშირებულია თხრობის პროცესში ისეთი არავერბალური მიმანიშნებლების გამოყენებასთან, როგორიცაა ჟესტები, მიმიკა, ხმის ტონისა და ინტონაციის ცვალებადობა. არავერბალური სტრატეგიების გამოყენებით მთხრობელს შესაძლებლობა აქვს ექსპრესიულად გადმოსცეს სათქმელი, გამოყოს და აქცენტი გააკეთოს მისთვის ან მსმენელისთვის მნიშვნელოვან, საკვანძო დეტალებზე.

## როგორ შევაფასოთ თხრობის უნარი?

თხრობის შეფასების არაფორმალურ მეთოდებს შორის ფართოდ გავრცელებულია რუბრიკების გამოყენება, რომელიც მოითხოვს მოსწავლის თხრობის პროცესზე დაკვირვებას და პროცესში წინასწარ მომზადებული კრიტერიუმების მიხედვით შეფასებას. პირველ რიგში, საჭიროა, სპეციალურმა მასწავლებელმა შეარჩიოს მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გარკვეული სირთულის ტექსტი, რომელსაც წაუკითხავს მას. შემდეგ კი, სთხოვს მოყოლას. ბუნებრივი კონტექსტის შენარჩუნებისთვის, სასურველია, მოსწავლემ მოსმენილი ამბავი მესამე, მისთვის ნაცნობ პირს მოუყვეს. შესაძლებელია თხრობის პროცესის აუდიო ჩანაწერის გაკეთება, რათა შემდგომში შემფასებელს გაუადვილდეს ყველა იმ კრიტერიუმზე დაკვირვება, რომელიც რუბრიკაშია მოცემული. განვიხილოთ ტექსტისა და შეფასების რუბრიკის ნიმუში.

ილუსტრაცია 9. ადაპტირებული ტექსტი "თოვლის ბაბუა დწება"

### თოვლის ბაბუ აცემინებას

ზამთარი იყო და ძალიან ცილდა. ირგვლივ ყველაფერი თოვლით გადათეთრებალიყო. ეზოში თოვლის ბაბუ გაოცებული თვალებით არე - მარეს ათვალიერებდა. ძალიან სცირდა და აცემინებდა. ხმამაღლა გაიფიქრა: „თბილ კაკაოს დავლევდი“. საიდანღაც ბავშვები გაჩნდნენ. გაიგონეს თოვლის ბაბუს ხმა და თბილი ჰიქა მიაწოდეს. თოვლის ბაბუმ მოსვა ცხელი კაკაო და კოროორკ.... დადნა.

ბავშვებმა მოიწყინეს, მაგრამ გადაწყვითეს თბავიდან აეშენებინათ თოვლის განდებისგან თოვლის ბაბუ. ასეც მოიქცნენ. ააშენეს თუ არა, უცებ თოვლის ბაბუმ დაბაცემინა: „ააააააა, მც... ძალიან, ძალიან მცირა. ვკანკალებ, რამე თბილს მოვიხსრავდი“ - ჩარჩულებადა თოვლის ბაბუ. გოგონამ თავისი ჰემპრი მისცა, შემდეგ უცდიც. თოვლის ბაბუ მაინც კანკალებდა და აცემინებდა. ხმამაღლა გაიფიქრა: „ცხელი აბაზანა გამათბობდა“. ბავშვება წყალი აუვსეს, ჩაწვა თოვლის ბაბუ და კოროორკ..... დადნა.

ისევ თავიდან ააშენეს. თოვლის ბაბუმ დააცემინა: „აააააა, მც....“ ბიჭუნამ თავისი კაშნი შემოახვია, მაგრამ თოვლის ბაბუ მაინც კანკალებდა: „ვვვვვვვვვვვვვ“... ხმამაღლა გაიფიქრა: „კოცლნი რომ იყოს, გამათბობდა“. დაუნიეს ბავშვებმა ცეცხლი, მიეფიცხა თოვლის ბაბუ და ჰოპ..... დადნა.

ისევ თავიდან ააშენეს ბავშვებმა თოვლის ბაბუ და უთხრეს: „მართალია სიცივეა, მაგრამ მოდი, ვიმსიარულოთ“. ყველა ერთად, მხიარულად ნაყინის საჭმელად გამშურა.

ადაპტირებულია მურან ვრაითის წიგნიდან „Sneezy The Snowman“

### ცხრილი 8. თხრობის შეფასების რუბრიკა

| კომპონენტი    | კრიტერიუმი   | 0 = სუსტი შესრულება | 1 = საშუალო შესრულება | 2 = კარგი შესრულება |
|---------------|--|---------------------|-----------------------|---------------------|
| ალწერა        | აღწერს მოსმენილი ამბის შინაარს წინადადებების გამოყენებით |                     |                       |                     |
| კავშირები     | ლოგიკურად აკავშირებს წინადადებებს ერთმანეთთან            |                     |                       |                     |
| თანმიმდევრობა | გადმოსცემს ამბავს მოთხოვობის შინაარსის თანმიმდევრობით    |                     |                       |                     |

|                                   |   |  |  |  |
|-----------------------------------|---|--|--|--|
| ლექსიკა                           | იყენებს ტექსტთან მიახლოებულ<br>ლექსიკას   |  |  |  |
| გრამატიკა                         | წინადადებების სტრუქტურა,<br>სინტაქსი მკაფიოს ხდის ამბის<br>შინაარსს                                       |  |  |  |
| დეტალები                          | გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის<br>დეტალებს  |  |  |  |
| დასკვნა                           | თხრობის დასასრულს აკეთებს<br>დასკვნას ან შეჯამებას  |  |  |  |
| არავერბალური<br>ნიშნები           | თხრობისას იყენებს თვალით<br>კონტაქტს, ხმის ტონით,<br>ინტონაციით აკეთებს აქცენტს<br>მნიშვნელოვან დეტალებზე |  |  |  |
| პირადი<br>მოსაზრების<br>გამოხატვა | თხრობის პროცესში და შემდგომ<br>აფიქსირებს საკუთარ პოზიციას  |  |  |  |

ხშირ შემთხვევაში, როცა მოსწავლეს აქვს ენა-მეტყველებასთან დაკავშირებული გამოკვეთილი სირთულეები, საჭირო ხდება თხრობის უნარის შეფასებისთვის საჭირო მასალების მოდიფიცირება. მაგალითად, ზემოთ მოცემულ ნიმუშში, თუ მოსწავლეს გაუძნელდება მოსმენილი ტექსტის გადმოცემა, შესაძლებელია სტიმულისთვის შინაარსთან დაკავშირებული ვიზუალური მასალის მიწოდება და ამბის გადმოსაცემად საყრდენი შეკითხვების გამოყენება.

ილუსტრაცია 10. "თოვლის ბაბუა დწება" მოთხრობის ნახატები



|  |
|--|
| <b>საყრდენი შეკითხვები</b>               |
| რა მოხდა თავიდან? (როგორ დაიწყო ამბავი?) |
| შემდეგ რა მოხდა?                         |
| ბოლოს რა მოხდა? (როგორ დასრულდა ამბავი?) |

თხრობის უნარის შეფასებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსიკური და გრამატიკული კომპონენტები. აღნიშნული კომპონენტების შეფასებისთვის შესაძლებელია სიხშირეთა ცხრილების გამოყენება როგორც მოსმენილი ამბის, ასევე ნარატიული შინაარსის გადმოცემისას. ნარატიული ანუ პირადი ისტორიის გადმოცემა თხრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის შეფასება შესაძლებელია მოსწავლისთვის დრა, ინტერვიუს ტიპის შეკითხვების დასმით. მაგალითად, სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, მოუყვეს, რომელია მისი საყვარელი დღესასწაული, ესაუბროს მის საყვარელ თამაშზე, მოუყვეს მულტფილმის შინაარსი, რომელიც ბოლოს ნახა და ა.შ. სპეციალური მასწავლებელი თხრობის პროცესში აკეთებს შემდეგი სახის ჩანიშვნებს.

ცხრილი 9. თხრობის შეფასება - დაკვირვების ბლანკი

|                    | სწორად<br>გამოყენებული | შეცდომით<br>გამოყენებული | დახმარების,<br>მინიშნების<br>შედეგად |
|--------------------|------------------------|--------------------------|--------------------------------------|
| <b>ლექსიკა</b>     |                        |                          |                                      |
| ზმნა               |                        |                          |                                      |
| ზედსართავი სახელი  |                        |                          |                                      |
| არსებითი სახელი    |                        |                          |                                      |
| კითხვითი სახელი    |                        |                          |                                      |
| ნაცვალსახელი       |                        |                          |                                      |
| <b>გრამატიკა</b>   |                        |                          |                                      |
| მარტივი ფრაზები    |                        |                          |                                      |
| მარტივი წინადადება |                        |                          |                                      |
| რთული წინადადება   |                        |                          |                                      |

შეფასების მიზნით ზემოთ მოცემული ცხრილის გამოყენებისას საჭიროა მოსწავლის თხრობის პროცესის დეტალური ანალიზი, რამდენი ზმნა გამოიყენა სწორად, რამდენი შეცდომით, რამდენი დახმარების შედეგად, ასევე სხვა მეტყველების ნაწილები. თხრობის ანალიზისას ყურადღება ექცევა გრამატიკულ ასპექტებსაც. რამდენ მარტივ ან რთულ წინადადებას იყენებს მოსწავლე ამბის გადმოცემისას და არის თუ არა გამოყენებული წინადადებები გრამატიკულად სწორი. შევსებული ცხრილის შედეგად შესაძლებელია აღწერითი შეფასების განხორციელება მოსწავლის თხრობის უნარზე.

## ანგარიში

მათემატიკური უნარები თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. თუ მათ პრაქტიკული პერსპექტივიდან განვიხილავთ, ის გვეხმარება ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებაში, შემოსავლის გამოთვლაში, სესხების საპროცენტო განაკვეთის ერთმანეთთან შედარებასა და საჭირო ნივთების, პროდუქტების ერთეულის ფასის დაანგარიშებაში. მათემატიკა დაკავშირებულია ისეთ მიმართულებასთან, როგორიცაა: მედიცინა, ეკონომიკა, სამართალი, ფინანსები, ეკოლოგია და სხვა. მათემატიკური უნარები სხვადასხვა სფეროში მომუშავე ინდივიდს ეხმარება საკუთარ საქმიანობაში წარმატების მიღწევაში. ბავშვები ყოველდღიურად სხვადასხვა სტრატეგიულ თამაშს თამაშობენ, ან ისეთს, სადაც უნდა დაითვალონ, იანგარიშონ, გათვალისწინები და შესაძლებლობები. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათემატიკა გვეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული უამრავი პრობლემის გადაწყვეტაში.

მათემატიკური უნარების დაუფლება მრავალგანზომილებიანი პროცესია. მასში მოცემული ცნებები და შესასრულებელი მოქმედებები ეტაპობრივად სულ უფრო აბსტრაქტული ხდება. მათემატიკა მჭიდრო კავშირშია ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკასთან, თუ ადრეულ წლებში წილადთან მიმართებით მოქმედების ასახსნელად მოსწავლის წინაშე შეიძლება გაგვეჭრა ვაშლი და ამის მაგალითზე გვეჩვენებინა მთელის გაყოფის პრინციპები, შემდგომ წლებში ჩნდება ცნება წილადი და ხორციელდება გამოთვლები ძირითადი ოპერაციების გამოყენებით. მათემატიკური უნარების განვითარება ხდება თანმიმდევრულად ასაკის, კლასის და ლოგიკური სტრუქტურის შესაბამისად. მასწავლებელი მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლის დახელოვნებას, შესასრულოს მათემატიკური ოპერაციები მზარდ ფარგლებში და მიჰყევს შესასრულებელ წესებს გარკვეული თანმიმდევრობით.

სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებს, უმეტესწილად, ადრეული წლებიდანვე უძნელდებათ მათემატიკური ოპერაციების შესრულება. ეს სირთულეები იწყება სკოლამდელ პერიოდში და გრძელდება სწავლის სხვადასხვა საფეხურზე. სწავლის პირველ წლებში მოსწავლეებს უჭირთ ობიექტების ზომის მიხედვით დალაგება, მათემატიკური ენის გაგება და ცნებების გამოყენება, რაოდენობის ცნებასთან წვდომა და პრაქტიკაში მისი გამოყენება. კლასის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნები, მოსწავლეებს უწევთ პროცენტის, ფართობის გამოთვლა, განტოლებების ამოხსნა და სხვა უფრო რთული ოპერაციების შესრულება. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მათემატიკური ცოდნა თანმიმდევრულია და ყოველი ახალი საკითხი უკვე ნასწავლს ეფუძნება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების დროული იდენტიფიცირება, რომ ეფექტიანად დავგეგმოთ სამომავლო ინტერვენციები და დავეხმაროთ მოსწავლეებს თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად ააგონ საკუთარი ცოდნა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, რომლებსაც მათემატიკის კუთხით აქვთ სირთულეები, ყოველ ორ წელიწადში, დაახლოებით, 1 წლის მასალას ითვისებენ. შესაბამისად, 12 წლიანი სწავლების ბოლოს მათი კომპეტენცია მათემატიკაში, დაახლოებით, სტანდარტულ მეზუთე კლასის მასალასა და დონეს შეესაბამება (Cawlay & Miller, 1989). მოსწავლეთა მათემატიკური უნარების განვითარების დინამიკა არ არის ასაკის მატების პირდაპირპორციული.


მოსწავლეებს, რომლებსაც მათემატიკური ოპერაციების შესრულებისას ექმნებათ სირთულეები, სჭირდებათ ძალიან მკაფიო, ნათელი და ეტაპობრივად მიწოდებული ინსტრუქციები. გარდა ამისა, მათემატიკის დარგი მუდმივად განიცდის ცვლილებებს. ერთ-ერთი რეფორმის ფარგლებში, მათემატიკის მასწავლებლების ეროვნული საბჭო (2000) აყალიბებს მათემატიკის სწავლების 6 ძირითად პრინციპს:

1. **თანასწორობა** - მაღალი მოლოდინი და მოსწავლეების ძლიერი მხარდაჭერა.
2. **კურიკულუმი** - რომელიც ბევრად მეტია, ვიდრე აქტივობების ნაკრები. მასში თანმიმდევრულად უნდა იყოს ასახული ასათვისებელი ცოდნა.
3. **სწავლება** - მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რა იცის და რისი სწავლა შეუძლია მოსწავლეს, ამაზე დაყრდნობით კი მხარს უჭერდეს მოსწავლეს, გამოავლინოს საკუთარი პოტენციალის მაქსიმუმი.
4. **სწავლა** - მოსწავლეები მათემატიკას იგებენ და სწავლობენ მაშინ, თუ ყოველი ახალი ცოდნა ეფუძნება ძველს და უკავშირდება რეალურ გამოცდილებებს.
5. **შეფასება** - მასში ასახული ინფორმაცია გასაგები და ღირებული უნდა იყოს როგორც მოსწავლისათვის, ისე მასწავლებლისთვის. შეფასება უნდა იყოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მხარდამჭერი.
6. **ტექნოლოგია** - ტექნოლოგიები მათემატიკის სწავლა-სწავლების პროცესში ის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც აძლიერებს მოსწავლის ცოდნას.

სასწავლო გამოცდილებაში მათემატიკის სწავლისა და განვითარების სამ ბაზისურ დონეს გამოყოფენ, ესენია: კონკრეტული, ნახევრად კონკრეტული და აბსტრაქტული.

**კონკრეტული დონე** - გულისხმობს საგნებით მანიპულაციას. ამ დონეზე შესაძლებლობა გვაქვს, დავეხმაროთ მოსწავლეს დაუკავშიროს საგნებით მანიპულაცია გამოთვლებს. მოსწავლე ამ დონეზე კონცენტრირებულია როგორც საგნებზე, ასევე სიმბოლოებზე, რომელიც აღწერს მანიპულაციებს. მაგალითად, როდესაც ვაფასებთ ან ვასწავლით შეკრებას და მოსწავლეს ვეკითხებით, რამდენია  $5+3$ , ის ჯერ აკვირდება პირველ ციფრს - 5 და იღებს 5 ქაღალდის ნაჭერს, შემდეგ უყურებს მეორე ციფრს და იღებს 3 ფურცლის ნაჭერს, შემდგომ აჯგუფებს მათ ერთად და ამბობს, რომ ყველა ქაღალდის ნაჭერი ერთად არის 8.

**ნახევრადკონკრეტული დონე** - მათემატიკური ამოცანების შესრულებაში ერთვება ილუსტრაციები, მიმანიშნებლები, მაგალითად: წერტილები, ხაზები, ობიექტების სურათები ან ნივთები. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება, თუ რამდენია  $5+3$ , ის ჩამოუსვამს იმდენ ხაზს ან დასვამს იმდენ წერტილს, რომელი ციფრიც პირველად დაასახელა ან მიაწოდა მასწავლებელმა, შემდეგ მეორე ციფრის შესაბამის ხაზებს, წერტილებს და შედეგად დაასახელებს შესაბამის პასუხს.



**აბსტრაქტული დონე** - გულისხმობს გამოთვლების შესრულებას გონებაში, რიცხვების და სიმბოლოების გამოყენების გარეშე.

მათემატიკური უნარის შეფასება ხელს უნდა უწყობდეს მათემატიკური ცნებების სწავლასა და უნარების დაუფლებას. გარდა უნარების შემოწმებისა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ზუსტად იცოდეს, რა განწყობა აქვს მოსწავლეს მათემატიკური დავალებებისადმი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებში მათემატიკური უნარების განვითარების კუთხით, გარდა იმ ასპექტებისა, რაც საგნის შინაარსთან პირდაპირაა დაკავშირებული, ყურადღება ექცევა პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, თანამშრომლობით სწავლებას და გამოცდილების მიღებას, რა დროსაც მოსწავლეები თანატოლებთან ერთად მუშაობენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესამუშავებლად.

მათემატიკური უნარის შეფასების პროცესში მასწავლებელი ძირითადად იყენებს დაკვირვების მეთოდს. ის აკვირდება პროცესს, რამდენად შეუძლია მოსწავლეს პრობლემის გადაჭრა. გარდა ამისა, შეფასებისას ხდება მოსწავლის ტესტების, დავალებების, დაფაზე თუ რვეულში/ფურცელზე მუშაობის პროცესის დაკვირვება და ანალიზი. ასევე, შესაძლოა განხორციელდეს მშობელთან და საგნის მასწავლებელთან ინტერვიუ. გთავაზობთ ინტერვიუს ჩატარებისთვის რეკომენდებულ საკითხთა ჩამონათვალს:

ცხრილი 10. მათემატიკური უნარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება

|   |
|---|
| <b>მათემატიკური პრობლემის გადაჭრისას გამოიყურება თავდაჯერებულად</b> |
|---|

|   |
|---|
| მოქმედების შესრულებამდე გეგმავს მას, საჭიროების შემთხვევაში, გადახედავს გეგმებს   |
| მათემატიკური დავალების შესრულების დროს ადვილად არ ეფანტება ყურადღება აქტიურად ერთვება დავალების/აქტივობის შესრულების პროცესში |
| ეფექტიანად იყენებს კალკულატორს, კომპიუტერს და სხვა დამატებით ხელსაწყოებს  |
| ასახელებს მათემატიკურ წესებს  |
| არგუმენტებს ამყარებს მტკიცებულებებით  |
| სვამს დარგთან დაკავშირებულ შინაარსობრივ კითხვებს  |
| ავლენს ცნობისმოყვარეობას მათემატიკური დავალებების შესრულებისას  |
| მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას ავლენს მოქნილობას  |
| ხედავს მათემატიკური დავალებების კავშირს ყოველდღიურ ცხოვრებასთან   |
| დავალებები მიჰყავს ბოლომდე  |
| ამოწმებს მიღებულ შედეგებს   |


ნებისმიერ შემთხვევაში, ბაზისური მათემატიკური უნარის მიხედვით მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გამოკვეთის მიზნით, მნიშვნელოვანია თავად მოსწავლესთან ინტერვიუ, მისი შესრულების ანალიზი. ამ მონაცემების შეგროვებასა და დოკუმენტირებაში შესაძლოა დაგეხმაროთ ქვემოთ მოცემული ცხრილი. პირველ რიგში, მონიშნეთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს მოცემულ შინაარსთან მიმართებით ცოდნის დემონსტრირება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, კომენტარის გრაფაში მიუთითოთ ფარგლები და სხვა ნებისმიერ პუნქტთან დაკავშირებული მონაცემი.

ცხრილი 11. მათემატიკური უნარების შეფასება

| მუნიციპალიტეტის შეფასება:                  | დიახ | არა | კომენტარი |
|--|------|-----|-----------|
| რიცხვების ცნობა და დასახელება              |      |     |           |
| რაოდენობის რიცხვთან დაკავშირება            |      |     |           |
| რიცხვის შესაბამისი რაოდენობის გამოყოფა     |      |     |           |
| რიცხვების კარნახით ჩაწერა                  |      |     |           |
| პირდაპირი თვლა                             |      |     |           |
| უკუთვლა                                    |      |     |           |
| რიცხვთა მრჩევის გამოტოვებული რიცხვის ჩასმა |      |     |           |
| დასახელებული რიცხვის წინა და მომდევნო      |      |     |           |
| რიცხვის განსაზღვრა                         |      |     |           |
| რიცხვების ზრდის მიხედვით დალაგება          |      |     |           |
| რიცხვების კლების მიხედვით დალაგება         |      |     |           |

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
| კუნტი და ლუწი რიცხვების ერთმანეთისაგან<br>განსხვავება  |  |  |  |
| სიმბოლოების: + / - / = ცნობა და დასახელება   |  |  |  |
| წიგნიდან და დაფიდან მაგალითების სწორად<br>გადაწერა   |  |  |  |
| მარტივი მოქმედებების (შეკრება-გამოკლება)<br>შესრულება ვიზუალურ მასალაზე დაყრდნობით                                   |  |  |  |
| მარტივი მოქმედებების (შეკრება-გამოკლება)<br>შესრულება დამატებითი საყრდენების გამოყენების<br>გარეშე (თითები, ჩხირები) |  |  |  |
| მაგალითების ჩაწერისას რიცხვების უჯრებში და<br>ხაზებზე სწორად განთავსება  |  |  |  |
| ამოცანის პირობის გაგება  |  |  |  |
| ამოცანის პირობაზე დაყრდნობით<br>ერთმოქმედებიანი მაგალითის ჩაწერა   |  |  |  |
| ამოცანის პირობაზე დაყრდნობით ორ ან მეტ<br>მოქმედებიანი მაგალითის ჩაწერა  |  |  |  |
| სიმბოლოების > / < ცნობა და დასახელება  |  |  |  |
| ზეპირად განსაზღვროს, ორი რიცხვიდან რომელია<br>მეტი და ნაკლები  |  |  |  |
| მაგალითში სწორად ჩაწეროს მეტობა-ნაკლებობის<br>ნიშნები  |  |  |  |
| დაასახელოს, რამდენით მეტია/ნაკლებია ერთი<br>რიცხვი მეორეზე   |  |  |  |
| ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების ცნობა და<br>დასახელება   |  |  |  |
| ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების ყოფითი<br>დანიშნულების საგნებსა და მათ ილუსტრაციებში<br>ამოცნობა                       |  |  |  |
| ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების ელემენტების<br>(გვერდი, წვერო, კუთხე) დასახელება                                       |  |  |  |
| ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების აგება  |  |  |  |
| დიდი და პატარა ობიექტების განსხვავება  |  |  |  |
| მაღალი და დაბალი / გრძელი და მოკლე<br>ობიექტების განსხვავება   |  |  |  |
| სიგრძის საზომი არასტანდარტული ერთეულების<br>(მტკაველი, ნაბიჯი) დასახელება და გამოყენება                              |  |  |  |
| სიგრძის საზომი ერთეულების (მმ, სმ, მ)<br>დასახელება და გამოყენება  |  |  |  |
| მასის საზომი ერთეულების (გრ, კგ) დასახელება და<br>გამოყენება   |  |  |  |

|                                |  |  |  |
|--------------------------------|--|--|--|
| სახაზავის გამოყენება           |  |  |  |
| ქართული ფულის ბანკოტების ცნობა |  |  |  |
| ფულის პრაქტიკაში გამოყენება    |  |  |  |



## კოგნიცენტრის უნაჩების შეფასება

### აღქმა

ტერმინი აღქმა სხვადასხვა მნიშვნელობით განიმარტება, თუმცა ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, აღქმა მოიცავს სენსორული ინფორმაციის ანალიზს. როდესაც კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები საუბრობენ აღქმის შესახებ, ისინი გულისხმობენ იმ პროცესთა ერთობლიობას, რომლის საშუალებითაც ადამიანი ამოიცნობს, ორგანიზებას უკეთებს და მნიშვნელობას ანიჭებს გარემო სტიმულებისაგან მიღებულ შეგრძნებებს. სხვადასხვა სენსორული არხით (ვიზუალური, აუდიოლური, ტაქტილური, გემო, ყნოსვა, პროპრიოცეპტული და ვესტიბულარული შეგრძნება) შემოსული ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამყაროს აღქმასა და შემეცნებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სენსორული სისტემა შვიდ შეგრძნებას მოიცავს:

- **ვიზუალური (მხედველობა) შეგრძნება** - გვაძლევს ინფორმაციას ფერის, ფორმის, ობიექტებს შორის არსებული მანძილის და მათი მოძრაობების შესახებ.
- **აუდიტორული (სმენა) შეგრძნება** - გვაძლევს საშუალებას აღვიქვათ და გავარჩიოთ ხმები. სმენის განვითარება ჩვილობის ასაკიდან იწყება, დაბადებისას ჩვილები უპირატესობას ანიჭებენ კომპლექსურ ბერებს, როგორიცაა ხმაური და გარემოში არსებული ხმები, შემდგომ უკვე ამოიცნობენ ბერების წყობას, ხმის ტემბრის ცვალებადობას.
- **ტაქტილური (შეხება) შეგრძნება** - გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ვეხებით სხეულით, ასევე გვაწვდის ინფორმაციას ტკივილის, ტემპერატურის, ზომის, ტექსტურის, ფორმის შესახებ. შეხება ადრეული ფიზიკური ზრდის სტიმულირებას ეხმარება და უმნიშვნელოვანესია ემოციური განვითარებისათვის, შესაბამისად, სენსიტიურობა დაბადებისთანავე კარგადაა განვითარებული.

- **გემოს შეგრძნება** - გვაძლევს ინფორმაციას პირში მოხვედრილი ნივთიერებების შესახებ.
- **ყნოსვის შეგრძნება** - გვაძლევს ინფორმაციას არსებული სურნელების შესახებ.
- **პროპრიოცეპტული (სხეულის ჰოზა) შეგრძნება** - სხეულის აღქმის სისტემა. გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გავიგოთ, რა მიმართებაში არიან ჩვენი სხეულის ნაწილები ერთმანეთთან და როგორ მოძრაობენ ისინი.
- **ვესტიბულარული (მოძრაობის ბალანსი) შეგრძნება** - სივრცეში ჩვენი არსებობის განცდა, რომელიც გვეხმარება, აღვიქვათ, სად არის ჩვენი სხეული მიწის ზედაპირთან და სხვა საგნებთან მიმართებაში. გარემოს აღქმისათვის უნდა შევძლოთ წონასწორობის შენარჩუნება, რაზეც არ უნდა ვიდგეთ ან ვისხდეთ, საკუთარი მოძრაობები ისე უნდა დავარეგულიროთ, რომ შევინარჩუნოთ მყარი მდგომარეობა.

სენსორული სისტემის შვიდივე შეგრძნება ერთმანეთზეა დამოკიდებული და თითოეული სისტემა ყველა სხვა დანარჩენთანაა კავშირში. შესაბამისად, ერთ სისტემაში არსებული სირთულეები, სხვა სისტემაზე ახდენს გავლენას.

ადამიანები საგნებს ერთმანეთისაგან ფორმის, სტრუქტურისა და ფერის მიხედვით ვასხვავებთ. ზოგჯერ ჩვენ აღვიქვამთ იმას, რაც რეალურად არსებობს, ზოგჯერ კი იმას, რაც არ არსებობს. მაგალითად, ქვემოთ მოცემულ პირველ სურათზე თქვენ ხედავთ ოთხკუთხედს, რომელიც რეალურად არსებობს, ხოლო მეორე სურათზე, ხედავთ თეთრ ოთხკუთხედს, რომელიც თუ კარგად დააკვირდებით, რეალურად, არ არსებობას. მოცემული თეთრი ოთხკუთხედი წარმოადგენს ისეთი ვიზუალური ინფორმაციის აღქმას, რომელიც ფიზიკურად არ არსებობს ვიზუალურ სენსორულ სტიმულში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი შეგრძნებები და აღქმა ერთი და იგივე არ არის. სხვადასხვა სენსორული არხიდან მიღებული ინფორმაცია ყოველთვის არ ემთხვევა ჩვენს აღქმას.

ილუსტრაცია 11. ოპტიკური ილუზია



## აღქმის უნარის განვითარება

აღქმის უნარის განვითარება ჩვილობის ასაკიდან იწყება. ბავშვი აღიქვამს საგანს, ხედავს მის კონტურებსა და სხვა ელემენტებს. ითვლება, რომ ბავშვები აღიქვამენ მთლიან ობიექტს და არა ამ ობიექტის ცალკეულ მახასიათებლებს. 2-6 წლის ასაკის ბავშვის აღქმა თანდათანობით უფრო სრულყოფილი ხდება. აღქმაზე გავლენას ახდენს მეტყველების განვითარება, რადგან ამ დროიდან ბავშვს უკვე შეუძლია საგნებსა და ობიექტებს დაარქვას სახელები, გამოყოს მათი თვისებები და მახასიათებლები. საწყის ეტაპზე ბავშვისათვის თვალშისაცემია საგნის ისეთი მკვეთრი თვისებები, როგორიცაა - ფერი, ფორმა და ზომა, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ბავშვებს ვასწავლოთ დაკვირვება. მასწავლებლებმა და მმობლებმა სწორად უნდა შეარჩიონ ის სურათები/ბარათები/ნახატები, რომლებიც მოსწავლეს აღქმის ორგანიზებაში დაეხმარება. მაგალითად, მისცეს სურათი და სთხოვოს, იპოვოს მასზე გამოსახული დეტალები, დაათვალიეროს ეს დეტალები გარკვეული თანმიმდევრობით. 5 წლის ასაკიდან ბავშვებს უკვე შეუძლიათ აღქმული ობიექტის ელემენტებს შორის კავშირის დაყყარება (სინთეზური აღქმა), შესაბამისად, თუ ამ დრომდე ბავშვი ასახელებდა ნახატზე გამოსახულ ობიექტებს, ახლა მას უკვე შეუძლია ნახატის აღწერა, ასაკის მატებასთან ერთად ბავშვი შეძლებს მის ინტერპრეტაციას. აღქმის უნარის ამ კუთხით დემონსტრირება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის მნიშვნელოვან კავშირს მეტყველებასთან. იმისათვის, რომ აღქმა გახდეს ანალიზური და მან შეიძინოს ორგანიზებული დაკვირვების ხასიათი, უფროსმა უნდა ასწავლოს ბავშვს ობიექტის/საგნის არსებითი ნიშნების და თვისებების განსხვავება. აღქმა მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულ საქმიანობასთან, სწორედ ამიტომ, აღქმის ერთ-ერთი თავისებურება არის მისი კავშირი მოქმედებასთან. 2-6 წლის ასაკის ბავშვში საგნის აღქმა ნიშნავს აქტივობის განხორციელებას ამ საგნის გამოყენებით.

უმცროსი სასკოლო ასაკის (6-9 წელი) ბავშვის აღქმა არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომ ამ ასაკში მოსწავლეებს ერვეათ მსგავსი მოხაზულობის ასოები (d-b) და ციფრული (6-9). შესაბამისად, იკვეთება აღქმის მნიშვნელოვანი როლი წერისა და კითხვის განვითარებაში. ამ ასაკში მოსწავლეები საგანში ამჩნევენ იმას, რაც თვალშისაცემია და არა იმას, რაც მნიშვნელოვანი და მთავარია. უმცროს სასკოლო ასაკში ასევე ვითარდება დროისა და სივრცის აღქმის გარკვეული მახასიათებლები, რომლებიც კავშირშია მოსწავლეების პირად გამოცდილებასთან. გარემოში არსებული ქმედებები მნიშვნელოვანია აღქმის დიფერენციაციისათვის. გიბსონის თანახმად, აღქმას მართავს შესაძლებლობების აღმოჩენა, ანუ ის შესაძლო ქმედებები, რასაც სიტუაცია სთავაზობს გარკვეული მოტორული უნარის მქონე ორგანიზმს. მოძრაობითა და გარემოს

გამოკვლევით ბავშვები ბევრ რამეს სწავლობენ, მაგალითად, რომელ საგანს შეიძლება ჩატარდოს, დაარტყას, უსაფრთხოა თუ არა ზედაპირი და სხვა.

აღქმის განვითარების პროცესში ვითარდება სიღრმის აღქმა. ეს არის შესაძლებლობა, განვსაზღვროთ დისტანცია საგნებს შორის, ასევე ჩვენსა და საგანს შორის. სიღრმის აღქმის განვითარება მნიშვნელოვანია მოტორული ქმედებების მომართვისა და გარემოს დონეების აღსაქმელად.

## რომელი კომპონენტებისგან შედგება აღქმა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღქმა სენსორული გზით შემოსული ინფორმაციის ანალიზს მოიცავს, ასევე განვიხილეთ ის სენსორული არხები, რომლითაც ადამიანი ინფორმაციას იღებს. ახლა კი განვიხილოთ ის კომპონენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია აღქმის უნარის განხილვის, მისი მუშაობის პრინციპის გაგებისა და შეფასების პროცესში, ესენია:

**ვიზუალური (მხედველობითი) აღქმა** - მოიცავს ისეთი საკითხებს, როგორიცაა საგნების ერთმანეთისგან გარჩევა და მათი იდენტიფიცირება. შესაძლებელია, მოსწავლე ერთმანეთისაგან არჩევდეს საგნებს, მაგრამ გაუჭირდეს მათი დასახელება. ეს არ ნიშნავს, რომ მან ვერ შეძლო საგნის აღქმა, ეს შეიძლება მიუთითებდეს იმას, რომ მოსწავლეს უჭირს ამ კონკრეტული საგნის სახელდება. საგნების იდენტიფიცირებისას ასევე მნიშვნელოვანია როგორც რეალური საგნების, ასევე საგნის შესაბამისი გამოსახულებების აღქმა. გარკვეულ შემთხვევაში მოსწავლე შესაძლოა აღიქვამდეს, მაგალითად, რეალურ ბურთს, მაგრამ იგივე ბურთის გამოსახულების აღქმა გაუჭირდეს. გარდა ამისა, ვიზუალური აღქმა მოიცავს ფერების აღქმას, მათი ტონალობების ერთმანეთისაგან გარჩევას, ასევე სხვადასხვა ფორმის საგნის ერთმანეთისაგან გარჩევას. ვიზუალური აღქმის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ამოვიცნოთ ერთმანეთზე დახატული ბევრი სხვადასხვა საგანი, ამის საშუალებას გვაძლევს გონებაში არსებული ამ საგნის ხატი, რომელიც მუდმივად არსებობს და რაიმე ტიპის გართულებული გარემოება მის აღქმას ხელს ვერ უშლის. ეს უკანასკნელი აღქმის კონსტანტობასთანაა დაკავშირებული. კონსტანტობა, იგივე მუდმივობა არის აღქმის თვისება, რომლის მიხედვითაც საგანი რჩება იგივე სიდიდის, ფორმის, მიუხედავად იმისა, რომ მისი სენსორული გამოსახულება იცვლება. შესაბამისად, აღქმისას საგნის აღქმის რეალური ზომები და ფორმები არ იცვლება. ასევე, ჩვენ აღვიქვამთ საგნებს, რომლებიც დაუსრულებელი სახითაა მოცემული. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აღქმის მთლიანობასთან, თუ ჩვენში გარკვეული საგნების, ობიექტების ხატი არსებობს, მისი

აღქმა შეგვიძლია მაშინაც კი, როდესაც მათ სრული სახით ვერ ვხედავთ. ვიზუალური აღქმა და მხედველობითი გზით აღქმული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის, რომლებსაც აქვთ სმენასთან დაკავშირებული სირთულეები.

**სმენითი აღქმა** - აკუსტიკური შეგრძნების არხით ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას გარემოში არსებული ხმების შესახებ. გამომდინარე აქედან, სმენითი აღქმა მოიცავს სხვადასხვა ბგერის, სიტყვის და ზოგადად, გარემოში არსებული ხმების ერთმანეთისგან გარჩევას. სწორედ სმენითი აღქმის საშუალებით შეიძლება ამოვიცნოთ ადამიანი, რომელიც გვესაუბრება მისი დანახვის (ვიზუალური აღქმის) გარეშე. სმენითი აღქმის საშუალებით შეგვიძლია მივხვდეთ, რომ წვიმს მაშინ, როდესაც ამ პროცესს ვერ ვხედავთ და მხოლოდ ხმა გვესმის. სმენითი აღქმის საშუალებით აღვიქვამთ ბავშვის ტირილის ხმას გვერდითა ოთახიდან მაშინ, როდესაც ჩვენ სრულად სხვა სივრცეში ვართ. სმენითი აღქმა გვაძლევს საშუალებას, ერთმანეთისაგან გავარჩიოთ როგორც მკვეთრად განსხვავებული, ასევე ჟღერადობით მსგავსი ბგერები. სმენითი აღქმის გზით შემოსული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის, რომლებსაც აქვთ მხედველობასთან დაკავშირებული სირთულეები.

**ტაქტილური (შეხებითი) აღქმა** - შეხება სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა, რადგან ობიექტთან შეხებისას მოსწავლე აცნობიერებს, რომ ეს ობიექტი რეალური საგნის სიმბოლოს წარმოადგენს, მათი ტაქტილურად აღქმით კი, მისი შინაარსის გაგება, შემეცნება და წვდომა ხდება. შესაბამისად, ტაქტილური აღქმის დროს მოსწავლეები განარჩევენ სხვადასხვა მასალის, ფორმის, ზომის, ტექსტურის საგნებს ერთმანეთისაგან მათზე ვიზუალური დაკვირვების გარეშე და ამ გზით შეიმეცნებენ სამყაროს. ტაქტილური აღქმა განსაკუთრებით ეხმარება მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ მხედველობის სირთულეები იმისათვის, რომ შეიმეცნონ სამყარო და აღიქვან ის საგნები, ნივთები ან ობიექტები, რომლებიც ვიზუალური აღქმის საშუალებით მათთვის ხელმისაწვდომი არ არის.

**დროის აღქმა** - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმცროსი სასკოლო ასაკიდან მოსწავლეებში იწყება დროის აღქმის განვითარება. დროსთან დაკავშირებული მოცემულობები, თავდაპირველად, ბავშვის პრაქტიკულ გამოცდილებასთანაა დაკავშირებული. ბავშვები პირველ ეტაპზე ასხვავებენ დღესა და ღამეს, შემდგომ უკვე დღის მონაკვეთებს. თუ მოსწავლეს შევეკითხებით, რა არის დილა ან საღამო, უმცროს სასკოლო ასაკში მათი პასუხი სწორედ პრაქტიკულ გამოცდილებასთან იქნება დაკავშირებული, შესაბამისად, ამ კითხვაზე შესაძლოა გვიპასუხონ, რომ „საღამოა, როცა ჩაის ვსვამთ“ და ა.შ. და ეს პასუხი იმ კონკრეტული ასაკისათვის სრულიად რელევანტურია. ნელ-ნელა, ასაკის მატებასთან ერთად დროის აღქმის უნარი უფრო სრულყოფილი ხდება, მოსწავლეები

განარჩევენ კვირის დღეებსა და სეზონებს, შეუძლიათ დროსთან დაკავშირებული მოქმედებების აღქმა და გარჩევა.

**სივრცითი აღქმა** - იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს სივრცეში ორიენტაცია, სივრცეში არსებული საგნების სწორი მიმართულებით აღქმა ან საგნების სივრცეში სწორად განთავსება, მნიშვნელოვანია სივრცის აღქმის განვითარება. სივრცითი აღქმის საშუალებით მოსწავლეები განარჩევენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა მარჯვენა-მარცხენა, წინ-უკან, ზემოთ-ქვემოთ. მოსწავლეებს სწორედ სივრცითი აღქმის საშუალებით შეუძლიათ, თავად განალაგონ საგნები სივრცეში, სწორად გადაადგილდნენ ნაცნობ თუ უცნობ გარემოში. გარდა ამისა, სივრცითი აღქმა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული წერისა თუ კითხვის უნართან. წერის უნარის დემონსტრირება მოითხოვს თვალისა და ხელის კოორდინირებული მოქმედებების შესრულებას, რაც სწორედ სივრცით აღქმასთანაა დაკავშირებული. მოსწავლეებს უწევს სხვადასხვა სივრციდან გადაწერონ ესა თუ ის ინფორმაცია (სიტყვები, ფრაზები), მსგავსი ტიპის აქტივობაც სივრცით აღქმასთანაა დაკავშირებული. როდესაც წერის უნარზე ვსაუბრობდით, ასევე აღვნიშნეთ, რომ მნიშვნელოვანია ასოებსა და სიტყვებს, სხვადასხვა ფიგურას შორის დისტანციის დაცვა, ასოების სწორად განთავსება საანბანო რეგისტრში და ციფრების შესაბამის უჯრებში მოთავსება, ამ ტიპის ქცევის დემონსტრირებაც სივრცით აღქმაზეა დამოკიდებული.

აღქმის თითოეული კომპონენტი, როგორც სხვადასხვა სენსორული არხი, მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, შესაბამისად, ერთი მიმართულებით არსებული სირთულე შესაძლოა სხვა სირთულეების განმაპირობებელი გახდეს. აღქმა ასევე მჭიდრო კავშირშია აკადემიურ უნარებთან და ამ კუთხით მოსწავლის სასწავლო ქცევების დემონსტრირებასთან. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, სწორად შეფასდეს მოსწავლის უნარები, გაირკვეს მისი შესაძლებლობები თუ საჭიროებები, რომელიც შესაძლოა იყოს წინაპირობა იმისა, რომ მოსწავლეს უჭირს სხვადასხვა აკადემიური საქმიანობის განხორციელება. განვიხილოთ სხვადასხვა აქტივობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იყოს აღქმის უნარის შეფასებისას, იმისათვის, რომ უკეთ შევძლოთ მოსწავლის უნარების აღწერა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობები დიდწილად დამოკიდებულია მოსწავლის აქტუალური განვითარების დონესა და ინტერესებზე, არ არის უნივერსალური და საჭიროებს ინდივიდუალურ შემთხვევებზე მათ მოდიფიცირებასა და მორგებას.

## როგორ შევაფასოთ აღქმა?

გამომდინარე იქიდან, რომ უკვე გამოვყავით ის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც აღქმის უნარს მიეკუთვნება, ამ კომპონენტების კუთხით განვიხილოთ ის სხვადასხვა

რესურსი თუ აქტივობა, რომელიც შესაძლოა დაგვეხმაროს, აღვწეროთ მოსწავლის შესაძლებლობები თუ საჭიროებები ამ კუთხით.

**ვიზუალური აღწერა** - როგორც ვიზუალური აღწერის კომპონენტზე საუბრისას აღვნიშნეთ, მოიცავს ისეთ უნარებს, როგორიცაა საგნების, ნივთების, ობიექტების აღწერა, ფერების და სხვადასხვა ფორმისა თუ ზომის საგნების ერთმანეთისაგან გარჩევა, მათი აღწერა როგორც ჩვეულებრივ, ისე გართულებულ პირობებში. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

- იმისთვის, რომ გავიგოთ, რამდენად შეუძლია მოსწავლეს სხვადასხვა საგნის ერთმანეთისაგან გარჩევა, მათი აღწერა, პირველ რიგში, შესაძლოა, მას ვთხოვოთ ირგვლივ არსებული საგნების ჩამოთვლა, მათი დასახელება. გარდაამისა, შესაძლოა, თან გვქონდეს რამდენიმე რეალური საგანი (ბუშტი, საშლელი, ტელეფონი და სხვა) და ვთხოვოთ მათი დასახელება. არ არის გამორიცხული, მოსწავლე ერთმანეთისაგან ასხვავებდეს და აღიქვამდეს მიწოდებულ თუ ირგვლივ არსებულ საგნებს, თუმცა უჭირდეს მათი დასახელება, ამ შემთხვევაში მას უჭირს არა ამ საგნის აღწერა, არამედ მისი სახელდება. ამ დროს შეგვიძლია მას დავუსახელოთ კონკრეტული საგანი და ვთხოვოთ, გვაჩვენოს. გარდა რეალური საგნების აღწერისა, მოსწავლემ უნდა გაარჩიოს საგნის შესაბამისი გამოსახულებები. ამისათვის, მოსწავლეებს ვაჩვენებთ სხვადასხვა საგნის გამოსახულებას ნახატების, ბარათების სახით და ვთხოვთ საგნების იდენტიფიცირებას.
- მოსწავლეები ვიზუალურად აღიქვამენ და არჩევენ სხვადასხვა ფერს, ამ უნარის შეფასების და შემდგომ მოსწავლის შესრულების აღწერის მიზნით შესაძლოა, მას ვაჩვენოთ სხვადასხვა ფერის ბარათი და ვთხოვოთ მათი ამოცნობა, იდენტიფიკაცია. ფერების გარჩევის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს კონკრეტული საგნების მიკუთვნება მისთვის დამახასიათებელ ფერთან, მაგალითად, დასახელება იმისა, რომ ლიმონი ყვითელია, ცა -ცისფერი, პომიდორი კი წითელი და სხვა. როდესაც მოსწავლეს უჭირს ფერების სახელდება, ამ შემთხვევაში შეგვიძლია, მოსწავლის წინ დავალაგოთ სხვადასხვა ფერის მისთვის ნაცნობი საგნები და ვთხოვოთ, გვაჩვენოს ჩვენ მიერ დასახლებული, მაგალითად, ლურჯი წრე, მწვანე სამუთხედი, წითელი ვაშლი და სხვა. გარდა ამისა, თუ მოსწავლემ არ იცის ფერის სახელწოდება, შესაძლოა, ვთხოვოთ ერთნაირი ფერების/ბარათების ერთმანეთთან დაწყვილება.
- ვიზუალური აღწერის კომპონენტის ფარგლებში მოსწავლეები ერთმანეთისაგან არჩევენ სხვადასხვა ფორმისა და ზომის საგნებს, ამის საილუსტრაციოდ, მოსწავლეებს შეგვიძლია, შევთავაზოთ ორი ზომის ფიგურა და ვთხოვოთ, გვაჩვენოს, რომელია დიდი და რომელი პატარა, გვაჩვენოს, რომელია მაღალი და

რომელი დაბალი, რომელს აქვს წრის, ოთხუთხედის ან სამკუთხედის ფორმა და სხვა.


- აღქმის კონსტანტობის შეფასების მიზნით მოსწავლეებს შესაძლოა შევთავაზოთ ბარათები, რომელზე გამოსახული საგნებიც ერთმანეთზეა გადახატული, ხელოვნურადაა შექმნილი საგნების, ობიექტების გარჩევის გართულებული მდგომარეობა და ვთხოვთ მოსწავლეს ამ საგნების იდენტიფიცირება.

ილუსტრაცია 12. აღქმა - გადაფარული ობიექტების სავარჯიშო



- აღქმის მთლიანობის შეფასების მიზნით მოსწავლეს ვთავაზობთ საგნებს, რომლებიც დაუსრულებლადაა შემოთავაზებული, მოცემულია საგნის მხოლოდ გარკვეული დეტალი და მოსწავლემ სწორედ ამ დეტალის მიხედვით უნდა შეძლოს საგნის იდენტიფიცირება. თუ მოსწავლეს გაუჭირდება დეტალის მიხედვით საგნის ამოცნობა, ამ შემთხვევაში მას ვაწოდებთ იგივე საგანს სრული სურათით, რათა დავრწმუნდეთ, რომ მისთვის ეს საგანი ნაცნობია და მთლიანი მოცემულობის შემთხვევაში მოსწავლე აიდენტიფიცირებს მას. ასევე შესაძლებელია, მოსწავლეს ვაჩვენოთ გამოსახულება, რომელიც ნაწილობრივ დაფარულია და მისი მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანს.

ილუსტრაცია 13. დაფარული ობიექტის მთლიანობით აღქმის სავარჯიშო



**სმენითი აღქმა** - სმენითი აღქმის საშუალებით ჩვენ ერთმანეთისაგან ვარჩევთ სხვადასხვა ბგერას, ხმას, ვიმეორებთ ნათქვამ სიტყვას და სხვა. განვიხილოთ, როგორ შეიძლება თითოეულ მათგანზე ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისად, მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების აღწერა.

- მასწავლებელი მოსწავლეს უსახელებს სხვადასხვა სიტყვას ან ფრაზას და სთხოვს მოსწავლეს მათ გამეორებას. მიწოდებული სიტყვების სირთულე, მასში ასოების

რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებზე. ასევე ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს იმ ფრაზებში სიტყვათა რაოდენობა, რომლის გამორებასაც ვთხოვთ მოსწავლეს.

- სმენითი აღქმის შეფასების მიზნით მასწავლებელმა შესაძლოა მოსწავლეს სთხოვოს, დახუჭოს თვალები, მან კი დაუკრას ტაში ან დააკაკუნოს რაიმე ზედაპირზე და შემდგომ სთხოვოს იმ ხმის იდენტიფიცირება, რაც გაიგონა. სხვადასხვა ხმის გარჩევის მიზნით მასწავლებელი მოსწავლეს ასევე ასმენინებს ისეთ ხმებს, როგორიცაა წვიმის, ქარის, ძაღლის ყეფის ან კატის კნავილის ხმა ისე, რომ მოსწავლე ვიზუალურ გამოსახულებას ვერ ხედავს, მას მხოლოდ ხმის მოსმენით უწევს იმ ხმის იდენტიფიცირება, რაც გაიგონა.
- სმენითი აღქმის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას ასევე მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რამდენად შეუძლია მოსწავლეს მსგავსი მჯღერი ბგერების და ამ ბგერებისაგან შემდგარი სიტყვების ერთმანეთისაგან გარჩევა. ამისათვის მასწავლებელი მოსწავლეს უსახელებს სიტყვათა კომბინაციებს, რომელიც შედგება მსგავსი მჯღერი ბგერებისაგან და სთხოვს მოსწავლეს, ამოიცნოს, ერთნაირი იყო თუ არა დასახელებული სიტყვები. მოსწავლის მექანიკური პასუხის თავიდან არიდების და პასუხის შინაარსობრიობის გადამოწმების მიზნით მასწავლებელმა შესაძლოა მოსწავლეს ამ საგნის ან ნივთის დანიშნულების აღწერა სთხოვოს. სადემონსტრაციოდ გთავაზობთ რამდენიმე სიტყვის მაგალითს: ბალი-ბარი; კარი-ქარი; ხიდი-ხილი. ამ სიტყვათა ჩამონათვალის მიწოდებისას მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც რეალურად ერთნაირია, მაგალითად: ლოდი-ლოდი და სხვა.

**ტაქტილური აღქმა** - შეხებით აღქმა მოსწავლეებს სამყაროს შემეცნებაში ეწმარება, შესაბამისად, აღქმის ამ კომპონენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მოსწავლეების შესაძლებლობებისა და საჭიროებების ამ კუთხით აღწერა უმნიშვნელოვანესია. შეხებით აღქმით მოსწავლეები განარჩევენ საგნებს მათი ვიზუალური გამოსახულების დანახვის გარეშე, განარჩევენ სხვადასხვა ტექსტურის, ფორმისა და ზომის ობიექტების. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

- მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს ტომარას, რომელშიც სხვადასხვა საგანია მოთავსებული. მნიშვნელოვანია, რომ ეს საგნები მოსწავლისათვის იყოს ნაცნობი. მოსწავლემ ხელი უნდა ჩაყოს ტომარაში, ჩაეჭიდოს ერთ კონკრეტულ საგანს და მის ამოღებამდე დაასახელოს, რას შეეხო.
- მოსწავლის წინაშე შეიძლება მოვათავსოთ სხვადასხვა ტექსტურის ნივთი და ვთხოვოთ მათი გარჩევა, მაგალითად, რბილი იყო თუ მაგარი, როგორი ზედაპირი აქვს - პრიალა თუ გლუვი და ა.შ.
- შეხებით მოსწავლეს ასევე შეუძლია გაარჩიოს საგნის ცხელი/თბილი და ცივი მდგომარეობები. თავდაპირველად, როდესაც ბავშვი გარკვეულ საგნებს

დაუკავშირებს ამ მდგომარეობას, ის ჩაიბეჭდება მის გონიერებაში. მაგალითად, თუ შემთხვევით ცხელ ჭიქას მოკიდა ხელი, რომელშიც ჩაი ესხა, მოსწავლე იმახსოვრებს, რომ ჭიქაში ჩასხმული წყალი ცხელია.

**დროის აღქმა** - დროის აღქმის განვითარება ადრეული ასაკიდან იწყება და ძირითადად, მოსწავლის გამოცდილებასთანაა დაკავშირებული. დროის აღქმა მოიცავს დღისა და ღამის, დღის მონაკვეთების გარჩევას, კვირის დღეებისა და სეზონების გარჩევას. უნარის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით მასწავლებელმა შესაძლოა რამდენიმე ტიპის აქტივობა განახორციელოს.

- შეფასების მომენტში მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს, დღეა თუ ღამე. შესაბამისად, შეგვიძლია გავარკვიოთ, რეალურ მოცემულობაში თუ ასხვავებს ბავშვი ამ ორ ცნებასა და მოცემულობას. ამის შემდგომ შესაძლებელია ბარათების შეთავაზება, რომელზეც დღისა და ღამის სურათებია მოცემული და მათი განსხვავება/იდენტიფიცირება. შესაძლებელია ბავშვს ასევე ვთხოვოთ დღისა და ღამის მახასიათებლების ამ ცნებასთან დაკავშირება. გარდა ამისა, დროის აღქმის კუთხით ინფორმაციის მოპოვებას ვცდილობთ დღის მონაკვეთებზე, მოსწავლეს ასევე შესაძლოა ვთხოვოთ კონკრეტული აქტივობების დაკავშირება დილა, შუადღე და საღამოსთან. აქტივობები შესაძლოა იყოს, როგორც ჰიპოთეტური, გავრცელებული კავშირიდან გამომდინარე, ასევე მისი რეალური ცხოვრებისეული გამოცდილებიდან.
- დროის აღქმის შეფასების პროცესში მოსწავლეს ასევე შესაძლოა ვთხოვოთ კვირის დღეების ჩამოთვლა, თუ ის ამ აქტივობას კარგად ართმევს თავს, უნდა გამოვრიცხოთ კვირის დღეების მექანიკური ცოდნა. შესაძლებელია მოსწავლეს დავუსახელოთ კონკრეტული დღე და ვთხოვოთ, დაგვისახლოს, რა დღე იყო გუშინ, გუშინწინ, ასევე, რა დღე იქნება ხვალ, ზეგ. ეს დაგვეხმარება განვსაზღვროთ, რამდენად გაცნობიერებულად შეუძლია მოსწავლეს დროში ორიენტირება.
- დროის აღქმის შეფასების პროცესში ასევე ვცდილობთ აღვწეროთ მოსწავლის შესაძლებლობა-საჭიროებები სეზონებთან და თვეებთან დაკავშირებით. რამდენად შეუძლია მიმდინარე სეზონისა და თვის განსაზღვრა, აქაც უნდა გამოვრიცხოთ მექანიკური დასახელება და მრავალფეროვანი ასპექტით ვეცადოთ მოსწავლის მხრიდან დროში ორიენტირების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

**სივრცითი აღქმა** - სივრცეში ორიენტირება მნიშვნელოვანი უნარია როგორც გარესამყაროში გადაადგილებისათვის, ასევე აკადემიური საქმიანობის შესრულების კუთხით. სწორედ ამიტომ, სივრცითი მიმართებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება გვეხმარება, სწორი ინტერვენცია დავგეგმოთ მოსწავლესთან სხვადასხვა აკადემიურ

უნარზე მუშაობისას და სწორად განვსაზღვროთ, რა შეიძლება იყოს აკადემიურ სფეროში არსებული სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორი. სივრცითი აღქმის შეფასების მიზნით სხვადასხვა აქტივობის გამოყენებაა შესაძლებელი, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

- სივრცითი აღქმა მოსწავლის მხრიდან მარჯვენა-მარცხენას გარჩევას მოიცავს. მოსწავლეს ვთხოვთ, გვაჩვენოს საკუთარი მარჯვენა ხელი, თვალი და მარცხენა ფეხი, ყური და ა.შ. მას შემდეგ, რაც მოსწავლე მიუთითებს და საკუთარი პოზიციიდან განსაზღვრავს მარჯვენა-მარცხენას, მას ვთხოვთ ამ მიმართულებით საგნების მდებარეობის განსაზღვრას, მას შესაძლოა ვთხოვოთ მარჯვნივ/მარცხნივ განლაგებული საგნების დასახელება ან კონკრეტული საგნების განთავსება მარჯვნივ/მარცხნივ. მოსწავლეს ასევე ვთხოვთ მარჯვენა-მარცხენას განსაზღვრას სხვისი პოზიციიდან, ამ შემთხვევაში შეიძლება დავსხდეთ მის პირისპირ და ვთხოვოთ, გვაჩვენოს ჩვენი მარჯვენა ხელი, რა დევს ჩვენს მარცხნივ და ა.შ.
- სივრცითი აღქმის სადემონსტრაციოდ მოსწავლეს ვთხოვთ ისეთი სივრცითი მიმართებების გარჩევას, როგორიცაა წინ/უკან და ზემოთ/ქვემოთ. მან საგნები უნდა განსაზღვროს როგორც სივრცეში, ასევე თვალსაჩინოებაზე.
- მოსწავლეები როგორც რეალურ სივრცეში, ისე თვალსაჩინოებაზე განთავსებულ საგნებს შორის არსებულ მიმართებებს სწორედ სივრცითი მიმართებების საშუალებით ხვდებიან. მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს სურათს, რომელზეც მოცემული 2 საგანი ერთმანეთთან სხვადასხვა მიმართებაშია. მაგალითად, გვაქვს რამდენიმე ბარათი, რომელზეც სახლი და ძალი სხვადასხვა მიმართებაშია მოცემული. ერთი მხრივ, მასწავლებელმა შეიძლება დაასახლოს მათ შორის არსებული მიმართება და მოსწავლეს სთხოვოს, მიუთითოს შესაბამის სურათზე, მეორე მხრივ კი მოსწავლემ სურათზე დაკვირვებით, თავად შეიძლება დაასახლოს ეს მიმართებები.
- სივრცითი აღქმა მნიშვნელოვნად მონაწილეობს მოსწავლეების გადაწერითი აქტივობების შესრულებაში და ზოგადად, წერის პროცესში. ის რომ მოსწავლეს შეიძლება უჭირდეს გაფერადება კონტურის დაცვით, ეს, ერთი მხრივ, შესაძლოა განპირობებული იყოს ნატიფი მოტორული სირთულეებით, მეორე მხრივ კი, სივრცითი აღქმის სირთულეებით. სივრცით აღქმას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასოებს, ციფრებსა და სიტყვებს შორის ინტერვალის დაცვაში. ამის საილუსტრაციოდ მოსწავლეს შესაძლოა ვთხოვოთ გარკვეული მარტივდეტალებიანი ფიგურების გადახატვა/გადახაზვა, მოსწავლის შესრულების პროცესზე დაკვირვება და შესრულებული აქტივობის ანალიზი, მოგვცემს ამ უნარის აღწერის საშუალებას, რამდენად სწორად განალაგებს

მოსწავლე ობიექტებს სივრცეში და ითვალისწინებს თუ არა ორიგინალის ფორმას, თანმიმდევრობას, ზომასა და არსებულ ინტერვალებს.


## ყურადღება

ყურადღება ერთ-ერთი შემეცნებითი უნარია, რომელიც, თითქმის ყველა იმ მოქმედებაშია ჩართული, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვახორციელებთ. ყურადღება უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ რაიმე სტიმულის შემჩნევა გარემოში. მასში ჩართულია მრავალ ფსიქიკურ პროცესთა ერთობლიობა, მათ შორის სხვადასხვა შეგრძნების, აღქმით მიღებული ინფორმაციის ბალანსი და ემოციური მნიშვნელობის მინიჭება გადამუშავების პროცესში არსებულ სტიმულებზე.

ყურადღების ორიძირითადი ფორმა არსებობს: პასიური და აქტიური. პასიური ყურადღება დაკავშირებულია გარემოში არსებულ სტიმულზე საპასუხოდ განხორციელებულ უნებლივ მოქმედებასთან, როგორიცაა, მაგალითად, ყურადღების მიპყრობა კაშკაშა შუქზე, მძაფრი სუნამოს სურნელზე ან ძლიერ ხმაურზე. ამგვარი უნებლივ რეაქციები ავტომატურად მიმდინარეობს. ყურადღების აქტიური ფორმა დაკავშირებულია ადამიანის მიზანმიმართულ გონიეროვან აქტივობასთან, რომელიც გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს. ყურადღების აქტიური ფორმა საგანმანათლებლო კონტექსტისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ის განიხილება სწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად. მართლაც, ძნელად წარმოსადგენია, დავასახელოთ სწავლის პროცესის ამსახველი ისეთი მაგალითი, რომელიც არ მოითხოვს მოსწავლისგან ყურადღების უნარის გამოყენებას. ინსტრუქციის შესრულება, უფროსის ან თანატოლის საუბრის მოსმენა, წერა, კითხვა, ანგარიში, დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა - მოკლე ჩამონათვალია იმ მოქმედებებისა, სადაც ყურადღება აქტიურადაა ჩართული.

ყურადღება მრავალგანზომილებიანი კოგნიტური პროცესია, რაც გამოიხატება საჭირო სტიმულებზე ყურადღების მიპყრობით, ხელისშემშლელი ან სხვა სტიმულების იგნორირებით დროის იმ ხანგრძლივობით, რაც საჭიროა დასახული ამოცანის თავის გართმევისათვის.

ილუსტრაცია 14. ყურადღების ფუნქციონირება



ყურადღების მექანიზმის ნათლად გააზრებაში ზემოთ მოცემული ილუსტრაცია დაგვეხმარება. ყურადღება, როგორც კოგნიტური უნარი შესაძლებელია შევადაროთ ფართო ფსკერიან ქილას, რომელიც თანდათან ვიწროვდება. შესაბამისად, მასში გაცილებით დიდი რაოდენობის მასალაა მოცემული, ვიდრე შესაძლებელია, რომ ერთბაშად გადმოედინებოდეს. სწორედ ამგვარად, ჩვენი გონებაც დიდი საცავია, რომელშიც მუდმივად ინფორმაციის, მეგრძნებების უზღვავი ნაკადი მიედინება. ყურადღება წარმოადგენს ერთგვარ ფილტრს, რომლის გავლით შესაძლებელია სტიმულების შერჩევა და მათზე შესაბამისი რეაგირება.

რადგან ყურადღება სენსორული ინფორმაციის შერჩევასა და გადამუშავებასთანაა დაკავშირებული, შესაბამისად, ხშირად ერთმანეთისგან ასხვავებენ სმენით (აუდიტორული) და მხედველობით (ვიზუალური) ყურადღებას. ვიზუალური ყურადღება ვლინდება მაშინ, როდესაც თქვენ ცდილობთ, მაგალითად, სახლიდან გასვლის წინ იპოვოთ მაგიდაზე მრავალ ნივთთან ერთად დადებული გასაღები. სმენითი ყურადღება კი- უკავშირდება მოსმენილ ინფორმაციაზე ფოკუსირებას. აუდიტორული ყურადღების მაგალითია ერთ-ერთი ცნობილი თამაში „საიმონი ამბობს“.<sup>4</sup>

## რომელი კომპონენტებისგან შედგება ყურადღება?

ყურადღების, როგორც შემეცნებითი უნარის აღწერისას, შესაძლებელია ვისაუბროთ არა მის კომპონენტებზე, არამედ მახასიათებლებზე.

**სელექციური ყურადღება** - ამოცანისთვის რელევანტურ, კონკრეტულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება და ამავე დროს სხვა ასპექტების იგნორირება. გაიხსენეთ შემთხვევა, როცა თქვენ საკონცერტო დარბაზში ან ქუჩაში სეირნობისას მეგობარს

<sup>4</sup> მოსწავლეს ვაძლევთ სხვადასხვა ინსტრუქციებს, მაგ: დაუკარი ტაში, დატრიალდი, დააბაკუნე ფეხები. მაგ მხოლოდ მაშინ უნდა შეასრულოს ინსტრუქცია, თუ ვიტყვით: „საიმონი ამბობს, დაუკარი ტაში“.

ესაუბრებით. მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ ხმაურია და მეგობრის ყველა სიტყვა შესაძლოა სრული მკაფიობრით არც გესმოდეთ, მაინც ახერხებთ მის მოსმენას და კომუნიკაციას. აღნიშნული სწორედ სელექციური ყურადღების დამსახურებაა, რადგანაც თქვენ ამორჩეული გაქვთ კონკრეტული სტიმულები (მეგობრის ხმა, სახის გამომეტყველება) და თქვენი ყურადღებაც მასზეა მიმართული.

**ყურადღების განაწილება** - მოცემულ დროში ერთზე მეტ აქტივობაზე ყურადღების მიმართვა. ყურადღების აღნიშნული მახასიათებლის კარგად გააზრებისთვის გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც გიცდიათ ორი მოქმედების ერთდროულად შესრულება. მაგალითად, ფილმს უყურებთ და თან ტელეფონზე საუბრობთ. რეალურად, ყურადღების სრული და ერთნაირი ეფექტიანობით განაწილება რამდენიმე მოქმედებაზე, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუ განხორციელებული მოქმედებებიდან ერთ-ერთი ავტომატურ სახეს არ ატარებს.

**ყურადღების გადართვა** - ყურადღების ფოკუსის ცენტრის შეცვლა საჭიროებიდან გამომდინარე. ყურადღების გადართვა ვლინდება, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც გვიჩევს ერთი ამოცანიდან მეორე ამოცანაზე, ერთი მოქმედებიდან მეორე მოქმედებაზე გადავიტანოთ ჩვენი ყურადღება.

**ყურადღების გადანაცვლება** - ყურადღების გადანაცვლება ყურადღების კონცენტრირების პარალელურად მიმდინარე პროცესია იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც რამდენიმე სტიმულზე ყურადღების მონაცვლეობით ფოკუსირებას მოითხოვს. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ დაფიდან რვეულში ტექსტი უნდა გადაწეროთ. ამოცანის შესასრულებლად საჭიროა, გარკვეული თანმიმდევრობით ყურადღება დაფიდან რვეულისკენ, შემდეგ კი რვეულიდან დაფიცვენ მიმართოთ.

**ყურადღების სტაბილურობა** - ყურადღების შენარჩუნება შერჩეულ სტიმულზე/სტიმულებზე გარკვეული დროის განმავლობაში იმგვარად, რომ შესაძლებელია ხელისშემშლელი ფაქტორების იგნორირება. სხვაგვარად აღნიშნულ ფორმას მოიხსენიებენ როგორც ყურადღების გადაუხრადობა. ყურადღების სტაბილურობის აღწერის დროს ვაკვირდებით გარემოში არსებულ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომელიც შესაძლოა სხვადასხვა მოდალობის იყოს. მაგალითად, ვიზუალური, სმენითი, ტაქტილური. ყურადღების სტაბილურობა ვიზუალური სტიმულების მიმართ ვლინდება მაშინ, როდესაც მოსწავლე ახერხებს უყუროს მონიტორს და ირგვლივ კედლებზე დამატებული ვიზუალური მასალები - პლაკატები, პოსტერები, წარწერები არ უშლის ხელს კონცენტრირებაში. სმენითი სტიმულებისადმი ყურადღება სტაბილურია მაშინ, როცა მოსწავლე ასრულებს დავალებას და იმ მომენტში სხვა მოსწავლის დასმულ შეკითხვაზე მასწავლებლის პასუხის მოსმენა მისთვის არ ხდება ყურადღების გაფანტვის მიზეზი. როდესაც ვსაუბრობთ ყურადღების სტაბილურობაზე მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ შეფასების პროცესში იმ სტიმულებს ვანიჭებთ მნიშვნელობას, რომელთა იგნორირებაც, ჩვეულებრივ, მარტივადაა შესაძლებელი.

**ყურადღების მდგრადობა** - დავალებაზე, მოვლენაზე, სიტუაციაზე ან ამოცანაზე გახანგრძლივებული დროით ყურადღების კონცენტრირება. ყურადღების მდგრადობა დაკავშირებულია არა გარკვეულ ამოცანაზე ყურადღების უწყვეტ ფოკუსირებასთან, არამედ მთლიანობაში ყურადღების როგორც შემცნებითი უნარის გამოყენებასთან დასახული ამოცანის წარმატებით შესრულების მიზნით. მაგალითად, ყურადღების მდგრადობა ვლინდება მაშინ, როდესაც მოსწავლე დამოუკიდებლად შესასრულებელ საშინაო დავალებებს წარმატებით გაართმევს თავს.

**ყურადღების მოცულობა** - ერთნაირი სიცხადითა და მკაფიოდ აღქმული სტიმულების რაოდენობა. გავრცელებული მოსაზრებით მოზრდილი ადამიანის ყურადღების მოცულობა  $0.07 - 0.1$  წმ-ში საშუალოდ  $5 - 7$  ელემენტია.

**აღმასრულებელი ყურადღება** - ყურადღების მიმართვა მოქმედების დაგეგმვაზე, შეცდომებზე, კომპენსაციასა და მონიტორინგზე. აღმასრულებელი ყურადღება ვლინდება ისეთ დროს, როდესაც მოსწავლე წერს წინადადებებს კარნაზით და ამოცანის შესრულების პროცესში აკვირდება საკუთარ თავს, აღმოაჩენს დაშვებულ შეცდომებს და/ან სტრატეგიებს, რომელიც ამოცანის კიდევ უფრო უკეთ შესრულებაში დაეხმარება.

## როგორ შევაფასოთ ყურადღება?

ყურადღების შეფასება მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლის მხრიდან საკმაოდ დეტალურ შესწავლას და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას მოითხოვს. ყურადღების შეფასებისთვის შესაძლებელია შემდეგი არაფორმალური მეთოდების გამოყენება: დაკვირვება, მასწავლებლის/მშობლის ინტერვიუ, რეიტინგული სკალების შევსება, მოსწავლისთვის ყურადღების სავარჯიშოების მიწოდება და შესრულების შეფასება.

**დაკვირვება სასურველია განხორციელდეს სხვადასხვა გარემოში, როგორც კლასში სხვადასხვა გაკვეთილზე, ასევე რესურს თთახში.** შემთასებელმა შესაძლოა განახორციელოს ფონური დაკვირვება, ჩაინიშნოს ყველა მოქმედება, რასაც მოსწავლე ახორციელებს კლასში და შემდგომ გააანალიზოს დაკვირვების ჩანაწერი. უფრო მოქნილი გზა კი, წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული დაკვირვების განხორციელებაა. დაკვირვების ჩანაწერში სპეციალურმა მასწავლებელმა მაქსიმალურად დეტალურად უნდა ჩაინიშნოს, როგორ ვლინდება ყურადღების უნარები, რა დროის განმავლობაში ახერხებს მოსწავლე კონცენტრაციას, აღნიშნოს ყურადღებაში მონაწილე მოტივაციური ფაქტორები (საინტერესო აქტივობაზე ყურადღების კონცენტრირებას რამდენი წუთის განმავლობაში ახერხებს, ასევე, მისთვის ნაკლებად

საინტერესო აქტივობაზე რამდენით) და ა.შ. ნიმუში წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული ილუსტრაციის სახით.

ცხრილი 12. ყურადღების უნარზე დაკვირვება

| დაკვირვების თარიღი და დრო:  |                      |
|---|----------------------|
| მოსწავლე:   |                      |
| გაკვეთილი:  |                      |
| დასაკვირვებელი პრიტერის   | დაკვირვების ჩანაწერი |
| დაწყებულ აქტივობას ასრულებას ბოლომდე  |                      |
| შეუძლია ყურადღების პონდენტრაცია საგაკვეთოლო<br>მსაბალებე (მნიშვნელოვანია, მიუთითოთ დოკიტ<br>ხანგრძლივობა)                         |                      |
| ყურადღებით უსმენს მასწავლებელს  |                      |
| შეუძლია გამოირჩებული ყურადღება<br>(ყურადღებას მიმართავთ იმ ობიექტები, რომლისამაც<br>მასწავლებელი იმართება, ამავათი არ მოგვიანება) |                      |
| მოსწავლის ყურადღება სტაბილურია<br>(ხლისგანმდებრ სტილი არ მოგვიანება)  |                      |
| შეუძლია ყურადღების გადატანა ირთი აქტივობიდან<br>მეორეზე   |                      |
| ყურადღების პონდენტრაციაში მოსწავლეს ეხმარება  |                      |
| ყურადღების პონდენტრაციაში მოსწავლეს ხალს უშლის  |                      |

**ინტერვიუს** გზით სპეციალურ მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, მშობლის, მოსწავლის, სხვა სპეციალისტის ან მასწავლებლისგან მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ. ჩვეულებისამებრ, ინტერვიუს მეთოდის გამოყენების ნაკლოვანება დაკავშირებულია მის სუბიექტურობასთან, თუმცა მრავალფეროვანი მეთოდების სინთეზი აღნიშნული სირთულის პრევენციის საუკეთესო გზაა. ინტერვიუს დროს სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს შეკითხვები და შეკითხვების შემუშავებისას გაითვალისწინოს რამდენიმე დეტალი:

- მარტივი, ყველასთვის გასაგები ლექსიკის გამოყენება.** მნიშვნელოვანია, მშობელს ან მასწავლებელს შეკითხვები დავუსვათ ისეთი ფორმულირებით, სადაც არ იქნება გამოყენებული პროფესიული ტერმინები ან უკიდურეს შემთხვევაში, ახსნილი იქნება თითოეულის შინაარსი. მაგალითისთვის, თუ ჩვენ გვსურს მოვიკვლიოთ, რამდენად სტაბილურია მოსწავლის ყურადღება ზელისშემსლელი ფაქტორებისადმი, მშობელს ვეკითხებით: როცა მეცადინეობს ან თამაშობს, რამდენად მოქმედებს მის ყურადღებაზე ოჯახის წევრების საუბარი, ტელევიზორის ხმა და ა.შ.
- დია კითხვების დასმა.** ინტერვიუს მიზანია, შემფასებელმა შეძლოს მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის შეგროვება მოსწავლის უნარების

შესახებ. შესაბამისად, ინტერვიუს პროცესში მნიშვნელოვანია ღია შეკითხვების გამოყენება. მაგალითისთვის, უმჯობესია მშობელს, მასწავლებელს ან სპეციალისტს ვკითხოთ - „რა შემთხვევებში უფრო მეტად უძნელდება ყურადღების კონცენტრაცია?“, „ყურადღების კონცენტრაცია უჭირს თუ არა?“.

- გამოთქმული აზრის მაგალითებით დასაბუთება.** მშობელთან ან მასწავლებელთან ინტერვიუს დროს, მნიშვნელოვანია, ობიექტურობის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით, სთხოვოთ გამოთქმული მოსაზრების შესაბამისი მაგალითის მოყვანა. მაგალითად, თუ მასწავლებელი ამბობს, რომ მისი აზრით, მოსწავლეს ხშირად ეფანტება ყურადღება მის გაკვეთილზე, აუცილებელია დააზუსტოთ, კონკრეტულად, რას გულისხმობს. შესაბამისად, ინტერვიუს დროს, ეფექტიანია დამაზუსტებელი შეკითხვების გამოყენება, როგორიცაა: „რაში/როგორ ვლინდება ეს ქცევა?“, „შეგიძლიათ, კონკრეტული მაგალითი მითხრათ?“ და ა.შ.

**კითხვარების** გამოყენება მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების საკმაოდ ეფექტიანი და პრაქტიკული გზაა, რომელიც ზოგავს დროს. გარდა იმისა, რომ კითხვარებით მიღებული ინფორმაციის შეჯამება მარტივია, ასევე შესაძლებელია ის რამდენიმე სხვადასხვა პირმა შეავსოს და შემთასებელი დააკვირდეს, რამდენად ემთხვევა მოსწავლის შესახებ მასწავლებლისა და მშობლის აზრი. ყურადღების შეფასებისთვის შესაძლებელია შემდეგი სახის რეიტინგული სკალის გამოყენება, სადაც მშობელმა ანდა მასწავლებელმა დებულების გასწვრივ უნდა მონიშნოს ის ქულა, რომელიც საუკეთესოდ აღწერს მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარებს.

ცხრილი 13. ყურადღების უნარის შეფასების კითხვარი

| მოსწავლის სახელი და გვარი:  |                          |                          |                          |  |
|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|--|
| პირი, რომელიც ავსებს კითხვარს:  |                          |                          |                          |  |
| შევსების თარიღი:  |                          |                          |                          |  |
| ინსტრუქცია: ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დებულებები, მონიშნეთ ის ციფრი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მოსწავლის შესაძლებლობებს და აღწერს მის ყურადღების უნარებს. თუ დებულებაზე არ გაქვთ დაზუსტებული პასუხი, დატოვეთ მონიშნის გარეშე. კითხვარში მოცემული ციფრებიდან 3 შეესაბამება „ყოველთვის“, რაც ნიშნავს იმას, რომ უმეტესწილად, ჩვეულებისამებრ, ბავშვი ავლენს აღნიშნულ უნარს. 2 შეესაბამება „ზოგჯერ“, უნარი ვლინდება არასისტემურად, ხოლო 1 - „არასოდეს“, რაც ნიშნავს, რომ მოცემულ დებულებას მოსწავლე ვერ ამჟღავნებს. |                          |                          |                          |  |
| დებულება  | ყოველთვის=3              | ზოგჯერ=2                 | არასოდეს=1               |  |
| 1 უჭირს დეტალებზე კონცენტრირება   | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |  |
| 2 გულმავიწყია   | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |  |
| 3 ნებისმიერი აქტივობა ძალიან მაღებაზეზრდება   | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |  |
| 4 შეუძლია დაწყებული დავალება, საქმიანობა ბოლომდე მიიყვანოს  | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |  |
| 5 უჭირს დაგეგმოს მეცადინეობის პროცესი   | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |  |

|    |  |                          |                          |                          |
|----|--|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| 6  | მისთვის საინტერესო აქტივობაში<br>ბოლომდეა ჩართული                      | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 7  | ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ არ<br>ისმენს, როცა ესაუბრებიან        | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 8  | მარტივად გადადის ერთი აქტივობიდან<br>მეორეზე                           | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 9  | შეუძლია მისთვის ნაკლებად საინტერესო<br>ამოცანაზე ყურადღების ფოკუსირება | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 10 | იოლად ეფანტება ყურადღება<br>უმნიშვნელო ხმაურზეც კი                     | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 11 | შეუძლია მიპყვეს უფროსების მითითებებს                                   | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 12 | უჭირს ინსტრუქციის შესრულება  | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 13 | ყველა დეტალს ძალიან სწრაფად ამჩნევს                                    | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 14 | ხშირად ეძებს ისეთ სათამაშოს, ნივთს,<br>რომელიც იქვე დევს               | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 15 | უჭირს ზღაპრის, მოთხოვობის მოსმენა                                      | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

შევსებული კითხვარის ანალიზის დროს ყურადღება მიაქციეთ რევერსიულ კითხვებს: 4, 6, 8, 9, 11, 13 და მათზე ქულები დაწერეთ პირიქით. თუ მონიშნულია 3, ჩაანაცვლეთ 1 ქულით.

რაც უფრო მაღალია კითხვარში დაგროვებული ქულები, მით უფრო გამოხატულია ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულეები.

კითხვარის ნიმუშში ყურადღება უნდა მივაქციოთ ე.წ. რევერსიულ დებულებებს. მაგალითად, „უჭირს დეტალებზე კონცენტრირება“.

3 ქულა მიუთითებს ყურადღების სირთულეებზე, თუმცა „შეუძლია, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს“, პირიქით, მონიშნული 3 ქულა აღნიშნავს კარგად განვითარებულ ყურადღებას. შესაბამისად, რევერსიულ დებულებებზე უნდა მოხდეს ქულების გადანაცვლება.

**ყურადღების სავარჯიშოების შესრულება** ასევე პრაქტიკული მეთოდია მოსწავლის კონცენტრაციის, სტაბილურობისა თუ განაწილების უნარებზე დაკვირვებისთვის. შეფასების აღნიშნული მეთოდის გამოყენება საჭიროებს მოსწავლისთვის რელევანტური რესურსის მიწოდებას, შესრულების პროცესში გამოვლენილი უნარის ჩანიშვნას და საბოლოოდ, მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციას. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ყურადღების სავარჯიშოები არ არის სტანდარტიზებული ტესტები, შესაბამისად, არ ზომავს და ადარებს მოსწავლის უნარს ნორმას. ამ გზით შესაძლებელია მხოლოდ მოსწავლის ყურადღების კონცენტრირების, მდგრადობისა და სწვა მახასიათებლების აღწერა, თუ როგორ ვლინდება თითოეული სავარჯიშოების შესრულების პროცესში. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

შემოხაზე ყველა ფოთოლი, რაც შიძლება სწრაფად



დავალებაზე დახარჯული დრო:

შესრულების თარიღი:

სავარჯიშო N1. ზემოთ მოცემული დავალებით შესაძლებელია დავაკვირდეთ, რამდენად შეუძლია მოსწავლეს მიწოდებულ დავალებაზე ყურადღების კონცენტრირება და როგორ ვლინდება აღმასრულებელი ყურადღების ფუნქცია. მოსწავლეს მიეწოდება დავალება, დამკვირვებელი ინიშნავს დროს, კონკრეტულად, რამდენ წამში/წუთში შეუძლია მოსწავლეს დავალების დაწყება და დასრულება. ასევე, შესრულების პროცესში აკვირდება შემდეგ დეტალებს: უწყვეტად მუშაობს თუ არა მოსწავლე, შეხსენების გარეშე (მდგრადობა), შეცდომით გადახაზვის შემთხვევაში ასწორებს, ამჩნევს და ასწორებს (აღმასრულებელი ყურადღება), ყურადღებით მუშაობს დავალებაზე და არ უშლის ხელს გარემოში არსებული სტიმულები, მაგალითად, დამკვირვებლის მოძრაობა და ა.შ. (ყურადღების სტაბილურობა).

სავარჯიშო N2. ამ ტიპის სავარჯიშოებში მოსწავლემ ნიმუშის მიხედვით მოცემული ობიექტების მწკრივს სიმბოლოები უნდა შეუსაბამოს - მწვანე სახლის ქვეშ ჩაწეროს x, ნარინჯისფრის ქვემოთ წრე, ხოლო იისფერი სახლი მონიშნოს დეფისით. სავარჯიშოს შესრულება მოითხოვს არა მხოლოდ კონცენტრაციას, არამედ ყურადღების გადანაცვლებასაც, რადგან მოსწავლეს გარკვეული პერიოდულობით მოუწევს ნიმუშზე ყურადღების მიმართვა. აღნიშნული სავარჯიშოს ჩატარების დროსაც მნიშვნელოვანია, შემთასებელმა ჩაინიშნოს დრო, დაშვებული შეცდომების რაოდენობა (არასწორად ჩაწერილი სიმბოლოები), გამოტოვებული ობიექტების რაოდენობა და სხვა ფაქტორები, რომელიც ვლინდება სავარჯიშოს შესრულების მომენტში.

ყურადღების შესაფასებელი სავარჯიშოების გამოყენებისას, უმჯობესია, სპეციალური მასწავლებელი პროცესშივე აკეთებდეს ჩანაწერებს და შეფასების დასრულებისთანავე გადაიტანოს მოსწავლის შესრულებული ნამუშევრის ცარიელ ან სპეციალურად

გამოყოფილ სივრცეში. ეს შემთასებელს დაეხმარება გარკვეული პერიოდის შემდგომ განმეორებით ჩატარებული იგივე პროცედურების შედეგები ერთმანეთს თვალნათლივ შეადაროს.

ილუსტრაცია 16. ყურადღების სავარჯიშო - სიმბოლოების შესაბამება

დააპირდი ნიმუში  შეეცადე, რაც შეიძლება სწრაფად  
ჩაწერო სიმბოლოები



სივრცე დაპირვებისთვის:

სავარჯიშო N3. როგორც უკვე აღინიშნა, ყურადღება მრავალგანზომილებიანი პროცესია, შესაბამისად, მოსწავლის ყურადღების უნარების სწორი და მკაფიო აღწერისთვის მნიშვნელოვანია მასზე სხვადასხვა მხრივ დაკვირვება. ზემოთ მოცემული ორივე სავარჯიშო ვიზუალურ მასალაზეა დაფუძნებული, რაც მრავალფეროვანი მონაცემებისთვის საკმარისი არ არის. საგანმანათლებლო სისტემის ყოველდღიურობა ასევე მრავლად მოიცავს სმენით სტიმულებს და მოსწავლისგან მოსმენილ ინფორმაციაზე კონცენტრირებას მოითხოვს. შესაბამისად, ყურადღების უნარის დაკვირვების პროცესში, შემთასებელმა მნიშვნელოვანია, გამოიყენოს მოსმენის სავარჯიშოებიც. ერთ-ერთი ასეთი ტიპის სავარჯიშოა სიტყვების სია. მოსწავლეს სწრაფად უსახელებთ სხვადასხვა სიტყვას, მოსწავლემ კი კონკრეტულ, წინასწარ შერჩეულ სიტყვაზე უნდა დაუკრას ტაში (ან განახორციელოს რაიმე მოქმედება, მაგალითად, დააკაკუნოს, ხელი აწიოს, თვალები დაახამხამოს და ა.შ.).

ილუსტრაცია 17. ყურადღების სავარჯიშო - სმენით ინფორმაციაზე ფოკუსირება

**ინსტრუქცია:** ახლა მე ძალიან სწრაფად გეთყვი სიზყვებს, შენ როცა  
გაიგონებ სიზყვას "ბელურა" დაახსამხამე თვალები.

ბიჭი, ბელურა, ანბანი, პატა, ბერთი, ბელურა, ბელურა, შარი, ურემი, ბორბი,  
ბელელი, ანბანი, ბიჭი, ვაშლი, ბანანი, ბოსტანი, ბელურა, ბორბალი, ბელურა,  
ბეკედი, კოცონი, ჟუდი, პართოფილი, იასამანი, სახლი, ჩითი, ქორი, მერცხალი,  
ბელურა, ბელურა, ბელურა, ბეკედი, ბოსტანი, ბორბილა. მვრითი, პარმი, ბელურა.

## მეხსიერება

ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტი დაკავშირებულია შემეცნებითი უნარის ერთ-ერთ  
კომპონენტთან - მეხსიერებასთან. მეხსიერება ეს არის ინფორმაციის შენახვის უნარი.  
ჩვენ ყოველდღიურად ვიღებთ ახალ ცოდნას თუ გამოცდილებას. სწორედ მეხსიერების  
ფუნქციაა წარსულში აღქმულის თუ განცდილის შენახვა და შემდეგ მომავალში,  
სიტუაციის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ამ ინფორმაციის აღდგენა და  
გათვალისწინება. მეხსიერება აერთიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ჩვენ,  
ძირითადად, ვიმახსოვრებთ იმას, რაც აწმყოში ხდება, შემდეგ, როდესაც ამ მომზდარს  
ვინახავთ ჩვენს ფსიქიკაში, ის უკვე წარსულს განეკუთვნება. ამ პროცესთა მიმდინარეობა,  
მიღებული გამოცდილებები კი გვჭირდება იმისათვის, რომ გამოვიყენოთ მომავალში.  
გამომდინარე აქედან, ახალი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება დამოკიდებულია  
უკვე არსებულ ინფორმაციათა სისტემაზე. მეხსიერებაში მოხვედრილი ყოველი ახალი  
ინფორმაცია ამდიდრებს და/ან ცვლის წარსულ გამოცდილებას.

მეხსიერება სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება, ესენია: კოდირება (ინფორმაციის  
აღბეჭდვა); შენახვა და აღდგენა. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

- კოდირება** - იგივე ინფორმაციის აღბეჭდვა და მისი შემოტანა.
- შენახვა** - კოდირებული ინფორმაციის შეკავება გარკვეული დროის  
განმავლობაში. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორი ფორმით და რა დროის  
მანძილზე ვინახავთ ამა თუ იმ ინფორმაციას.
- აღდგენა** - შენახული ინფორმაციის განზრას აღდგენა ან არაცნობიერის  
ფუნქციონირება.

## კოდირება

## შენახვა

## აღდგენა

თუ რომელიმე მოცემულ ეტაპთან მიმართებით არსებობს რაიმე სირთულე, ეს საბოლოო ჯამში, იწვევს მეხსიერების ფუნქციასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

მეხსიერებაზე საუბრისას უნდა შევეხოთ ნებისმიერ და უნებლივ მეხსიერებასაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეულ შემთხვევებში, ჩვენ ინფორმაციას აღვიდგენთ არაცნობიერის დონეზე, სწორედ ამასთანაა კავშირში უნებლივ მეხსიერება, როდესაც ადამიანი განზრახვის გარეშე, უნებლივიდ იმახსოვრებს იმას, რისი დამახსოვრების სურვილი და განზრახვა ცნობიერ დონეზე არ ჰქონია. მსგავსი ტიპის გამოცდილება მომავალში თავს იჩენს ქცევაში ან ყალიბდება ცოდნის სახით. უმეტესწილად, პიროვნების განვითარება და ჩამოყალიბება მეხსიერების არაცნობიერი მოქმედების შედეგია. რაც შეეხება ნებისმიერ მეხსიერებას, ეს არის დემონსტრირება იმ შემთხვევისა, როდესაც ჩვენ გარკვეული ინფორმაციის დამახსოვრებას მივმართავთ მიზანმიმართულად.

მეხსიერებაზე საუბრის დროს მნიშვნელოვანია შევეხოთ მის ორ ძირითად ფორმას. ესენია - ხანმოკლე მეხსიერება და ხანგრძლივი მეხსიერება. განვმარტოთ თითოეულის არსი და ვისაუბროთ მათ მნიშვნელობაზე ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის პროცესში.

**ხანმოკლე მეხსიერება** - მეხსიერების პირველი ეტაპი ინფორმაციის აღბეჭდვაა, რომელიც, სწორედ, ხანმოკლე მეხსიერებით იწყება. ხანმოკლე მეხსიერების აუცილებელი პირობაა აღქმული ინფორმაციის დაუყოვნებლივი აღდგენა. სწორედ ხანმოკლე მეხსიერებაში იწყება აღქმიდან მიღებული ინფორმაციის/შთაბეჭდილების გადამუშავება. პირველადად შემოსული ინფორმაცია შენარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი, როგორც საგნის იდენტიფიცირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯერ უნდა მოხდეს ინფორმაციის შეგრძნება, შემდგომ ამ საგნის/ინფორმაციის თვისებების გამოყოფა და ბოლოს მისთვის მნიშვნელობის მინიჭება. ინფორმაციის გადამუშავების ამ სახეს აღმავალი გადამუშავება ეწოდება, ხოლო, როდესაც პროცესი მიმდინარეობს პირიქით, ზემოდან ქვემოთ, მას დაღმავალი გადამუშავება ეწოდება.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხანმოკლე მეხსიერების მიხედვით ცნობიერში კონკრეტულ მომენტში აღქმულის მცირე დროით შენარჩუნება ხდება. მაგალითად, როდესაც მოსწავლეს ვკარნახობთ წინადადებას და ის მაშინვე ჩაწერს მას, ანუ აღიდგენს წერილობით, ეს ხანმოკლე მეხსიერებაში ამ ინფორმაციის მცირე დროით შენარჩუნების

დემონსტრირების მაგალითია. ხანმოკლე მეხსიერებაში ინფორმაცია დაახლოებით 20-30 წამი ნარჩუნდება.

აღსანიშნავია, რომ ხანმოკლე მეხსიერებაში მოხვედრილი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი გადადის ხანგრძლივ მეხსიერებაში. ის რაც არ ხვდება ხანგრძლივ მეხსიერებაში - გვავიწყება. დავიწყების ერთ-ერთი მიზეზია დრო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხანმოკლე მეხსიერებაში მოცემული შინაარსი ნარჩუნდება 20-30 წამის განმავლობაში გამეორების გარეშე, აქედან გამომდინარე, რაც უფრო დიდი დრო გადის ინფორმაციის აღბეჭდვიდან, მისი კვალი ნელ-ნელა სუსტდება და ბოლოს ქრება. ხანმოკლე მეხსიერებიდან ინფორმაციის დავიწყების მეორე მიზეზია ინტერფერენცია, როდესაც ახალი ინფორმაცია ერევა ძველს და ანაცვლებს მას. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვიმახსოვრებთ ტელეფონის ნომერს, მისი აკრეფის მიზნით, ეს სწორედ ხანმოკლე მეხსიერების მუშაობის მაგალითია, რადგან ნომრის აკრეფის შემდეგ ჩვენ ეს ინფორმაცია დაგვავიწყდება.

**ხანგრძლივი მეხსიერება** - მეხსიერების ფორმა, როდესაც მასალის აღქმასა და აღდგენას შორის არსებობს დროითი ინტერვალი. ხანგრძლივ მეხსიერებაში ინახება მთელი ცხოვრების მანძილზე მიღებული სხვადასხვა სახისა და შინაარსის ინფორმაცია. ხანგრძლივ მეხსიერებაში ჩვენ ვინახავთ საკუთარ ავტობიოგრაფიას, პირად ცხოვრებაში განცდილ მოვლენებს, სასიამოვნო თუ უსიამოვნო ისტორიებს და სხვა. სწორედ ხანგრძლივ მეხსიერებაში ვინახავთ, რაზე ვიმუშავეთ მოსწავლესთან წინა გაკვეთილზე და ა.შ. გარდა ამისა, ხანგრძლივ მეხსიერებაში შენახულია ზოგადი ცოდნა სამყაროს შესახებ, ეს შეიძლება იყოს წაკითხული წიგნების შესახებ ინფორმაცია, ნანახი ფილმები, თუ საყვარელი მომღერლის სიმღერები. მეორე მხრივ, ეს არის ისეთი ტიპის ინფორმაცია, რაც არ უკავშირდება პირად გამოცდილებას და არის საზოგადოების მონაპოვარი, ყველასათვის საერთო რამ. ხანგრძლივი მეხსიერების საფუძველზე გვახსოვს, სად დავდეთ ნივთები, რა ჰქვია ჩვენს მეგობრებს, მოსწავლეებს, რა გეგმები გვაქვს ხვალისთვის და ა.შ. შესაბამისად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ სწორედ ხანგრძლივ მეხსიერებას ვეყრდნობით.

ხანგრძლივ მეხსიერებაში შენახული ინფორმაციის მოცულობა თითქოს განუსაზღვრელია, თუმცა, ბევრი მოსაზრების თანახმად, ჯერ კიდევ არაა დადგენილი, სად გადის ხანგრძლივ მეხსიერებაში შენახული ინფორმაციის ზღვარი. ფაქტია ისიც, რომ ყოველი ახალი ცოდნა თუ გამოცდილება ემატება ჩვენი ინფორმაციის საცავს. მაგალითად, ყოველი ახალი შთაბეჭდილება, რომელიც მოგზაურობის დროს გვეუფლება, ემატება უკვე არსებულს და ა.შ.

ხანგრძლივ მეხსიერებაზე საუბრის დროს მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, თუ რა დროის განმავლობაში ნარჩუნდება ინფორმაცია ხანგრძლივ მეხსიერებაში. ეს დრო, დიდწილად, დამოკიდებულია ინფორმაციის ტიპსა და მისი გამოყენების სიხშირეზე.

ამასთან, არსებობს ისეთი ტიპის ინფორმაციებიც, რომელსაც მეხსიერება მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინახვს.

ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერების მოცულობისა და თითოეულის შენახვის ხანგრძლივობის უკეთ სადემონსტრაციოდ გთავაზობთ ცხრილს.

ცხრილი 14. მეხსიერების მოცულობა

| მოცულობა                         |                            | ხანგრძლივობა             |
|----------------------------------|----------------------------|--------------------------|
| <b>ხანმოკლე<br/>მეხსიერება</b>   | 7±2 ერთეული                | დაახლოებით 20-30 წამი    |
| <b>ხანგრძლივი<br/>მეხსიერება</b> | ძალიან დიდი, განუსაზღვრელი | განუსაზღვრელად დიდი ხნით |

როდესაც ჩვენ გვსურს ხანგრძლივ მეხსირებაში მოხვედრილი ინფორმაციის გამოყენება, ის უნდა აღვიდგინოთ. არსებობს აღდგენის სამი ძირითადი გზა: ცნობა, მოგონება და რეკონსტრუქცია.

**ცნობა** - აჩვენეთ ბავშვს რამდენიმე რეალური საგანი (რაოდენობა დამოკიდებულია ბავშვის შესაძლებლობებზე, უმჯობესია დაიწყოთ მცირე რაოდენობით და შემდეგ გაზარდოთ). სთხოვეთ მას ამ საგნებზე დაკვირვება, ამის შემდეგ აჩვენეთ იგივე რეალური საგნები სხვა საგნებთან ერთად. პროცესს, როდესაც ბავშვი შეამჩნევს, რომ კონკრეტული სტიმული/საგანი ადრე განცდილის მსგავსია, ცნობა ეწოდება. რეალური საგნებიდან შეგიძლიათ ეტაპობრივად გადახვიდეთ ბარაზულ გამოსახულ საგნის თვალსაჩინოებებზე.

**მოგონება/აღდგენა** - თუ გავყვებით იგივე აქტივობას, ანუ ვაჩვენებთ ბავშვს გარკვეულ საგნებს, იქნება ეს რეალური საგნები თუ თვალსაჩინოებაზე მოცემული, ხოლო ჩვენების შემდეგ ვთხოვთ მას, გვითხრას, რა ვაჩვენეთ ჩვენგან ჩამოსათვლელი საგნების შეთავაზების გარეშე - ეს უკვე აღდგენის მაგალითი იქნება. ამ შემთხვევაში მოსწავლეს აღარ მიეწოდება საგნები, რომელიც მან სხვა საგნებს შორის შეიძლება ამოიცნოსმან საგნების დასახელება მთლიანად ინფორმაციის აღდგენის ხარჯზე უნდა მოახერხოს.

**რეკონსტრუქცია** - როდესაც ჩვენ ვიმახსოვრებთ რთულ მასალას, ის უბრალოდ არ გადაგვაქვს სისტემაში შესანახად და აღდგენის დროს გადმოსაცემად. იმ ინფორმაციას, რომელსაც ვხვდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვარჩევთ ჩვენს ცოდნაში გადასატანად და განვმარტავთ, ანუ გარდავქმნით მასალას. როცა ბავშვი ხელახლა ყვება ამბავს, ის ამ ინფორმაციას აძლიერებს, აერთიანებს ან ამატებს დეტალებს. ასაკის მატებასთან ერთად კი მეხსიერება ფორმირდება იმდენად, რომ მოსწავლე ივიწყებს უმნიშვნელო ინფორმაციას და უფრო ლოგიკური კავშირების გზით წარმოადგენს მას.

მეხსიერებაზე საუბრის დროს უნდა შევეხოთ იმასაც, თუ როგორ ვიმახსოვრებთ ინფორმაციას. ერთი მხრივ, შესაძლოა ინფორმაცია დავიმახსოვროთ მოსმენით, ხოლო მეორე მხრივ, ვიზუალურად მიწოდების შემთხვევაში. შესაბამისად, გამოიყოფა სმენითი და ვიზუალური მეხსიერება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ორივე გზით ვიღებთ და ვიმახსოვრებთ ინფორმაციას, თუმცა, შესაძლოა, ერთი რომელიმე გზა კონკრეტულ შემთხვევაში უფრო ეფექტური იყოს. როგორც წესი, თუ ინფორმაციას პარალელურ რეჟიმში ვიღებთ მრავალფეროვანი გზით, ანუ როცა გვესმის და თან ვზედავთ, უკეთესად ვიმახსოვრებთ მას.

სმენით და ვიზუალურ მეხსიერებაზე საუბრის დროს, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი რომელიმე გზით ინფორმაციის მიღება და დამახსოვრება შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს მაშინ, როცა რომელიმე კონკრეტული უნარი მუშაობს დეფიციტურად. მაგალითად, ვიზუალური გზით ინფორმაციის მიწოდება მოსწავლისათვის, რომელსაც აქვს სმენის სირთულეები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი სწორედ ამ გზით დაიმახსოვრებენ ინფორმაციას, როცა პირიქითა და მოსწავლეს აქვს მხედველობის სირთულეები, ის სწორედ ვერბალური გზით მიწოდებულ ინფორმაციაზე აკეთებს აქცენტს და ამ გზით იმახსოვრებს მას.

## მეხსიერების უნარის განვითარება

მეხსიერების უნარის განვითარება ჩვილობის ასაკიდან იწყება, როდესაც ჩვილები მეტ ყურადღებას აქცევენ ახალ საგნებს, ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მათ უკვე ასსოვთ ადრე ნანახი საგნები. გარდა ამისა, ბავშვები 1 წლის ასაკში ცნობენ ნაცნობ, ხშირად ნანახ ადამიანებს, რაც ხანგრძლივ მეხსიერებაზე მიუთითებს. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ის პერიოდი, რომლის გახსენებაც ბავშვებს შეუძლიათ.

სასკოლო ასაკამდე ბავშვების მეხსიერება ძირითადად თვალსაჩინო-ხატოვანია, ბავშვები უკეთ იმახსოვრებენ მოვლენებს, ადამიანებს, ვიდრე განმარტებებს. უფრო მეტად იმახსოვრებენ მექანიკურად, ვიდრე მასალებს შორის აზრობრივი კავშირების გათვალისწინებით.

მეხსიერების უნარის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია თამაშის გამოყენება, რადგან ბავშვი ამ დროს უკეთ იმახსოვრებს, ვიდრე ინფორმაციის მიზანმიმართულად მიწოდებისას. მაგალითად, თუ გვინდა ბავშვს ვასწავლოთ ისეთი ახალი სიტყვები, როგორიცაა: ჩაქუჩი, ლურსმანი, ფიცარი და სხვა, ის ამ სიტყვებს უკეთ დაიმახსოვრებს, თუ თამაშისას ირგებს მშენებლის როლს და სიტუაციის შესაბამისად იყენებს სიტყვებს.

იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს გარკვეული ინფორმაციის დამახსოვრება, პირველ რიგში, მან ამ ინფორმაციას უნდა მიაქციოს ყურადღება. შესაბამისად, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ისეთი აქტივობები, რომელიც მიიპყრობს მოსწავლეთა ყურადღებას. ასეთია: ვიზუალური გამოსახულებები, მოტორული მოქმედებები, შედარებით მკვეთრი, კამკაშა ფერები. გარდა ამისა, მასწავლებელი უნდა იყენებდეს მრავალფეროვან დავალებებსა და სასწავლო მეთოდებს. მნიშვნელოვანია მასწავლებელი ხშირად გადაადგილდებოდეს კლასში, ამით ის იპყრობს მოსწავლეთა ყურადღებას, შესაბამისად, ისინი კონცენტრირდებიან შესასწავლ საკითხზე და იმახსოვრებენ ინფორმაციას.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ინფორმაცია გადაიტანონ ხანგრძლივ მეხსიერებაში, მნიშვნელოვანია მასწავლებელი დაეხმაროს მათ ამ ინფორმაციის გააზრებაში, რადგან კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანები უკეთ იმახსოვრებენ გააზრებულ მასალას, ვიდრე ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელთა შორის არსებული მიმართებებიც მათ არ ესმით.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა დაიმახსოვრონ ესა თუ ის ინფორმაცია, მნიშვნელოვანია მისი გამეორება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხანმოკლე მეხსიერებიდან იკარგება სწორედ ის ინფორმაცია, რომელსაც არ ვიმეორებთ. ამიტომ, როდესაც ბავშვს ვასწავლით რაიმე ახალს, მნიშვნელოვანია, რომ ეს დავაკავშიროთ მაქსიმალურად მეტ სიტუაციასთან, რომ მოსწავლეს მასთან ჰქონდეს ხშირი შემხებლობა, ეს ხელს შეუწყობს ამ ინფორმაციის ხანგრძლივ მეხსიერებაში გადატანას.

ინფორმაციის დამახსოვრებას ხელს უწყობს ამ ინფორმაციის დანაწევრებას, რაც გულისხმობს დიდი მოცულობის მასალის მცირე ნაწილებად დაყოფას და ისე მიწოდებას მოსწავლისათვის. ეს დაეხმარება მას, ნელ-ნელა, ეტაპობრივად, დაიმახსოვროს კონკრეტული საკითხი და შემდეგ გააერთიანოს ეს ცოდნა.


## როგორ შევაფასოთ მეხსიერება?

მეხსიერების უნარის შეფასების დროს უნდა შევეხოთ მის ფორმებსა და სახეებს. ერთი მხრივ, უნდა შევაფასოთ ხანმოკლე და ხანგრძლივი ვიზუალური მეხსიერება და მეორე მხრივ, ხანმოკლე და ხანგრძლივი სმენითი მეხსიერება. შეფასების პროცესში გამოყენებული აქტივობები, ძირითადად, გამომდინარეობს სასწავლო სიტუაციებიდან და ეფუძნება მასწავლებლის დაკვირვებასა და გამოყენებული სავარჯიშოების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

ხანმოკლე ვიზუალური მეხსიერების შეფასების პროცესში შესაძლოა ვაჩვენოთ მოსწავლეს რამდენიმე საგნის შესაბამისი გამოსახულება. მნიშვნელოვანია, რომ ეს

საგნები არ იყოს ერთმანეთთან შინაარსობრივ კავშირში, რათა მოსწავლემ საგნები არ დაიმახსოვროს აზროვნების ხარჯზე. საგნების გამოსახულება გარკვეული დროის, მაგალითად, 20 წამის ჩვენების შემდეგ ავიღოთ მოსწავლის თვალთახედვიდან და ვთხოვოთ მას ნაჩვენები საგნების დასახელება. როდესაც მოსწავლე ასახელებს საგნებს ჩვენებისთანავე, დაუყოვნებლივ, ის მიმართვას ინფორმაციის აღდგენის გზას. გთავაზობთ იმ საგანთა გამოსახულებებს, რომელიც შეგიძლიათ სურვილისამებრ გამოიყენოთ.

ილუსტრაცია 19. მეხსიერების სავარჯიშო - სიტყვების დამახსოვრება



სურათზე საგანთა რაოდენობა არ ეფუძნება შემთხვევითობის პრინციპს. რადგან ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხანმოკლე მეხსიერებაში შესაძლებელია  $7\pm2$  ერთეულის დამახსოვრება, შესაბამისად, მოცემულია 10 საგანი, რომ საგანთა აღდგენის ეს შუალედი იყოს დაცული.

იგივე აქტივობის გამოყენება შეგვიძლია ხანგრძლივი ვიზუალური მეხსიერების შეფასების დროსაც. მაგალითად, სთხოვეთ მოსწავლეს 40-45 წუთის გასვლის შემდეგ ისევ დაგისახელოთ ნაჩვენები საგნები. აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ ამ ერთი აქტივობის შედეგად ვერ გავაკეთებთ რელევანტურ დასკვნას, თუ როგორ ფუნქციონირებს მოსწავლის ხანმოკლე და ხანგრძლივი ვიზუალური მეხსიერება. ამ დასკვნის გასაკეთებლად უმნიშვნელოვანესია საგაკვეთილო პროცესსა და აქტივობის შესრულების დროს დაკვირვება. ეს სურათი უფრო რეალურად აჩვენებს იმას, როგორ იმახსოვრებს მოსწავლე იმ ინფორმაციას, რომელსაც ვიზუალურად მივაწოდებთ,

როგორ ახსოვს ეს მაშინვე (ხანმოკლე მეხსიერება) და რამდენიმე კვირის, თვის შემდეგ (ხანგრძლივი მეხსიერება).

მეხსიერების შეფასების დროს შესაძლოა მოსწავლეს გაუჭირდეს მიწოდებული საგრძების აღდგენა და შევაფასოთ ის, თუ რამდენად შეუძლია მას იცნოს მიწოდებული საგნები. ამის სადემონსტრაციოდ, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეს პირობითად 3 საგნის გამოსახულებას, სთხოვს მათზე დაკვირვებას, შემდეგ კი აჩვენებს 6 საგნის გამოსახულებას და სთხოვს მოსწავლეს, პირველად ნაჩვენები 3 საგანი ამოიცნოს მათ რიგებში. თუ მოსწავლე წარმატებით ართმევს დავალებას თავს, შესაძლოა გაიზარდოს მიწოდებულ საგანთა რაოდენობა, შემდეგ უკვე 6 საგნის ამოცნობა ვთხოვთ 9-ში და ა.შ. სანამ მოსწავლე შეძლებს აქტივობის შესრულებას.

რაც შეეხება სმენით მეხსიერებას, მისი შეფასება დაკავშირებულია მოსწავლის მიერ ვერბალური ინფორმაციის დამახსოვრებასთან. მაგალითად, თუ მას ვასწავლით ახალ სიტყვას, როგორიცაა „გულუხვი“, ვუსახელებთ მას ამ სიტყვას და ვთხოვთ მის გამორჩებას. თუ მოსწავლე დაუყოვნებლივ იმეორებს ამ სიტყვას, ეს ნიშნავს, რომ გადაიტანა ხანმოკლე მეხსიერებაში, ხოლო თუ რამდენიმე კვირის და 2-3 თვის გასვლის შემდეგ მოსწავლე სიტუაციის შესაბამისად გაიხსენებს და გამოიყენებს ამ სიტყვას, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ეს სიტყვა მან ხანგრძლივ მეხსიერებაში შეინახა და აღიდგინა საჭიროებისამებრ.

იმის გასარკვევად, თუ როგორ ფუნქციონირებს მოსწავლის სმენითი მეხსიერება, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ, როგორ იმახსოვრებს ის მასწავლებლის მიწოდებულ ინსტრუქციებს, მოსმენილ ტექსტებს. მოსმენილი ტექსტიდან პერსონაჟების დასახელება შეუძლია ტექსტის მოსმენისთანავე, თუ მეორე დღესაც და უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში.

## აზროვნება

შემეცნებით პროცესებს აღქმასთან, მეხსიერებასა და ყურადღებასთან ერთად აზროვნებაც მიეკუთვნება. აზროვნება დაკავშირებულია რაიმე ახალი ამოცანის, საკითხის გადაჭრასთან. აზროვნება არის შემეცნებითი უნარი, რომელიც გვეხმარება გამოცდილების შედეგად ცოდნის შეძენაში, პრობლემის გადაჭრაში და ჩვენი ცოდნისა და უნარების გამოყენებით ახალ სიტუაციასთან ადაპტირებაში.

აზროვნებას საფუძვლად უდევს აღქმა და მეხსიერება. აღქმის უნარით მოსწავლე ახერხებს მიანიჭოს მნიშვნელობები გარემოში არსებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციას, მეხსიერების საშუალებით იმახსოვრებს ნანახს, მოსმენილს, განცდილს,


მაგრამ მაშინ, როდესაც მას უწევს დააკავშიროს ერთმანეთთან მოვლენები, საგნები, ჩასწვდეს მიმართებებს, გაუჩნდეს დამოკიდებულება, გაარჩიოს არსებითი და მეორეხარისხოვანი -ეს აზროვნებაა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემეცნების პროცესი აღქმიდან აზროვნებისკენ მიემართება. თვალსაჩინოებისთვის, განვიხილოთ სიტუაციური ამოცანა. მოსწავლე სკვერში სეირნობისას ხის ქვეშ ჩამოვარდნილ ბუდეს ხედავს. მხედველობით მიღებული ინფორმაციის შედეგად ის აღიქვამს ნანახს და ხვდება, რომ ეს ბუდეა. აღქმაში მონაწილეობს მეხსიერებაც, რადგან შესაძლოა მოსწავლეს წარსულში უნახავს ბუდე ან რეალურად ან ილუსტრაციების, ანიმაციის სახით. თუ მოსწავლეს უჩნდება კითხვა, რატომ არის ბუდე ხის ქვეშ, სად შეიძლებოდა ყოფილიყო, რა დაემართა ბუდეს ან მასში მყოფ ჩიტებს - ეს ნიშნავს იმას, რომ მისი სააზროვნო პროცესები გააქტიურდა.

ილუსტრაცია 20. კოგნიტური უნარების ურთიერთკავშირი

მოსწავლი ხედავს  
საგნებს



მოსწავლი ხვდება,  
რომ ეს არის ბუდე



მოსწავლე ფიქრობს, რომ  
ბუდე ხიდან ჩამოვარდა



აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშნული ადრეულ ასაკში სიმბოლური თამაშია. სიმბოლური აზროვნება ვლინდება მაშინ, როდესაც ბავშვი განასახიერებს, მაგალითად, ცხოველს მაშინ, როდესაც ვერ ხედავს მას, სათამაშოს იყენებს მისი რეალური დანიშნულებით (მაგალითად, სათამაშო კოვჭით ურევს ჩაის), წარმოსახვითად ახორციელებს რამე მოქმედებას (ვითომ ჭიქას ავსებს წყლით და განასახიერებს შესაბამის მოქმედებას).

სააზროვნო უნარების განვითარების დინამიკას კარგად ასახავს უან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია, რომლის მიხედვითაც ბავშვის უნარი გაიგოს, იფიქროს და გადაჭრას პრობლემები ყოველდღიურ ცხოვრებაში თანდათანობით, უწყვეტად ვითარდება და ამ პროცესში ბავშვი და გარემო ორმხრივ ინტერაქციაშია ერთმანეთთან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია პიაჟეს მიერ გამოყოფილი სტადიები, თითოეული სტადიის არსებითი მიზანი (რა ახალ უნარს იძენს ბავშვი) და აღწერა.

ცხრილი 15. კოგნიტური განვითარების სტადიები

| სტადია                    | ასაკი      | მიზანი                   | აღწერა  |
|---------------------------|------------|--------------------------|---|
| სენსოროტორული             | 0-2        | ობიექტის<br>მუდმივობა    | ბავშვი სამყაროს შესახებ ცოდნას აგროვებს თავისი შეგრძნებებისა და მოქმედებების გამოყენებით. ბავშვი აწმყოში ცხოვრობს და მისი მენტალური შესაძლებლობებით არ შეუძლია ინფორმაციის მეხსიერებაში შენახვა და სწორედ ამიტომ ვერ იაზრებს ობიექტის მუდმივობას.   |
| პრეოპერაციული             | 2-7        | სიმბოლური<br>აზროვნება   | ბავშვის აზროვნება სუბიექტურობასა (ეგოცენტრულობა) და სიტუაციებზეა დაფუძნებული. რადგან ბავშვის აზროვნება ეგოცენტრულია, მას უჭირს სხვისი პერსპექტივების გაგება.  |
| კონკრეტული<br>ოპერაციების | 7- 11      | ლოგიკური<br>აზროვნება    | ბავშვი იწყებს კონკრეტული მოვლენებისადმი ლოგიკურ აზროვნებას - ამ სტადიის მონაპოვარია კონსერვაციის გაგება.  |
| ფორმალური<br>ოპერაციების  | 12-<br>დან | დასაბუთებული<br>მსჯელობა | ბავშვი იწყებს ჰიპოთეტურად და აბსტრაქტულად ფიქრს, მსჯელობას. რადგან სააზროვნო უნარები ამ დონეზეა განვითარებული, მოზარდები დაინტერესებულნი არიან სოციალური, მორალური, პოლიტიკური და ფილოსოფიური საკითხების გააზრებით. ყალიბდება დედუქციური აზროვნება. |

### რომელი კომპონენტებისგან შედგება აზროვნება?

აზროვნება ხშირად გამოიყენება ისეთი სიტყვების სინონიმად, როგორიცაა ფიქრი, პრობლემის გადაჭრა, მსჯელობა, ინტელექტიც კი. გამომდინარე იქიდან, რომ სააზროვნო პროცესები, რომელიც ჩვენს გონიერები მიმდინარეობს ძალზედ გადახატვულია ერთმანეთთან და სხვა კოგნიტურ პროცესებთან, აზროვნების კომპონენტების გამოყოფა ძალზედ პირობითია. მნიშვნელოვანია სპეციალურმა მასწავლებელმა შეფასების პროცესში გაითვალისწინოს აზროვნების პროცესის მთლიანობა და სააზროვნო პროცესების კომპონენტების აღწერა გამოიყენოს იმ მიზნით, რომ წარმოაჩინოს, როგორ შეიძლება ვლინდებოდეს მოსწავლის შესაძლებლობები კონკრეტულ ამოცანებთან მიმართებით.

იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ამოცანა აქვს მოსწავლეს გადასაჭრელი, აზროვნება ფართოდ გავრცელებული კლასიფიკაციით შეიძლება იყოს ვერბალური და არავერბალური. ვერბალური აზროვნება დაკავშირებულია ისეთ აქტივობებთან, რომელიც მოითხოვს ენა-მეტყველების გამოყენებას, მსჯელობას, დასაბუთებას, არგუმენტირებას. ხოლო არავერბალური ამოცანები ორიენტირებულია ისეთი

ოპერაციების შესრულებაზე, რომელიც არ მოითხოვს საუბარს და მოსწავლე ვიზუალურად, მოქმედებით ან სხვა გზით ამუშავებს ინფორმაციას.

**კლასიფიკაცია** - საგანთა დახარისხება გარკვეულ საერთო ნიშნებზე დაყრდნობით, მაგალითად, წითელი და მწვანე ფიგურების ამორჩევა (ფერის მიხედვით), დიდი, საშუალო და პატარა ზომის საგნების დახარისხება (ზომის მიხედვით). კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ორი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით. მაგალითად, თუ მოსწავლე პოულობს მცირე ზომის, ყვითელ, რბილ საგნებს, ის საგანთა კლასიფიკაციას სამ ნიშანზე - ზომა, ფერი, სიმყარე - დაყრდნობით ახორციელებს.

**კატეგორიზება** - საგნების, ობიექტების დაჯგუფება მათი მახასიათებლების მიხედვით. კატეგორიზების უნარი აუცილებელი და მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისთვის, რომ შემდგომში მოსწავლემ შეძლოს საგნებს შორის მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენა. კატეგორიზების უნარი მოითხოვს როგორც გარკვეული ნიშნით გაერთიანებულ საგანთა ზოგადი სახელწოდების ცოდნას (მაგ: ავეჯი, ტრანსპორტი, საკვები, ნივთები), ასევე კატეგორიებში შემავალი ობიექტების ჩამოთვლას, გამოყოფას, მიკუთვნებას.

კლასიფიკაცია და კატეგორიზება ხშირად პრაქტიკაში სინონიმებად გამოიყენება, თუმცა მათ შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კლასიფიცირების დროს საგანთა გაერთიანება ხდება ერთ ჯგუფში, ხოლო კატეგორიზებისას საგანთა ერთობლიობა ერთიანდება რაიმე „კატეგორიის“ ქვეშ.

ილუსტრაცია 21. განსხვავება კლასიფიკაციასა და კატეგორიზებას შორის


## კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია გულისხმობს საგანთა გაერთიანებას ერთ ან რამდენიმე ჯგუფად ისე, რომ მათში შემავალ ობიექტებს ჰქონდეთ რაიმე საერთო ან ჰგავდნენ ერთმანეთს.



## კატეგორიზება

კატეგორიზება გულისხმობს საგანთა ერთობლიობისთვის განმაზობადებელი სახელის დარჩმევას, რომელიც ასახავს ჯგუფში არსებული ობიექტების საერთო ნიშანს.



**მიმართების წვდომა** - ორ ან რამდენიმე საგანს, ობიექტს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ამოცნობა. აღნიშნული უნარი მოსწავლეს ეხმარება, ერთმანეთს შეადაროს გარესამყაროში არსებული ობიექტები, მოვლენები და პროცესები.

**ანალოგიები** - მიმართებების დამყარების უნარის გამოყენებით საგნებს შორის კავშირების (შინაარსობრივი, ფუნქციური, ვიზუალური და სხვა) დამყარება. ანალოგიების ტიპური დავალების ნიმუში შედგება ორი სიტყვისაგან, რომლებიც

ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ხოლო შემდეგ აღნიშნული კავშირის დამყარება სხვა სიტყვებს შორის. მაგალითად: თავი - ქუდი, ფეხი - (ფეხსაცმელი).

**ზედმეტი ობიექტის ამოცნობა** - კატეგორიზებისა და მსგავსება - განსხვავებების უნარების გამოყენებით ზედმეტი ობიექტის იდენტიფიცირება. აღნიშნული უნარი ვლინდება, როცა მოსწავლე ახერხებს თვალსაჩინო, ლოგიკურ ან აბსტრაქტულ ნიშანზე დაფუძნებით ზედმეტი საგნის პოვნას. მაგალითად, როდესაც მოსწავლე ხედავს ბურთის, ფორთოხლის, მზის, ჩოგნის სურათებს, ხვდება, რომ „ჩოგანი“ ზედმეტია, რადგან სხვა დანარჩენს მრგვალი ფორმა აქვს (თვალსაჩინო ნიშანი). ან, სურათების შემდეგ მწკრივში - „ყვავილი, ადამიანი, ძაღლი, ქოთანი“ ზედმეტ იმაულებული ფორმის „ქოთანს“, რადგან იცის, რომ სხვა დანარჩენი სუნთქავს, ცოცხალია.

**მოვლენათა თანმიმდევრობა** - გარკვეული პროცესების, სიუჟეტების ლოგიკური თანმიმდევრობის გაგება. აღნიშნული უნარი ვლინდება ისეთი ამოცანების შესრულებისას, როდესაც მოსწავლე სწორად განსაზღვრავს მოვლენათა რიგითობას, დაწყებული „ჯერ“ – „შემდეგ“ პროცესებიდან, დამთავრებული რამდენიმე ნაბიჯისა და მოქმედებისგან შემდგარი სიუჟეტების თანმიმდევრობით დალაგებით.


**მიზეზშედეგობრიობა** - მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულობის გაგება. მიზეზ-შედეგობრიობის უნარის გამოყენებით მოსწავლე ახერხებს განსაზღვროს, რომ ერთი მოვლენა განაპირობებს, იწვევს მეორეს. მაგალითად, როდესაც მოსწავლე ამბობს, რომ თუ ყინულს მზეზე დავდებთ, დადნება, ეს იმას ნიშნავს, რომ ის აყალიბებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დნობასა და სითბოს შორის, განსაზღვრავს, თუ რა არის მიზეზი (სითბო - მზეზე დადება) და შედეგი (ყინულის დნობა).

## როგორ შევაფასოთ აზროვნება?


ქვემოთ განხილული იქნება სააზროვნო უნარების შეფასებისთვის განკუთვნილი დავალებები, რომლის გამოყენებით სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია დააკვირდეს მოსწავლის აზროვნებას და მოიპოვოს აღწერითი მონაცემები მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შესახებ. შეფასების აღნიშნული მეთოდი ლიტერატურაში მოხსენიებულია როგორც დავალებაზე თრიენტირებული მეთოდი (Task Oriented Method).

ცხრილი 16. აზროვნების შეფასებისთვის საჭირო დავალებათა ტიპები

| კომპონენტი   | ვერბალური ტიპის დავალება  | არავერბალური ტიპის დავალება  |
|--------------|---|--|
| კლასიფიკაცია | <ul style="list-style-type: none"><li>ჩამოთვალე, რა დაფრინავს</li><li>ჩამოთვალე საჭმელი/საკვები</li><li>მოუსმინე სიტყვებს და თქვი, რომელია დიდი</li></ul> | <ul style="list-style-type: none"><li>დააჯგუფე საჭმლისა და სასმლის ბარათები</li><li>დააჯგუფე გამოჭრილი ფიგურები ფერების მიხედვით</li></ul> |

|                           |   |  |
|---------------------------|---|--|
|                           | <ul style="list-style-type: none"> <li>გააგრძელე სიტყვების<br/>ჩამოთვლა: ქუდი, კაშნე, წინდა<br/>...</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>დააჯუფე ღილები ზომისა და<br/>ფერის მიხედვით</li> </ul>  |
| კატეგორიზება              | <ul style="list-style-type: none"> <li>ჩამოთვალე ხილი, ბოსტნეული, ავეჯი და სხვა (მინიშნებას არ ვაძლევთ მოსწავლეს იმისთვის, რომ გავიგოთ, იცის თუ არა კატეგორიალური სახელების მნიშვნელობა)</li> <li>ქუდი, კაბა, შარვალი ტანსაცმელია, რა ჰქვია დანას, ჩანგალს, კოვზს?</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>ყუთში ჩადე ბოსტნეულის სურათები, მაგიდაზე დატოვე ხილის (მნიშვნელოვანია, დავრწმუნდეთ, რომ მოსწავლეს ესმის ინსტრუქცია და საჭიროების შემთხვევაში მივაწოდოთ მისთვის ნაცნობი ინსტრუქცია)</li> <li>დააკვირდი სურათებს და მითხარი, რა ჰქვია ყველას ერთად? (სურათზე ხატია კატეგორიაში შემავალი ობიექტები)</li> </ul> |
| მიმართებების წვდომა       | <ul style="list-style-type: none"> <li>მითხარი რამე, რაც ჰგავს ბურთს</li> <li>რა აქვს საერთო ქუდს და წინდას</li> <li>დაასრულე წინადადება - სპილო და თაგვი ორივე ცხოველია, მაგრამ სპილო ....</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>დააკვირდი სურათს და იპოვე გამუქებულ უჯრაში ჩასმულის მსგავსი/ განსხვავებული</li> </ul>   |
| ანალოგიები                | <ul style="list-style-type: none"> <li>ზამთარი : სიცივე</li> <li>ა. ზამთარი : ქარი</li> <li>ბ. ზაფხული: ზღვა</li> <li>გ. ზაფხული : სიცხე</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>დააკვირდი სურათებს და შემოხაზე, რა უნდა იყოს კითხვის ნიშნის ადგილზე</li> </ul>    |
| ზედმეტი ობიექტის ამოცნობა | <ul style="list-style-type: none"> <li>მე გეტყვი 3 სიტყვას და შენ მითხარი, რომელია ზედმეტი: ქუდი, კაშნე, ყელსაბამი</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>გადახაზე ზედმეტი</li> </ul>   |
| მოვლენათა თანმიმდევრობა   | <ul style="list-style-type: none"> <li>მომიყევი, რას აკეთებ დილით, სანამ სკოლაში წამოხვალ?</li> <li>დილით მზე ამოდის, შემდეგ რა ხდება?</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>დაალაგე სურათები თანმიმდევრობით</li> </ul>    |
| მიზეზ-შედეგობრიობა        | <ul style="list-style-type: none"> <li>რა მოხდება, თუ... (რა მოხდება, თუ მინის ჭიქა ძირს დავარდება?)</li> <li>რატომ დნება თოვლი?</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>დააკავშირე ერთმანეთთან</li> </ul>   |

ანალოგიების, ზედმეტი ობიექტის ამოცნობისა თუ მსგავსება-განსხვავებების დავალებების შესრულებისას, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება ასევე დავაკვირდეთ მსჯელობის უნარს, ახერხებს თუ არა მოსწავლე თავისი პასუხის დასაბუთებას, რატომ არის მოცემულ სურათებში მოწყენილი ბიჭის ილუსტრაცია ზედმეტი.



## კომუნიკაცია, ენა-მეტყველება.

ენა-მეტყველების არსი და მათ შორის არსებული სხვაობა

ენა არის ნიშანთა სისტემა, მეტყველება კი ურთიერთობის პროცესი, როდესაც ხდება ინფორმაციის გადაცემა ენის საშუალებით. ენა გამოხატავს კონკრეტული კულტურისა და წარმომავლობის ადამიანთა ფსიქოლოგიასა და მენტალობას, რომლისთვისაც ის მშობლიურია. ენას შეუძლია იარსებოს მეტყველებისაგან დამოუკიდებლად, მეტყველება კი ენის გარეშე, თითქმის არ არსებობს. ენის ათვისების პროცესი თანდაყოლილია, ეს არის უნარი, რომლის საშუალებითაც ადამიანს ნებისმიერ ენაზე შეუძლია ამეტყველება. მეტყველება მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, ენა კი, როგორც ნიშანთა სისტემა, გააჩნია ცხოველებსაც და ადამიანებსაც. ადამიანს შეუძლია თან იფიქროს და თან ისაუბროს, განსხვავებით ცხოველისაგან.

ლინგვისტი ნოამ ჩომსკი და მისი კოლეგები თვლიან, რომ ცხოველებისა და ადამიანების ენა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რადგან ცხოველებს არ გააჩნიათ სათქმელის მრავალფეროვანი გამოხატვის უნარი და ძალა. ისინი მხოლოდ სიგნალებით გადასცემენ ერთმანეთს სათქმელს. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ ადამიანის ენა განვითარებადი, დახვეწადია და აქვს ძალიან ძველი ფესვები.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ენა თანდაყოლილი და ბიოლოგიურად განპირობებულია. თანამედროვე თეორიები მიუთითებს, რომ ენა ვერ იქნება კულტურულად უნივერსალური ადამიანებისათვის. სწორედ ამის მანიშნებელია, რომ დღეს მსოფლიოში 7000 სხვადასხვა ენაზე საუბრობენ.

ენა-მეტყველებაზე საუბრისას აქტუალურია შემდეგი კითხვა - შესაძლოა ენა არსებობდეს მეტყველების გარეშე? პასუხი არის - დიახ. პასუხს განაპირობებს ჟესტური

ენის არსებობა. ეს არის იმ მრავალი ადამიანის კომუნიკაციის მთავარი გზა, ვისაც აქვს სმენასთან და, შესაბამისად, მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეები. ჟესტურ ენას აქვს მისთვის დამახასიათებელი გრამატიკული სტრუქტურა. თუმცა, მნიშვნელოვანია განვმარტოთ, თუ რატომ ვუწოდებთ მას ენას. ენის საშუალებით ხდება საკუთარი აზრების, იდეებისა და ემოციების სხვებისათვის გასაგები გზით გაზიარება. მოუხედავად იმისა, რომ კომუნიკაცია ენის აუცილებელი თვისებაა, თუ ადამიანი საკუთარ სათქმელს აზიარებს ჟესტებით, რატომ არ შეიძლება ის ჩაითვალოს ენად. ენათმეცნიერები მიიჩნევენ, რომ ენის გზით დამყარებული კომუნიკაცია უნდა გაიაზროს ადამიანთა ფართო ჯგუფმა. ისინი ენის ამ ფუნქციას საერთო კოდს უწოდებენ.

ენა შედგება სიმბოლოებისაგან, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა. როდესაც აღვწერთ საგანს, რომელიც არის მწვანე და ფოთლოვანი, მას ჩვენ ვუწოდებთ ხეს, სწორედ ეს არის მასში ჩადებული მნიშვნელობა, მოუხედავად იმისა, რომ სიტყვაში „ხე“ არაფერია მწვანის ან ფოთლის აღმნიშვნელი, ჩვენ ვიცით, რომ მასში ეს შინაარსი იგულისხმება. ჩვენ ვფლობთ გარკვეული რაოდენობის სიტყვებს, ვიცით მათი შეკავშირების წესები და ამ გზით ვქმნით წინადადებების უსასრულო რაოდენობას.

ენას ასევე აქვს შემოქმედებითი ფუნქცია. ენაში მუდმივად ჩნდება ახალი სიტყვები, ხოლო არსებული სიტყვები გამოდის ხმარებიდან ან იცვლება მათი მნიშვნელობა.

ყველა ენას აქვს თავისი სხვადასხვა ვერსია, რომლებსაც დიალექტებს ვუწოდებთ. დიალექტი ერთი კონკრეტული კუთხისათვისაა დამახასიათებელი, თუმცა მისი შესატყვისი სიტყვა სხვა კუთხეებში მოიძებნება.

მეტყველების განვითარება ბავშვებში ჩვილობის ასაკიდან იწყება. განვიხილოთ მაგალითი. როდესაც 3 თვის ბავშვი იწყებს ისეთი ბგერების გამოცემას, როგორიცაა „გა“, „ბა“ და სხვა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს ხმები მეტყველების წინაპირობაა? ენათმეცნიერები თვლიან, რომ დიახ, რადგან ამ ბგერებს აქვთ ისეთი მახასიათებლები, რომლებიც იდენტურია იმავე ენაზე მეტყველი მოზრდილი ადამიანისათვის.

მეტყველების დაუფლებისათვის მნიშვნელოვანია ურთიერთობა, ხოლო ენის დაუფლება შესაძლებელია ენის წესების სისტემის ათვისებით. ამ ორ მიმართულებას საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა სფერო შეისწავლიდა, ენას - ლინგვისტიკა, მეტყველებას კი - ფსიქოლოგია. XX საუკუნიდან შეიქმნა ახალი სფერო ფსიქოლინგვისტიკა, რომელიც ენა-მეტყველებას შეისწავლის.

მეტყველების საშუალებით ბავშვებს შეუძლიათ ისაუბრონ იმ ობიექტებზე, რომლებსაც იმ მომენტში ვერ ხედავენ, დასახონ გეგმები და გაიხსენონ წარსული. როდესაც ბავშვები არ არიან დაუფლებული მეტყველებას, მიჯაჭვულები არიან „აქ“ და „ახლა“ სიტუაციას, აქვთ შეზღუდული ინფორმაცია, რომელიც შეგრძნების ორგანოების საშუალებით მიეწოდებათ.

ენა თითოეული ადამიანისათვის უნიკალურია. ის ეხმარება ბავშვს გადავიდეს კონკრეტული საგნებიდან ცნებებზე, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოციალურ ურთიერთობაზე. სიტყვა ბავშვს ახალი ცოდნის დაუფლების შესაძლებლობას აძლევს. ენის განვითარების პროცესში ბავშვს სჭირდება გარკვეული დრო იმისათვის, რომ გაიგოს ენა, რომლის საშუალებითაც ჩვენ მას ინფორმაციას ვაწვდით. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვებს უნდა მივცეთ საშუალება, გამოიყენონ ახლად ნასწავლი სიტყვები, გამომდინარე იქიდან, რომ აზრების ვერბალურად გადმოცემა აუმჯობესებს ცოდნის ათვისებას.

## რომელიკომპონენტებისგან შედგება ენა-მეტყველება?

ფსიქოლოგები გამოყოფენ მეტყველების სამ ძირითად სახეს, ესენია:

- **სოციალური მეტყველება** - ადამიანთა შორის ურთიერთობა ხდება ვერბალურ გამონათქვამთა უშუალო გაცვლის მეშვეობით. მეტყველება სოციალიზებულია და მიმართულია სხვა ადამიანებზე. როდესაც ბავშვი დამოუკიდებლად ვერ წყვეტს პრობლემას, ის დახმარებისათვის მიმართავს უფროსს. შესაბამისად, პრობლემის გადაჭრის მიზნით, საჭიროა ორ ადამიანს შორის კომუნიკაცია.
- **ეგოცენტრული მეტყველება** - მიმართულია საკუთარი თავისაკენ. იგი არეგულირებს და აკონტროლებს ადამიანის საქმიანობას. ეგოცენტრული მეტყველება ეხმარება ბავშვს ისეთი უნარების განვითარებაში, როგორიცაა: დაგეგმვა, დაკვირვება, აზროვნების მართვა და პრობლემის გადაჭრა. ეგოცენტრული მეტყველების საშუალებით ბავშვი სწავლობს საკუთარი ქცევის რეგულირებას.
- **შინაგანი მეტყველება** - ადამიანის უხმო მეტყველება, რაც გულისხმობს რეალური კომუნიკაციური პროცესების გარეშე ენობრივი ერთეულების გამოყენებას. შინაგანი მეტყველების საშუალებით სხვებისაგან შეუმჩნევლად ვაკონტროლებთ ჩვენს აზროვნებასა და ქცევას.

ეტაპობრივად, ასაკის მატების პარალელურად, ბავშვი ეგოცენტრულ მეტყველებას, ანუ საკუთარ თავთან საუბარს ანაცვლებს შინაგანი მეტყველებით. ხმამაღლა ლაპარაკი ჯერ იცვლება ჩურჩულით, შემდეგ ტუჩების მოძრაობით, ბოლოს კი - ფიქრით.

ადამიანის ენა რთული კომპლექსური ფენომენია. მისი გაგების გამარტივების მიზნით ენათმეცნიერებმა შეიმუშავეს მისი კომპონენტები. არსებობს ენის კომპონენტებად დაყოფის სხვადასხვა სისტემა (ელემენტები). ენათმეცნიერთა უმეტესობა განსაზღვრავს

ხუთ ძირითად ელემენტს: ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსტი, სემანტიკა და პრაგმატიკა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**ფონოლოგია** - პირველ რიგში განვმარტოთ, რას ნიშნავს ფონემა, ეს არის ბგერის უმცირესი ენობრივი ერთეული, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ჟღერადობებს განასხვავებს და აღიქმება სამეტყველო ბგერის სახით. ყოველ ფონემას ერთი (ზოგჯერ ორი ან რამდენიმე) სამეტყველო ბგერა შეესაბამება. ბგერის ცვლილებით იცვლება სიტყვის მნიშვნელობა. რაც შეეხება ფონოლოგიას, ეს არის ბგერების შესწავლა. ენათმეცნიერები, რომლებიც ფონოლოგიით არიან დაინტერესებულები ცდილობენ ამოიცნონ ენის ფონემები და წესები, რომლებიც ქმნიან ბგერათა კომბინაციებს.

**მორფოლოგია** - არის სიტყვების და მათი ჩამოყალიბების წესების შესწავლა. მორფოლოგიური წესები განსაზღვრავს, როგორ შეიძლება ბგერების გაერთიანება სიტყვების შესაქმნელად. ხოლო მორფემა ეს არის მნიშვნელობის მატარებელი უმცირესი ენობრივი ერთეული. ის არის ორი ან სამი ფონემის კომბინაცია, მას მიეკუთვნება სიტყვის ფუძე, ძირი, პრეფიქსები, სუფიქსები, რიცხვისა და ბრუნვის ნიშნები და სხვა. მორფემათა კომბინაციით იქმნება სიტყვები.


**სინტაქსი** - არის იმ წესების შესწავლა, რომელიც არეგულირებს წინადადების აგებულებისა და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესებს. ამ წესებს ვიყენებთ წინადადებებიდან აზრის გამოტანის მიზნით.

**სემანტიკა** - ენობრივი ნიშნების მნიშვნელობისა და მათი კომბინაციების შესწავლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესწავლა იმისა, თუ როგორ უკავშირდება სიტყვები და წინადადებები კონკრეტულ ენას.

**პრაგმატიკა** - ენის გამოყენება კომუნიკაციის მიზნით, ან როგორც გლისონი (Gleason, 2009) ამბობს - „ენის გამოყენება საკუთარი განზრახვების გამოსახატად“. პრაგმატიკა ასახავს ენისა და მეტყველების გამოყენებას სიტუაციის შესაბამისად, მიმართვის თავაზიანი ფორმების გამოყენებას.

გარდა ამისა, ბლუმი და ლაპი (1978) აღწერენ ენას, რომელიც სამი კომპონენტისაგან შედგება. ესენია: ფორმა, შინაარსი და გამოყენება. ეს მოდელი აღიარებს ენის ელემენტებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას. ის კომპონენტი, რომელსაც ისინი უწოდებენ „ფორმას“, მოიცავს ფონოლოგიას, მორფოლოგიასა და სინტაქსის ელემენტებს.

ილუსტრაცია 22. ენის კომპონენტებისა და ელემენტების მოდელები.



### ენა-მეტყველების განვითარება

ბავშვებში ენა-მეტყველების განვითარების ტრადიციული ხედვის მიხედვით, ჩვილები სამყაროში მოდიან, როგორც გარემოს უპირობოდ მიმღებნი და კრიტიკის გარეშე შემძლებლები. ისინი მზად არიან, შეიძინონ გამოცდილებები, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარებაში და აქცევს მათ სრულად ფუნქციონირებად ზრდასრულ ადამიანად. ბოლო დროს ჩატარებული თანამედროვე კვლევები სრულად უპირისპირდება ამ ტრადიციულ შეხედულებებს. თანამედროვე ხედვის მიხედვით ჩვილები იბადებიან სწავლისათვის მზად. ისინი არ არიან სამყაროსაგან პასიური ინფორმაციის მიმღებები. ისინი არიან აქტიური მოსწავლეები, რომლებიც გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდება მათი გარემო. ამ გზით ისინი ივითარებენ იმ აუცილებელ წინაპირობებს, რაც ენის გაჩენამდეა მნიშვნელოვანი.

კვლევები აჩვენებს, რომ ახალშობილებს აქვთ ენობრივი გააზრების უნარი, მათ შეუძლიათ სხვადასხვა ენის ერთმანეთისაგან განსხვავება. ამას ადასტურებს ეროვნებით ფრანგ ბავშვებთან ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც მათ მოასმენინეს ფრანგული და იაპონური ბერებიგან შემდგარი კომპოზიციები, ბავშვები უფრო ყურადღებით იყვნენ მაშინ, როდესაც ისმენდნენ ფრანგულ ბერებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ცნობენ და აღიარებენ იმ ენას, რომელსაც მათთვის ნაცნობ გარემოში ისმენენ. ასევე კვლევები აჩვენებს, რომ ერთი თვის ჩვილებს შეუძლიათ ერთმანეთისაგან განარჩიონ სამეტყველო ბერები მაგალითად „ბა“ და „ფა“. ბავშვებს 7 თვის ასაკიდან უკვე შეუძლიათ განასხვაონ ნაცნობი და უცნობი სიტყვები (Juszczyk & Aslin).

ენა-მეტყველება ასაკის მატებასთან ერთად ეტაპობრივად ვითარდება. სასკოლო ასაკში ბავშვებს უკვე შეუძლიათ რთული წინადადებებით საუბარი. შეუძლიათ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე საუბარი და აქვთ დიდი და მრავალფეროვანი ლექსიკური მარაგი. ამ მიღწევების მიუხედავად, ენისა და მეტყველების განვითარების კუთხით ბავშვებს სასწავლი ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ.

სასკოლო ასაკიდან მოსწავლეები იწყებენ იმ ენის გაცნობიერებულ გამოყენებას, რომელსაც აქამდე, უბრალოდ, კომუნიკაციის მიზნით იყენებდნენ. ენობრივი უნარები მათ უკვე კითხვასა და წერაში უნდა გამოიყენონ. სკოლის მოსწავლეები ყოველდღიურად სწავლობენ ახალ ლექსიკურ ერთეულებს, სიტყვებს, ერთვებიან სასკოლო დისკუსიებში, თანატოლებთან საუბარში და ა.შ.

ენა-მეტყველების განვითარება არ სრულდება, როდესაც ბავშვები სკოლაში შედიან. ბავშვები სკოლაში სწავლობენ სინტაქსური კომბინაციების გამოყენების ახალ გზებს. იზრდება იმ ადამიანთა დიაპაზონი, ვისთანაც მათ ენის გამოყენება უწევთ, რაც ეხმარებათ ენა-მეტყველების განვითარებასა და დახვეწაში.

## როგორ შევაფასოთ ენა - მეტყველება?

სანამ ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება შევაფასოთ მოსწავლეების ენისა და მეტყველების უნარი, აუცილებელია შევეხოთ იმ ორ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც გვეხმარება ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში. ესენია ექსპრესიული ენის გამოყენება (ექსპრესიული ენა) და რეცეპტული ენის გამოყენება (იმპრესიული მეტყველება, ენის გაგება).

**ექსპრესიულია ენა** - როდესაც ადამიანი საკუთარ მოსაზრებებს და ზოგადად, სათქმელს უზიარებს სხვა ადამიანს და ამას აკეთებს გასაგები სიტყვებისა და წინადადებების გამოყენებით, ის მიმართავს ექსპრესიას, რაც გამოხატვას ნიშნავს. ექსპრესიული ენის საშუალებით მოსწავლე გვიზიარებს საკუთარ სურვილებს, საჭიროებებს, იდეებსა და სათქმელს.

**რეცეპტული ენა** - იგივე ენის გაგებაა, რაც მიმართული მეტყველების გაგებას გულისხმობს. როდესაც მოსწავლე იგებს მასწავლებლის მხრიდან მიწოდებულ ინსტრუქციას, ეს სწორედ რეცეპტული ენის საშუალებით ხდება. ზოგადად, როდესაც ჩვენ ვიგებთ/ვერ ვიგებთ სხვა ადამიანის იდეებსა და მოსაზრებებს, ეს რეცეპტული ენის განვითარებაზე ან სირთულეზეა დამოკიდებული.

ახლა კი განვიხილოთ, როგორ შეიძლება შევაფასოთ მოსწავლის ენა-მეტყველების უნარი და მოვიპოვოთ ინფორმაცია ამ მხრივ მის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე.

რადგან გამოვყავით ორი მიმართულება, შეფასების შესახებაც ამ მიმართულების ფარგლებში ვისაუბროთ.

იმპრესიული ენის შეფასებისას უნდა დავაკვირდეთ და აღვწეროთ:

- შეუძლია თუ არა მოსწავლეს მასწავლებლის მხრიდან მიწოდებული ინსტრუქციების გაგება, რომლის შემოწმება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვებითაა შესაძლებელი, თუ მოსწავლე ასრულებს, მიჰყება მიწოდებულ ინსტრუქციას, ე.ი. იგებს მას. აქვე მნიშვნელოვანია დავაზუსტოთ, რამდენ საფეხურიან ინსტრუქციას იგებს და ასრულებს მოსწავლე;
- შეუძლია თუ არა უპასუხოს დასმულ კითხვებს;
- რამდენად სწორად იგებს იმ ეპიზოდის და/ან სიტუაციის შინაარსს, რომელზეც ვესაუბრებით;
- როგორ იგებს მოსაუბრის მხრიდან გამოყენებულ არავერბალურ მიმანიშნებლებს, როგორიცაა უესტები, მიმიკა.

ექსპრესიული ენის შეფასების პროცესში უნდა დავაკვირდეთ და აღვწეროთ:

- როგორია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, შესაძლოა დავასახელოთ ის მიახლოებითი რიცხვი, რა რაოდენობის სიტყვებით გამოხატავს სათქმელს. შესაძლოა მოსწავლე არ იყენებდეს სიტყვებს, ამბობდეს მარცვლებს ან ცალკეულ ბგერებს, უნარის აღწერის დროს შეგვიძლია ესეც დავაზუსტოთ და აღვწეროთ;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს ბგერების სიტყვებად გაერთიანება და დავაკონკრეტოთ, რამდენ ბგერას აერთიანებს. ასევე აღვწეროთ, შეუძლია თუ არა მარცვლების სიტყვებად გაერთიანება და აქაც დავაზუსტოთ მარცვლების რაოდენობა;
- იყენებს თუ არა სიტყვათა შეკავშირების სწორ წესებს, რომელშიც ის ძირითადი გრამატიკული წესები მოიაზრება, როგორიცაა პირისა და რიცხვის შეთანხმება, ბრუნვის ნიშნების გამოყენება და ა.შ.;
- რამდენად სწორად იყენებს სათქმელის გამოხატვის მიზნით სიტყვებსა და წინადადებებს;
- რამდენსიტყვიანი წინადადებით საუბრობს მოსწავლე და როგორია ეს წინადადებები? მარტივი, მარტივი გავრცობილი თუ რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები;
- სვამს თუ არა მისთვის საინტერესო საკითხზე კითხვა;  
▪ იყენებს თუ არა არავერბალურ მიმანიშნებლებს, როგორიცაა უესტები, თვალით კონტაქტი, მიმიკების ცვალებადობა. მნიშვნელოვანია, რომ არავერბალურ მიმანიშნებლებს იყენებდეს კონტექსტურად სწორად;
- საბოლოო ჯამში, რამდენად გასაგებია მოსწავლის მეტყველება მსმენელისათვის.

## ფიზიკური სფეროს შეფასება

ფიზიკური სფერო დაკავშირებულია ისეთ უნარებთან, როგორიცაა ხოხვა, ცოცვა, მოძრაობა, ხტუნვა, სირბილი, ხატვა, გაფერადება და ა.შ. თუმცა, გარდა აღნიშნული მოქმედებებისა, მოტორული განვითარება მოიაზრებს ბავშვის ფიზიკურ, სხეულის, შინაგანი ორგანოების ზრდას. ფიზიკური განვითარება მნიშვნელოვან კავშირშია შეგრძნებებთან და შეგრძნებებით მიღებულ აღქმასთან. შეგრძნების 5 ძირითადი არხის გარდა, მოტორულ განვითარებაში ჩართულია ვესტიბულური (მოძრაობის, წონასწორობის შეგრძნება, რომელიც აღიქმება შუა ყურის აპარატში მდებარე რეცეპტორებით) და პროპრიოცეპტული (სხეულის მდებარეობის, კუნთებიდან და მყესებიდან მიღებული ინფორმაცია) შეგრძნებები.

ფიზიკური განვითარება ორ მსხვილ მიმართულებად იყოფა იმის მიხედვით, თუ სხეულის რა ზომის კუნთებია ჩართული მათ განვითარებაში - მსხვილი და ნატიფი (წვრილი).

**მსხვილი მოტორული უნარები** გვაძლევს შესაძლებლობას, შევასრულოთ ისეთი მოქმედებები, რომელშიც ჩართულია კუნთები, ტანი (ტორსი), ფეხები და ხელები. სხვაგვარად მსხვილი მოტორიკა „მთლიანი სხეულის მოძრაობებია“. მსხვილი მოტორიკა დაკავშირებულია ისეთ უნარებთან, როგორიცაა: ბალანსის დაცვა, კოორდინაცია, ფიზიკური გამძლეობა, რეაქციების სისწრაფე.

**ნატიფი მოტორული უნარები** გვაძლევს ისეთი მოძრაობების და მოქმედებების შესრულების შესაძლებლობას, რომლის დროსაც ხდება წვრილი კუნთების: მაჯის, ხელის, მტევნის, კისრის (ყლაპვის დროს) ან თვალის კუნთის გამოყენება. რამდენადაც ნატიფი მოტორული მოძრაობები, ერთი შეხედვით, შესაძლოა მარტივი ჩანდეს, იმდენად რთული და კომპლექსურია ამ პროცესების მექანიზმი, რადგანაც ის მოითხოვს თავის ტვინისა და კუნთების ერთმანეთთან შეკავშირებას და ინფორმაციის მიღება-გაცემას. ნატიფი მოტორული უნარები დაკავშირებულია შემდეგი სახის ამოცანების შესრულებასთან: გაფერადება, ჩაცმა, ღილების შეკვრა, ჭამა, ნივთების ხელიდან ხელში გადატანა და ა.შ.

ფიზიკურ სფეროზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში სპეციალურმა მასწავლებელმა მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს შემდეგი კომპონენტები:

**სხეულის ცოდნა (Body Awareness)** გულისხმობა - სხეულის მდებარეობის, კუნთების მოძრაობის, კუნთებისა და მყესების დაჭიმულობის, ძალის შეგრძნებას ცნობიერი ძალისხმევის გარეშე. სხეულის შეგრძნება და აღქმა დაკავშირებულია პროპრიოცეპტულ და ვესტიბულურ არხებთან. თუ მოსწავლეს აქვს სირთულეები აღნიშნულ კომპონენტში, ეს შეიძლება ასე ვლინდებოდეს:

- ძალიან უჭერს ფანჯარს ან კალამს და ვერ აკონტროლებს თითების დაწოლის ძალას ხატვისას, წერისას, გაფერადებისას;

- საგნების ხელში დაჭერისას ძალიან უჭერს ან/და პირიქით, ძალიან რბილად ჰკიდებს ხელს;
- მოტორული აქტივობების შესრულებისას, იმიტირებისას სჭირდება თავისი სხეულის ყურება. მაგალითად, როდესაც აჩვენებთ ცერა თითს და სთხოვთ, გაიმეოროს, მას მოძრაობის გასამეორებლად, თითებისთვის შესაბამისი პოზის მისანიჭებლად სჭირდება უყურებდეს ხელის მტევანს.

**მოტორული დაგეგმვა (პრაქტიკი)** - წარმოადგენს ნაკლებად ნაცნობი მოტორული ამოცანის თანმიმდევრობის კონცეპტუალიზების, დაგეგმვისა და განხორციელების უნარს. მაგალითად, როდესაც მოსწავლე ხედავს თაროზე შემოდებულ მის საყვარელ წიგნს და ვერ სწვდება, იწევს ფეხის წვერებზე, შლის თითებს იმისთვის, რომ ჩამოიღოს წიგნი. ან როდესაც მოსწავლეს სურს, დალიოს წყალი, მან იცის, რომ ჯერ ბოთლს უნდა მოხსნას თავსახური, შემდეგ ხელში დაიჭიროს, დახაროს, ჩასხას ჭიქაში და დალიოს. როგორც ვხედავთ, მოტორული დაგეგმვა მოიცავს 3 მნიშვნელოვან ასპექტს:

- **იდეა** - ვიცი, რა უნდა გავაკეთო;
- **დაგეგმვა** - ვიცი, როგორ გავაკეთო, რა თანმიმდევრობით;
- **განხორციელება** - ვმოქმედებ ზედმეტი ძალისხმევის გარეშე.

მოტორული დაგეგმვის სირთულეების შემთხვევაში მოსწავლეს შესაძლოა გაუძნელდეს თასმების შეკვრის სწავლა, რადგან ის სწორედ რამდენიმე რთული მოტორული მოქმედების თანმიმდევრობის დამახსოვრებასა და განხორციელებას მოითხოვს.

**ბილატერალური და მოტორული ინტეგრაცია** - ასევე ერთ-ერთი ბაზისური მოტორული უნარია, რომელიც მოითხოვს სხეულის სხვადასხვა მხარის შეთანხმებულ და კოორდინირებულ გამოყენებას. როდესაც მოსწავლე, მაგალითად, ჭრის ფურცელს, დომინანტური ხელით უჭირავს მაკრატელი, ხოლო მეორე ხელით ფურცელი. სხეულის სხვადასხვა მხარეს არსებულ კიდურებს ის მოქნილად იყენებს, შედეგად კი - ჭრის, წარმატებით ართმევს თავს დასახულ ამოცანას.

**ვიზუალური - მოტორული კოორდინაცია** - დაკავშირებულია სხეულისა და თვალის კუნთების შეთანხმებულ მოძრაობასა და გამოყენებასთან. აღნიშნული უნარი ვლინდება ისეთი აქტივობების შესრულებისას, როგორიცაა ლაბირინთში გზის პოვნა, კალათბურთის ფარში ბურთის სროლა, ქაღალდის თვითმფრინავების გაშვება კონკრეტული ნიშნულისკენ, კითხვა და ნაწერზე თითის გაყოლება, ფეხბურთის თამაშისას ბურთის დაჭერა და ა.შ. როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ თითოეულ აქტივობაში ჩართულია თვალისა და სხეულის მსხვილი ან ნატიფი კუნთები.

**ბალანსი და წონასწორობა** - მიუხედავად იმისა, რომ წონასწორობის დაცვაში მრავალი სენსორული შეგრძნება მონაწილეობს, უმეტესწილად, ის ვესტიბულურ სისტემასთანაა დაკავშირებული. სტატიკური ბალანსი წარმოადგენს ერთ კონკრეტულ პოზაში, მდგომარეობაში ყოფნის უნარს, როგორიცაა, მაგალითად, დგომა, ჯდომა. ხოლო წონასწორობა დაკავშირებულია მოძრაობასთან, სხეულის მსხვილი და ნატიფი

კუნთების გამოყენებასთან. მაგალითად, წონასწორობის შენარჩუნება მაშინ, როდესაც ერთი პოზიდან მეორეში ხდება გადანაცვლება.

ცხრილი 17. ფიზიკური სფეროს განვითარების შეფასების კითხვარი


| მოტორული სფეროს დაკვირვების ბლანკი   |    |     |          |
|--|----|-----|----------|
| მსხვილი მოტორული უნარები   |    |     |          |
| კომპონენტი   | კი | არა | შენიშვნა |
| ადება, დგება დამოუკიდებლად   |    |     |          |
| დარბის მოქნილად, მიმართულების ცვალებადობით   |    |     |          |
| ახტება წინაღობებს  |    |     |          |
| სეირნობს ისე, რომ ხელში შეუძლია ეჭიროს საგანი  |    |     |          |
| ადის, ჩამოდის კიბეზე დამოუკიდებლად   |    |     |          |
| ხტება წინ მიბჯენილი ტერფებით (რამდენ სმ-ზე)  |    |     |          |
| ატარებს ველოსიპედს   |    |     |          |
| შეუძლია აძვრეს რაიმე სიმაღლეზე   |    |     |          |
| თამაშობს ბურთით, იყენებს ხელებს, ფეხებს  |    |     |          |
| დგას ცალ ფეხზე (რამდენი წმ)  |    |     |          |
| ავლენს ფიზიკურ გამძლეობას (ფიზიკურად აქტიურია)   |    |     |          |
| შეუძლია ფიზიკური ვარჯიშების გამეორება  |    |     |          |
| სირბილისას აკონტროლებს მიმართულებას  |    |     |          |
| მცირე ზომის ბურთს იჭერს ხელებით  |    |     |          |
| ახტება 20 სმ სიმაღლის თოკს   |    |     |          |
| ნატიფი მოტორული უნარები  |    |     |          |
| კომპონენტი   | კი | არა | შენიშვნა |
| აწყობს პირამიდას, რგოლებს აცვამს დამაგრებულ ძელზე  |    |     |          |
| ავლებს ხაზებს, დიაგონალი, კლაკნილი, ტეხილი   |    |     |          |
| ხატავს ამოცნობად ფიგურებს  |    |     |          |
| აფერადებს კონტურის დაცვით  |    |     |          |
| მოქმედების შესასრულებლად იყენებს ორივე ხელს  |    |     |          |
| ხსნის ხრახნიან თავსახურებს (მაგ: ბოთლს)  |    |     |          |
| იჭერს, ამაგრებს ერთმანეთში მცირე ზომის ობიექტებს (ასაწყობი კონსტრუქციები, მძივები თოკზე)         |    |     |          |
| ჭრის მაკრატლით სწორ ხაზზე  |    |     |          |
| ჭრის მაკრატლით დიდ გეომეტრიულ ფიგურებს   |    |     |          |
| ჭრის მაკრატლით სხვადასხვა ზომის ფიგურას  |    |     |          |
| ცვლის ხელის, თითების ძალას ამოცანის შესაბამისად (მაგ: კონტურებთან უფრო ნელა და რბილად აფერადებს) |    |     |          |
| იკრავს ღილებს (რა ზომის)   |    |     |          |
| უჭირავს სახატავი, საწერი საშუალება მოხერხებულად  |    |     |          |
| კვების დროს შეუძლია ჩანგლის, კოვზის (სხვა ნივთების)  |    |     |          |
| გამოყენება   |    |     |          |
| შეუძლია თითების გამოყენებით ციფრული მოწყობილობის გამოყენება (შეხებით ეკრანის გააქტიურება)        |    |     |          |

# სოციალურ-ემოციური სფეროს შეფასება

სოციალური და ემოციური კომპეტენციების ერთ-ერთი გავრცელებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაყოფა ეკუთვნის CASEL-ს (The Collaborative for Academic, Social, and Emotional Learning), რომელიც 1994 წელს დაარსდა მაღალი ხარისხის სოციალური და ემოციური სწავლების (SEL) განათლების სისტემაში ინტეგრაციის მიზნით, ადრეულიდან უმაღლესი განათლების სასწავლებლებამდე. დღესდღეობით, CASEL წარმოადგენს ცენტრალურ პლატფორმას, სადაც იქმნება და ფართოვდება ცოდნა სოციალური და ემოციური უნარების სწავლების შესახებ.

სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება განიხილება როგორც არასასურველი ქცევების პრევენციის საუკეთესო გზა. CASEL -ის მიერ დადგენილია SEL -ის სამიზნე ხუთი ურთიერთდაკავშირებული კომპეტენციათა კლასტერი, რომლებიც კოგნიტური, ემოციური და ქცევითი სფეროებისკენაა მიმართული:

ილუსტრაცია 23. სოციალური და ემოციური უნარების კლასიფიკაცია



- თვითცნობიერება:** უნარი, რომელიც გეხმარება, ზუსტად ამოიცნო საკუთარი ემოციები, ფიქრები და მათი გავლენა ქცევაზე, რაც მოიცავს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას და თავდაჯერებულობისა და ოპტიმიზმის მყარ განცდას.
- თვითრეგულაცია:** საკუთარი ემოციების, ფიქრებისა და ქცევების რეგულირება განსხვავებულ სიტუაციებში, რომელიც გულისხმობს სტრესის მართვას,

იმპულსების კონტროლს, თვითმოტივირებას, მიზნების დასახვასა და მათ მიღწევაზე მუშაობას.

- **სოციალური ცნობიერება:** სხვისი, მათ შორის განსხვავებული კულტურისა და მსოფლიშედველობის ინდივიდების პერსპექტივების და განცდების გაზიარებას, ქცევის სოციალური და ეთიკური ნორმების გაზრებას, ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში არსებული მხარდამჭერი მექანიზმებისა და რესურსების ცოდნას მოიაზრებს.
- **ურთიერთობის უნარები:** მრავალფეროვანი და ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების უნარი განსხვავებულ ინდივიდებთან და აგუფებთან, რაც მოიცავს აქტიურ მოსმენას, თანამშრომლობას, სოციალური წნევისადმი გამძლეობას, კონფლიქტის კონსტრუქციულად გადაჭრას და საჭიროების შემთხვევაში დახმარების შეთავაზებას.
- **ჰასუხისმგებლობიანი გადაწყვეტილებების მიღება ნიშნავს:** საკუთარ ქმედებებზე და ურთიერთობებზე კონსტრუქციული გადაწყვეტილებების მიღებას ეთიკური სტანდარტების, უსაფრთხოების ზომების, სოციალური ნორმების, ქმედებების შედეგების რეალისტურად შეფასების გათვალისწინებით. ასევე, გულისხმობს საკუთარი და სხვების კეთილდღეობის მისაღწევად სასარგებლო არჩევანს.

## როგორ შევაფასოთ სოციალური და ემოციური უნარები?

სოციალური და ემოციური უნარების შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტებსა და მასწავლებლებს ეხმარება აღმოაჩინონ, რა შეიძლება განაპირობებდეს არასასურველ ქცევებს ან თანატოლებთან კომუნიკაციის სირთულეებს. სოციალურ და ემოციურ სფეროსკენ მიმართული დაგეგმილი ჩარევა, უნარის განმავითარებელი შესაბამისი სტრატეგიებისა და აქტივობების გამოყენება ისეთივე მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისა და წინსვლის ხელშეწყობისთვის, როგორც აკადემიურ თუ შემეცნებით უნარებზე განხორციელებული ინტერვენციები.

სოციალური და ემოციური უნარების აღწერისთვის სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ქვემოთ მოცემული კითხვარი. კითხვარში წარმოდგენილი დებულებების შესახებ ინფორმაცია კი მოიპოვოს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. მაგალითად, იმის გასარკვევად, როგორ გამოხატავს მოსწავლე საკუთარ ემოციებს, შემფასებელმა შეიძლება მიმართოს შემდეგი სტრატეგიებიდან რომელიმეს ან საუკეთესო შემთხვევაში ყველას ერთად:

**მოსწავლეზე დაკვირვება სხვადასხვა გარემოსა და სიტუაციაში** - რას ამბობს, როცა რამე უხარია ან პირიქით, ნაწყენია, როგორ გამოხატავს თავის ემოციებს, იყენებს თუ არა ემოციების აღმნიშვნელ სიტყვებს?

**მშობელთან ინტერვიუ** - როგორ გამოხატავს თქვენი შვილი სიხარულს, ბრაზს, მოწყენილობას? თქვენი აზრით, უმეტესად როგორ ხასიათზეა?

**მასწავლებელთან ინტერვიუ** - როგორ რეაგირებს მოსწავლე საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას სხვადასხვა სასწავლო აქტივობასა და ამოცანაზე, მასწავლებლის უკუკავშირზე, რამდენად ახერხებს გაკვეთილზე თავისი ემოციების სიტყვიერად და არავერბალურად გამოხატვას?

**მოსწავლის გამოკითხვა** - საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაძლოა თავად მოსწავლეს ვკითხოთ, კონკრეტულ სიტუაციებში თავს როგორ გრძნობს, რა უხარია, რა აბრაზებს? ასევე შევთავაზოთ სიტუაციები ვიზუალური ბარათების გამოყენებით და ვკითხოთ, როგორ მოიქცეოდა ასეთ სიტუაციაში? ქვემოთ წარმოდგენილ კითხვარში მოცემულია დებულებები, რომელიც სოციალური და ემოციური სფეროს სხვადასხვა კომპეტენციებთანაა დაკავშირებული.

ცხრილი 18. სოციალური და ემოციური უნარების შეფასების კითხვარი

| სოციალური და ემოციური უნარები   | ყოველთვის | ზოგჯერ | არა |
|---|-----------|--------|-----|
| <b>თვითცნობიერება და თვითრეგულაცია</b>  |           |        |     |
| ემოციებს გამოხატავს შესაბამისი ექსპრესიით (მაგ: იღიმის, როცა რამე სიამოვნებს)   |           |        |     |
| ამოიცნობს ძირითად ემოციებს სურათზე  |           |        |     |
| შეუძლია ემოციების იმიტირება   |           |        |     |
| ამოიცნობს ძირითად ემოციებს სხვა ადამიანის სახეზე  |           |        |     |
| ასახელებს საკუთარ განცდებს და ემოციებს  |           |        |     |
| საკუთარ ემოციებზე საუბრისას იყენებს შესაბამისი ემოციების აღმნიშვნელ სიტყვებს (გაბრაზებული, შეშინებული, მოწყენილი და ა.შ.) |           |        |     |
| როცა გაღიზიანებული ან გაბრაზებულია, მშვიდდება უფროსის მხარდაჭერით   |           |        |     |
| როცა გაღიზიანებულია, თავად ახერხებს დამშვიდებას   |           |        |     |
| ინტენსიურ ემოციებს გამოხატავს ისე, რომ არ დააზიანოს საკუთარი თავი, გარემო ან სხვა   |           |        |     |
| შეუძლია მოთმენა   |           |        |     |
| მშვიდად რეაგირებს უფროსის ნათქვამ „არა“-ზე  |           |        |     |
| მშვიდად რეაგირებს, როცა სასურველს ვერ იღებს   |           |        |     |
| როცა რამე არ გამოსდის, თავიდან ცდილობს შესრულებას   |           |        |     |

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
| მშვიდად რეაგირებს წარუმატებლობაზე (წაგება, მარცხი)   |  |  |  |
| <b>სოციალური ცნობიერება და ურთიერთობები</b>  |  |  |  |
| რეაგირებს სახელზე და როცა ეძახით, იხედება თქვენკან   |  |  |  |
| როცა ესაუბრებით ინტერესით გისმენთ  |  |  |  |
| თავის სურვილების გამოსახატად იყენებს ჟესტებს/ენას  |  |  |  |
| დასახმარებლად მიმართავს უფროსს   |  |  |  |
| იჩენს ინიციატივას წამოიწყოს სხვასთან კომუნიკაცია   |  |  |  |
| იყენებს ყოველდღიური დიალოგის ფორმებს (მისალმება, დამშვიდობება)                                     |  |  |  |
| შეუძლია თავისი ნივთის გაზიარება  |  |  |  |
| იცის სახლის, კლასის წესები   |  |  |  |
| ამჩნევს, როცა სხვა ნაწყენია  |  |  |  |
| ამჟღავნებს ემპათიას (ეხმარება მეგობარს, ამშვიდებს)   |  |  |  |
| შეუძლია ისაუბროს სხვის ემოციაზე  |  |  |  |
| შეუძლია სხვასთან ერთად აქტივობაში მონაწილეობის მიღება  |  |  |  |
| იცის, როგორ მოქეცეს სხვადასხვა ყოველდღიურ სიტუაციაში (ტრანსპორტში, მაღაზიაში, სკოლაში, სტუმრებთან) |  |  |  |
| <b>გადაწყვეტილების მიღება</b>  |  |  |  |
| აკეთებს არჩევანს შეთავაზებულ რამდენიმე ალტერნატივას შორის (რომელი თამაში, აქტივობა ურჩევნია)       |  |  |  |
| დამოუკიდებელია ყოველდღიურ მოქმედებებში   |  |  |  |
| საკუთარი არჩევანის დროს ითვალისწინებს სხვას  |  |  |  |
| საკუთარი ქცევის, გადაწყვეტილების დროს ითვალისწინებს მიღებულ წესებს                                 |  |  |  |
| შეუძლია განსაზღვროს თავისი ქცევის მოსალოდნელი შედეგი   |  |  |  |
| იცავს უსაფრთხოების ნორმებს   |  |  |  |

## ადაპტური სფეროს შეფასება

ნებისმიერი რამ, რასაც მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში ეუფლება, მნიშვნელოვანია დაკავშირებული იყოს რეალურ პრაქტიკულ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ამისათვის, მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ მოსწავლეს საკუთარი პოტენციალის რეალიზებასა და დამოუკიდებლად ყოველდღიურ პრობლემებთან გამკლავებაში.

ადაპტური სფერო სწორედ იმ უნარებს აერთიანებს თავის თავში, რომელთა ფლობითაც მოსწავლე შეძლებს როგორც სახლსა და სკოლაში, ასევე საჯარო სივრცეებში დამოუკიდებლად გადაადგილებას, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ახალ, უცხო სივრცეში ადაპტირებას.

ადაპტური სფერო 2 ძირითად უნარად შეგვიძლია დაყოთ. პირველი, ეს არის თვითმოვლის უნარები, რაც დაკავშირებულია მოსწავლის დღის რუტინაში არსებულ სხვადასხვა აქტივობასთან. ადაპტური სფეროს მეორე მიმართულება არის დამოუკიდებლობა - რამდენად შეუძლია მოსწავლეს ნაცნობ თუ უცნობ სივრცეში გადაადგილება, ტექნიკის გამოყენება და ა.შ.

მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების განსაზღვრა დაგვეხმარება, მაქსიმალურად სწორად და ეფექტურად დავეხმაროთ მას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო ფუნქციური უნარების განვითარებაში. ადაპტური სფეროს აღწერის პროცესში შეგვიძლია განვახორციელოთ მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ინტერვიუ და უშუალოდ მოსწავლეზე დაკვირვების პროცესი, ასევე მასთან ინტერვიუ. სფეროს შესახებ მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

ცხრილი 19. ადაპტური სფეროს შეფასება

| თვითმოვლის უნარები                                       |      |     |           |
|--|------|-----|-----------|
| დებულება/უნარი   | დიახ | არა | კომენტარი |
| იცვამს და იხდის დამოუკიდებლად                            |      |     |           |
| დამოუკიდებლად იკრავს თასმებს                             |      |     |           |
| იხდის და საკიდზე კიდებს ქურთუკს                          |      |     |           |
| ჭამს დამოუკიდებლად                                       |      |     |           |
| ჭამის დროს იყენებს დანა-ჩანგალს                          |      |     |           |
| ჭიქაში ასხამს წყალს/ჩაის, ურევს კოვზით                   |      |     |           |
| დამოუკიდებლად იბანს ხელ-პირს                             |      |     |           |
| დამოუკიდებლად იხეხავს კბილებს                            |      |     |           |
| დამოუკიდებლად ივარცხნის თმას                             |      |     |           |
| დამოუკიდებლად მოიხმარს საპირფარეშოს                      |      |     |           |
| ნაცნობ გარემოში  |      |     |           |
| დამოუკიდებლად მოიხმარს საპირფარეშოს უცნობ გარემოში       |      |     |           |
| საპირფარეშოს მოხმარების შემდეგ იბანს და იმშრალებს ხელებს |      |     |           |
| დამოუკიდებლობა   |      |     |           |
| ასწორებს საწოლს  |      |     |           |

|  |  |  |  |
|--|--|--|--|
| აწესრიგებს პირად ნივთებს                 |  |  |  |
| კეცავს ტანსაცმელს                        |  |  |  |
| გვის, წმენდს იატაკს                      |  |  |  |
| მიზნის შესაბამისად იღებს ჭურჭელს         |  |  |  |
| იყენებს მაღულარას                        |  |  |  |
| რთავს და თიშავს ტელევიზორს               |  |  |  |
| იყენებს ტელეფონს                         |  |  |  |
| იყენებს ინტერნეტს                        |  |  |  |
| დამოუკიდებლად გადაადგილდება ტრანსპორტით  |  |  |  |
| იცის ტრანსპორტით სარგებლობის წესები      |  |  |  |
| იცის ქუჩაში ქვეითად გადაადგილების წესები |  |  |  |
| იცის, რომელი ტრანსპორტი მიდის            |  |  |  |
| სახლამდე/სკოლამდე                        |  |  |  |
| ფუნქციურად იყენებს ფულს                  |  |  |  |

## სპეციალური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა

თითოეულ ჩვენგანს აქვს ფუნდამენტური მოთხოვნილება, იყოს აღიარებული და დაფასებული იმ ჯგუფში, რომლის წევრიც არის, იქნება ეს ოჯახი, მეგობრები, კოლეგები თუ სხვა სოციუმი. სასწავლო კონტექსტში აღიარების მოთხოვნილება გამოიხატება ისეთ პროცესებში თანამონაწილეობით, როგორიცაა:

- სწავლა;
- ცოდნის შეძენა;
- მიღწევა;
- მიკუთვნებულობა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და მისი თანატოლებისთვის განათლების ფუნდამენტური უფლების დაცვა, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა სასწავლო გარემოში მოიაზრებს ჩამოთვლილი ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სწავლის პროცესში ეფექტური ჩართულობით მოსწავლე იძენს ახალ ცოდნას, უნარს, რაც უქმნის მას კომპეტენტურობისა და წარმატებულობის განცდას. საბოლოო ჯამში, ნებისმიერი სახის ინტერვენცია, რომელიც


მიმართულია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის თანამონაწილეობის გაზრდასა და სწავლის ხელშეწყობაზე, უნდა ქმნიდეს საკმარის პირობას იმისთვის, რომ მან თავი სკოლასთან, ჯგუფთან, თანატოლებთან მიკუთვნებულად იგრძნოს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან ეფექტიანი და წარმატებული მუშაობა მოითხოვს მის ინდივიდუალურ მრავალფეროვან საჭიროებებზე სწორ, დაგეგმილ და თანმიმდევრულ რეაგირებას. ხშირ შემთხვევაში, მოსწავლისთვის დასახული სასწავლო ამოცანები და მიზნები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით საკმარისი არ არის, რადგან მას სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა ბაზისური, აკადემიური, შემცნებითი, სოციალურ-ემოციური თუ პრეაკადემიური უნარების განვითარებაში. დამატებითი მხარდაჭერის, მოსწავლის ფუნქციონირების გაზრდის, ჩართულობისა და თანამონაწილეობის ხელშეწყობისთვის სპეციალური მასწავლებელი ქმნის ინტერვენციის გეგმას, რომლის გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მიზანმიმართული რეაგირება.

პირველ რიგში, განვმარტოთ, რას ნიშნავს ინტერვენცია. ინტერვენცია, ტერმინის ფართო გაგებით, გულისხმობს იმ ნაბიჯებისა და პროცედურების ნაკრებს, რომელსაც მასწავლებელი გეგმავს და ახორციელებს მოსწავლის უნარების გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო ბარიერების შემცირებისთვის.

ინტერვენციის გეგმა, რომელსაც ქმნის სპეციალური მასწავლებელი, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნაწილია. რადგან ინდივიდუალური გეგმა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროების შეფასება, სწავლის პროცესის ხელშემწყობი აკომოდაციები, საგნობრივი გეგმებით განსაზღვრული მიზნები და აქტივობები. ამ ყოველივეს გათვალისწინება კი მნიშვნელოვანია ინტერვენციის გეგმაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მთლიანობაში მოსწავლის სასკოლო ცხოვრების ხაზს გვიჩვენებს, შესაბამისად, სპეციალური მასწავლებლის მიერ შექმნილი გეგმა, დასახული სასწავლო ამოცანები თანაკვეთაშია სხვადასხვა საგნის მიზნობრივ ორიენტირებთან. თუ ინტერვენციის გეგმა არ ეყრდნობა მოსწავლისთვის დასახულ მიზნებს სხვადასხვა საგანში, ინტერვენცია იზოლირებულ, სწავლა-სწავლების პროცესისგან განცალკევებულ სახეს მიიღებს, რაც საბოლოო ჯამში, მოსწავლესთან თანმიმდევრულ, შეთანხმებულ მუშაობას შეუშლის ხელს. უფრო მეტიც, რეკომენდებულია, მოსწავლესთან დასახული მიზნები სხვადასხვა საგანში ერთმანეთთან ჰარმონიულ კავშირში იყოს. მაგალითისთვის, თუ მათემატიკის მასწავლებელი მიზნად ისახავს, მოსწავლეს ასწავლოს საზომი ერთეულები, ლიტრსა და მილილიტრს შორის მიმართება, აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება ქიმიის მასწავლებლისთვის, რათა დაგეგმოს შესაბამისი მიზნები და აქტივობები მოსწავლესთან. მაგალითად, ნივთიერების მოცულობის გაზომვა საწყაოზე მილილიტრებში და მისი გამოყენებით პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება.

## 06.03.04.01 სასწავლო გეგმა



ზემოთ მოცემულ ილუსტრაციაზე ნათლად ჩანს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამი ნაწილი. როგორც ვხედავთ, ინტერვენციის გეგმაში ხდება როგორც მოსწავლის შეფასების, ასევე საგნობრივი მიმართულებით დასახული მიზნების გათვალისწინება.

## სასწავლო მიზნები და აქტივობები

სპეციალური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა მოიცავს სასწავლო მიზნებსა და აქტივობებს/სტრატეგიებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასება მკაფიოდ ავლენს, თუ რა მიმართულებით, რა უნარის ათვისებასა ან გაუმჯობესებაში სჭირდება მას დახმარება. შეფასების შედეგად გამოვლენილ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით კი შესაძლებელია მიზნების დასახვა.

ქვემოთ მოცემულია სპეციალური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმის ფორმა. განვიხილოთ თითოეული კომპონენტი და მათი ურთიერთმიმართება.

ცხრილი 20. ინტერვენციის გეგმის ფორმა

|   |                    |                      |   |
|---|--------------------|----------------------|---|
| სფერო/უნარი:                              |                    |                      |   |
| წინარე ცოდნა/ საწყისი უნარი:              |                    |                      |   |
| რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა ვადაში: |                    |                      |   |
| კავშირი საგნობრივი გეგმის მიზნებთან:      |                    |                      |   |
| აქტივობა                                  | მასალა/<br>რესურსი | სამეცადინო<br>სივრცე | მშობლის/მასწავლებლის<br>თანამონაწილეობა |
|   |                    |                      |   |
|   |                    |                      |   |
|   |                    |                      |   |
|   |                    |                      |   |
|   |                    |                      |   |

**სფერო/უნარი.** მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასება სპეციალური მასწავლებლისთვის მკაფიოს ხდის, თუ რომელ სფეროში სჭირდება მას მხარდაჭერა. შესაძლებელია სასწავლო მიზნები სპეციალურმა მასწავლებელმა შეარჩიოს აკადემიურ, კოგნიტურ, კომუნიკაციურ და სხვა უნარებთან დაკავშირებით ცალ-ცალკე, თუმცა, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და ურთიერთგადაჯაჭვულია. შესაბამისად, რეკომენდებულია, სპეციალურმა მასწავლებელმა ბაზისურ აკადემიურ უნარებზე ფოკუსირების დროს გაითვალისწინოს შემეცნებითი უნარების ხელშეწყობის შესაძლებლობები. განვიხილოთ მაგალითი: სპეციალურმა მასწავლებელმა კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე გადაწყვიტა მიზნების დასახვა აკადემიური სფეროდან, კერძოდ, ანგარიშთან დაკავშირებით. მან მიზნად დაისახა მოსწავლემ 10-ის ფარგლებში არითმეტიკული ოპერაციების განხორციელებისას შეძლოს დასახელებული რიცხვების დამახსოვრება და მოქმედებების თანმიმდევრულად განხორციელება ზეპირად. აღნიშნული მიზნის დასახვით სპეციალური მასწავლებელი მოსწავლეს ეხმარება არა მხოლოდ ანგარიშის, არამედ მუშა მეხსიერების გაუმჯობესებაშიც, რადგან მოქმედებების გონიერაში გამოანგარიშება მოითხოვს ინფორმაციის მოკლე დროით დამახსოვრებას და პარალელურად დამახსოვრებულ ციფრობზე სააზროვნო პროცესების განხორციელებას. განვიხილოთ მეორე მაგალითი, სპეციალური მასწავლებლის მიზანია, მოსწავლემ შეძლოს სხვისი წაკითხული ნაწარმოების გაზრდება, შინაარსის დამახსოვრება. აღნიშნული მიზანი მიმართულია არა მხოლოდ აკადემიური (ლექსიკური მარაგის გაზრდა, შინაარსის გაგება), არამედ შემეცნებითი (სმენითი მეხსიერების, სმენითი ყურადღების) უნარების გაუმჯობესებაზე. აქედან გამომდინარე, ინტერვენციის გეგმაში სპეციალურმა მასწავლებელმა შესაძლოა ასახოს ანგარიშისა და მუშა მეხსიერების, შინაარსის გაგების და სმენითი მეხსიერების უნარები ერთად და არა ცალ-ცალკე.

**წინარე ცოდნა/საწყისი უნარი.** მიზნების დასახვის საუკეთესო გზაა შევაფასოთ და გავიგოთ მოსწავლის ამჟამინდელი შესაძლებლობები. წინარე ცოდნის ანდა საწყისი უნარის აღწერა სპეციალურ მასწავლებელს ეხმარება, სწორად შეარჩიოს მიზნები მოსწავლისთვის, არსებულ ცოდნაზე დააშენოს ახალი ცოდნა.

**რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა ვადაში.** სასწავლო მიზნების განსაზღვრისას სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ისეთი მიზანი, რომელიც მოსწავლისთვის იქნება ფუნქციური - ხელს შეუწყობს მის თანამონაწილეობას საგაკვეთილო პროცესში და შეუქმნის საკმარის საფუძველს საგნობრივი გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში. მიზნების ფორმულირებისას სპეციალურმა მასწავლებელმა მნიშვნელოვანია გაითვალისწინოს SMART (Smart - ჭკვიანი, გონივრული) კრიტერიუმები და განსაზღვრული მიზნები იყოს სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განსაზღვრული. რადგან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლის პროცესი ძალზედ დინამიკური და ხშირად ცვალებადი პროცესია, უმჯობესია სპეციალურმა მასწავლებელმა მიზნები დროის მოკლე მონაკვეთებისთვის დასახოს, მაგალითად, 3 - 3 თვიანი ინტერვალებით.



**კავშირი საგნობრივი გეგმის მიზნებთან.** ინტერვენციის გეგმით გათვალისწინებული მიზნები მნიშვნელოვანია, სრულ ჰარმონიაში იყოს მთლიან სწავლა-სწავლების პროცესთან. ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც არსებობს თანაკვეთა სხვადასხვა საგნის მიზნებს, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლის სამუშაო მიზნებს შორის. მაგალითად, სპეციალური მასწავლებლის მიზანია, მოსწავლემ შეძლოს 3 გეომეტრიული ფიგურის კლასიფიკაცია ძირითადი ფერების (წითელი, ყვითელი, ლურჯი) და ფორმის მიხედვით. მიზანი აერთიანებს როგორც აკადემიურ (გეომეტრიული ფიგურების ცნობა), ასევე კოგნიტურ (კლასიფიკაცია - ფერის და ფორმის მიხედვით საგანთა დახარისხება) უნარებს. ამავდროულად, დასახული მიზანი დაკავშირებულია საგნობრივ მიზნებთან, ხელოვნებაში თბილი და ცივი ფერების გარჩევა, ხოლო მათემატიკაში - გეომეტრიული ფიგურების აღწერა გვერდებისა და წვეროების მიხედვით.

#### სფერო/უნარი: ანგარიში (+ მუშა მეხსიერება)

**წინარე ცოდნა/ საწყისი უნარი:** შეუძლია 10-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლების შესრულება ვიზუალური საყრდენის, ჩხირების გამოყენებით. ზეპირად უმატებს და აკლებს ნებისმიერ დასახელებულ ციფრს 1-ს 10 -ის ფარგლებში. ასახელებს და გამოსახავს მიმატების, გამოკლების, ტოლობის ნიშნებს.

#### რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა ვადაში:

- 1) მოსწავლემ უნდა შეძლოს 10-ის ფარგლებში მიმატება- გამოკლების მოქმედებების შესრულებისას მოქმედებათა თანმიმდევრობის დამახსოვრება და ზეპირად გამოთვლა (მაგ: 3+2+1; 4+5-2) / წინადადებების ერთმანეთთან დაკავშირებით ამოცანის პირობის გაგება (იანვარი - მარტი)

**კავშირი საგნობრივი გეგმის მიზნებთან: მათემატიკა (ცნება - მოქმედებები რიცხვებზე, მოსწავლემ უნდა შეძლოს არითმეტიკული მოქმედებების განხორციელება, მოსმენილი ამოცანების ამოხსნა)**

| აქტივობა | მასალა/რესურსი | სამეცადინო სივრცე | მშობლის/მასწავლებლის თანამონაწილეობა |
|----------|----------------|-------------------|--------------------------------------|
|          |                |                   |                                      |
|          |                |                   |                                      |

**აქტივობა.** აქტივობა წინასწარდაგეგმილი, დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო პროცედურათა ერთობლიობაა, რომელშიც მკაფიოდაა გამოკვეთილი ვინ, რას და როგორ ახორციელებს მოსწავლესთან. სწორად შერჩეული აქტივობების გამოყენების გარეშე ძნელად წარმოსადგენია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ხელშეწყობა, მისი აკადემიური წინსვლისა და ფუნქციონირების გაუმჯობესება.

დაგეგმილი აქტივობა, ასევე, თავად სპეციალური მასწავლებლისთვის წარმოადგენს საყრდენს, შეძლოს გააზრებული, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სამუშაოს დაგეგმვა. სხვაგვარად მოსწავლესთან მუშაობა შეიძლება ქაოსური, არათანმიმდევრული გახდეს, რაც, საბოლოო ჯამში, ნებატიურ გავლენას მოახდენს სწავლის პროცესის შედეგებზე.

აქტივობების დაგეგმვისას სპეციალური მასწავლებლისთვის მკაფიო ხდება, თუ რა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების, სამუშაო ფურცლების, დავალებების მოძიება ან შექმნა მოუწევს კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

აქტივობა იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მისი წაკითხვისას სხვა სპეციალისტმა, მასწავლებელმა ან მშობელმაც შეძლოს მისი განხორციელება. თუ ინტერვენციის გეგმაში მოცემული აქტივობა ბადებს შეკითხვებს, გამოდის, რომ მას აკლია სიცხადე. მკაფიოობა სწორად ფორმულირებული აქტივობის ერთ-ერთი ნიშანია. ასევე გასათვალისწინებელია მიზნებთან შესაბამისობა. მაგალითად, თუ დასახული მიზანი დაკავშირებულია წაკითხული ერთ აბზაციანი ტექსტის შინაარსის გაგებასთან, აქტივობები მხოლოდ წაკითხვაზე ან მოსმენილი ტექსტის გაგებაზე არ უნდა იყოს ფორმულირებული.

**მასალა/რესურსი.** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მეტად მნიშვნელოვანია მასზე მორგებული, ინდივიდუალურად შექმნილი სასწავლო რესურსების მიწოდება. ადაპტირებული ტექსტი, რომელიც გამოიყენება ერთ მოსწავლესთან და შედეგიანია, შეიძლება შეუსაბამო იყოს მეორისთვის. სპეციალური მასწავლებლის პრაქტიკული სამუშაოს საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ მრავალფეროვანი სასწავლო მასალებისა და რესურსების შექმნას ეთმობა. პორტფოლიოში წარმოდგენილ ინტერვენციის გეგმაში, ცხადია, სპეციალური მასწავლებელი ვერ ასახავს ყველა აქტივობასა და აქტივობისთვის შექმნილ რესურსს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სანიმუშო სახით წარმოადგინოს სხვადასხვა ტიპის დავალების ტიპური მაგალითები.

ინტერვენციის გეგმის ფორმაში მასალისა და რესურსისთვის გამოყოფილ სივრცეში შესაძლებელია როგორც წერილობით სახით ინფორმაციის აღბეჭდვა, ასევე მომზადებული სავარჯიშოს ფაილის მიმავრება.

**სამეცადინო სივრცე.** ინტერვენციის გეგმაში წარმოდგენილი თითოეული აქტივობის შესაბამისად წარმოდგენილია სამეცადინო სივრცე, სადაც დაგეგმილია ამ აქტივობის

განხორციელება. უმეტეს შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს რესურს ოთახი, თუმცა გარკვეული უნარების გაუმჯობესება ან ათვისებული უნარის გენერალიზება ზოგჯერ მოითხოვს სივრცის გაფართოებას. შესაბამისად, სპეციალური მასწავლებლის დაგეგმილი აქტივობები შეიძლება ხორციელდებოდეს საკლასო ოთახში, დერეფანში, სპორტულ დარბაზში, სკოლის სტადიონზე, ახლომდებარე სკვერში და ა.შ.

**მშობლის/მასწავლებლის თანამონაწილეობა.** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესი მოითხოვს სხვადასხვა რგოლის ერთმანეთთან შეთანხმებულ მუშაობასა და გაზიარებულ პასუხისმგებლობას. ინტერვენციის გეგმაში სათანადო ყურადღება ეთმობა მასწავლებლისა და მშობლის ჩართულობას. სპეციალური მასწავლებელი ხშირად მოსწავლესთან დასახული მიზნების განსაზღვრულ ვადაში მისაღწევად ქმნის საშინაო დავალებებს, დამატებით რესურსებს გაკვეთილზე ან სახლში გამოსაყენებლად. შესაბამისად, ინტერვენციის გეგმაში თითოეული სანიმუშო აქტივობის გასწვრივ აღინიშნება მასწავლებლის ან მშობლის როლი. შესაძლებელია იმ კონკრეტული სამუშაო დავალებების მიმაგრებაც, რომელიც მშობელმა ან მასწავლებელმა უნდა განახორციელოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან.

ქვემოთ მოცემულია ფრაგმენტი ინტერვენციის გეგმიდან. ნიმუშისთვის ცხრილში მხოლოდ სამი აქტივობაა მოცემული, თუმცა ცხადია, რეალურ პრაქტიკაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან დასახული მიზნების მისაღწევად გაცილებით მეტი სავარჯიშოს თუ აქტივობის განხორციელებაა საჭირო.

მასალისა და რესურსის სივრცეში ზოგჯერ შესაძლებელია, რთული იყოს დიდი ზომის ბარათებისა და ვიზუალური მასალის, ან მომზადებული დავალებებისა და სამუშაო ფურცლების ასახვა. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია, სპეციალურმა მასწავლებელმა საჭირო რესურსი ატვირთოს ციფრულ სივრცეში და ბმულის სახით განათავსოს ინტერვენციის გეგმაში. ზოგიერთ შემთხვევაში, აქტივობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს არა დამატებითი ფაილის მიმაგრება, არამედ იმ კონკრეტული მასალების ჩამოთვლა, რომელიც სჭირდება დაგეგმილი აქტივობის განხორციელებას, იქნება ეს საღებავები, საძერწი თიხა, მუყაოს ყუთები თუ სხვა.

ცხრილი 21. ინტერვენციის გეგმის ნიმუში

#### სფერო/უნარი: თხოვთ (+ ექსპრესიული ენა)

**წინარე ცოდნა/ საწყისი უნარი:** მოსმენილი ტექსტის შესახებ დასმულ კითხვებს პასუხობს სამ-ოთხ სიტყვიანი წინადადებებით; ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით; ასახელებს სურათზე გამოსახულ ობიექტებს.

#### რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა ვადაში:

1. მოსწავლემ უნდა შეძლოს 2 ნაწილიანი სიუჟეტის აღწერა; (4 კვირა)
2. მოსწავლემ უნდა შეძლოს ერთაბზაციანი ტექსტის გადმოცემა დამატებითი საყრდენების გამოყენებით; (6 კვირა)
3. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის შინაარსის თანმიმდევრულად გადმოცემა; (6 კვირა)

**კავშირი საგნობრივი გეგმის მიზნებთან:** ქართული, ცნება ტექსტი - მოსწავლემ უნდა შეძლოს ადაპტირებული ტექსტის შინაარსის გადმოცემა დასაწყისის, შეა ნაწილის და დასასრულის გამოყენებით. დასახული მიზანი, მოსწავლეს ასევე დაეხმარება ბუნებისმეტყველების, ხელოვნებისა და მე და საზოგადოების საგნებში, შესწავლილი ტექსტის გადმოცემაში.

| აქტივობა   | მასალა/<br>რესურსი  | სამეცადინო<br>სივრცე                            | მშობლის/<br>მასწავლებლის<br>თანამონაწილეობა  |
|--|---|---|--|
| მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს ბარათს, სთხოვს, თქვას, რა ხდება სურათზე, მას შემდეგ, რაც მოსწავლე აღწერს სურათს, მასწავლებელი სთხოვს, გაიხედოს რეალურ ფანჯარაში და აღწეროს, რას ხედავს იქ. |  | რესურს<br>ოთახი                                 | მშობელი<br>მოსწავლეს სახლში სთხოვს, გაიხედოს ფანჯრიდან და დასახელოს, რას ხედავს.   |
| მასწავლებელი მოსწავლეს უკითხავს მცირე ზომის მარტივ მოთხრობას, შემდეგ აწვდის შესაბამის 2 სურათს, მოსწავლეს სთხოვს დაალაგოს თანმიმდევრობით და სურათებზე დაყრდნობით გადმოსცეს მოსმენილი.      | <a href="#">მოთხრობა „დახუჭობანა“ სურათებით</a>                                   | რესურს<br>ოთახი                                 | ქართულის და ბუნების მასწავლებლები იყენებენ 2 ილუსტრაციას პროგრამული ტექსტებისთვის. |
| მასწავლებელი მოსწავლესთან ერთად უყურებს ანიმაციურ ფილმს. შემდეგ აწვდის შესაბამის სურათებს, უსვამს შეკითხვებს თითოეულ სურათზე, შემდეგ კი სთხოვს მოყოლას.                                    | <a href="#">ანიმაცია</a><br><a href="#">ანიმაციის ამსახველი ბარათები</a>          | სკოლის ბიბლიოთეკა (ანიმაციის ეკრანზე სანახავად) | რეკომენდაცია მშობელს: ჰკითხეთ, რა ანიმაცია ნახა სკოლაში.                           |

რა როლი აქვს სპეციალურ მასწავლებელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში?

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესის გზამკვლევია. გეგმას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მნიშვნელოვან კომპონენტს, იქმნება თითოეული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის და ქმნის სკოლის ისგ (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის) ჯგუფი. ჯგუფში, თავის მხრივ, ერთიანდებიან კონკრეტული მოსწავლის ყველა საგნის მასწავლებები, კლასის დამრიგებელი, მშობელი ანდა კანონიერი წარმომადგენელი, სპეციალური მასწავლებელი და საჭიროების მიხედვით სხვა დამატებითი სპეციალისტი. ისგ ჯგუფის თითოეულ წევრს საერთო მიზანი აქვს - მოსწავლის განვითარებისა და სწავლის ხელშეწყობა. ამავდროულად, თითოეულს, საკუთარი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ინდივიდუალური, სპეციფიკური როლი აქვს.

პროცესების ჰარმონიულად წარმართვისთვის კი მათ უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა, შეთანხმება და გაზიარებული პასუხისმგებლობების შესრულება.

**რას ნიშნავს გაზიარებული პასუხისმგებლობა?** გაზიარებული პასუხისმგებლობა დაკავშირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართული პირების მოვალეობასთან. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ რგოლს, იქნება ეს მასწავლებელი თუ მშობელი, თავისი განსაკუთრებული ფუნქცია აქვს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთმანეთისგან იზოლირებულად, დამოუკიდებლად გეგმავდნენ და წარმართავდნენ სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესს. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განათლების უფლების დაცვა, შესაბამისი მხარდაჭერა თითოეული პირის თანაბარი პასუხისმგებლობაა.. ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ერთი რგოლი უფრო მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლის წარმატებული სწავლისთვის, ვიდრე მეორე. **შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლასა და საგანმანათლებლო პროცესში თანამონაწილეობაზე თანაბრად პასუხისმგებელია როგორც დამრიგებელი, ასევე თითოეული მასწავლებელი, მშობელი თუ სპეციალური მასწავლებელი.**

ამავდროულად, ნათელია, რომ ისგ ჯგუფის წევრებს შეუძლიათ თავიანთი კომპეტენციისა და სამუშაო აღწერილობის ფარგლებში აიღონ დაკისრებული პასუხისმგებლობა მოსწავლის წინაშე.

ზოგჯერ, ძალზედ რთულია მკაფიო საზღვრების დაწესება, რა პასუხისმგებლობა აქვს მასწავლებელს და რა სპეციალურ მასწავლებელს, ვინ რა როლს ასრულებს ინდივიდუალური გეგმის შექმნის პროცესში. მაგრამ შესაძლებელია, დავინახოთ გარკვეული ჩარჩოები, რომელიც იქმნება სხვადასხვა რგოლის კომპეტენციათა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ზოგადი ნაწილი, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია მოსწავლის შესახებ, მისი ინდივიდუალური განრიგი, სწავლის ხელშემწყობი აკომოდაციები და დამატებითი მომსახურებები, უმჯობესია, შეავსოს კლასის დამრიგებელმა სპეციალურ მასწავლებელთან ან სხვა სპეციალისტთან ერთად. ამავდროულად, მათ დასჭირდებათ ინფორმაციის მოგროვების პროცესში საგნის პედაგოგების და მშობლის გამოკითხვა.

მოსწავლის აკადემიური, კოგნიტური და სხვა სფეროების მიხედვით აღწერილი ძლიერი მხარეებსა და საჭიროებებს აფასებს სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგი და სხვა დამატებითი სპეციალისტი. თუმცა, ცხადია, იმისთვის, რომ მოსწავლის შეფასება ობიექტურად განხორციელდეს, საჭიროა ინფორმაციის მიღება სხვადასხვა წყაროდან. მაგალითად, როდესაც სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა გაიგოს, როგორია მოსწავლის დამოუკიდებლობა, მისი თვითმოვლის უნარ-ჩევები, მას დასჭირდება როგორც მშობლის, ასევე მასწავლებლების ინტერვიუირება.

საგნობრივი გეგმების შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი, ცხადია, ამა თუ იმ საგნის მასწავლებელია. საგანში მოსწავლისთვის სასწავლო მიზნების დასახვა, კომპლექსური დავალებების მორგება, შეფასება მოითხოვს სიღრმისეულ საგნობრივ ცოდნას, როგორც შინაარსობრივად, ასევე მეთოდურად. რა თქმა უნდა, საგნის მასწავლებელზე უკეთ ვერავის ეცოდინება, რა რის შემდეგ ისწავლება, რა არის საგნის სწავლების პრიორიტეტული მიზნები და ა.შ. საგნობრივი გეგმების შექმნაში მონაწილეობა სპეციალური მასწავლებლის სტანდარტით აღიარებული ვალდებულებაა. სპეციალური მასწავლებლის მიზანი საგნობრივი გეგმის შემუშავებაში შეიძლება ორი ძირითადი მიმართულებით წარმოჩინდეს:

- სპეციალური მასწავლებლის მიზანია, საგნობრივი გეგმის შექმნისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობით უზრუნველყოს მოსწავლისთვის რეალისტური მიზნების შერჩევა და პროცესის დაგეგმვა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
- სპეციალური მასწავლებლის მიზანია, საგნობრივი გეგმის შექმნის პროცესში თანამონაწილეობით გაითვალისწინოს მოსწავლის სასწავლო პროცესის ზოგადი სურათი სხვადასხვა საგანში და შესაბამისად, ინტერვენციის გეგმაში განსაზღვროს პრიორიტეტული, ფუნქციური მიზნები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის აკადემიურ წინსვლას, საგაკვეთილო პროცესებში თანამონაწილეობასა და დამოუკიდებლობის ზრდას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის რეალისტური და მიღწევადი მიზნების შერჩევისთვის მასწავლებელმა, პირველ რიგში, მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე უნდა შეაფასოს. შეფასების პროცესში საგნის პედაგოგი იყენებს სხვადასხვა აქტივობასა და დავალებას, გაკვეთილზე დაკვირვებას, რათა შეძლოს მოსწავლის უნარების, ცოდნის აღწერა მის საგანში. როდესაც, საგნის პედაგოგს ურთულდება მოსწავლის შეფასება, სპეციალური მასწავლებლის ამოცანაა, დაეხმაროს მას მოსწავლის უნარებზე მორგებული დავალებების შერჩევაში.

ნინო მასწავლებელი მეშვიდე კლასში ბიოლოგიას ასწავლის. კლასში სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ლუკა. ლუკა იგებს მარტივ, მისთვის ნაცნობ ერთსაფეხურიან ინსტრუქციებს, როგორიცაა: მაჩვენე, დახატე, გააფერადე, ხაზი შემოავლე. ამბობს მხოლოდ ორ სიტყვას: კი და არა. ნინო მასწავლებელმა გეგმის შედგენამდე გადაწყვიტა გაეგო, თუ რა უნარები და ცოდნა აქვს მოსწავლეს ბიოლოგიის სამიზნე ცნებებთან მიმართებით. პირველ ეტაპზე გადაწყვიტა ისეთი სავარჯიშოების მომზადება, რომლის დახმარებით დააკვირდებოდა მოსწავლის ცოდნას სასიცოცხლო თვისებებთან დაკავშირებით. მასწავლებელმა იცის, რომ მანამ სავარჯიშოები სუნთქვაზე, კვებაზე და გამრავლებაზე იქნება მიმართული, უნდა გაარკვიოს, ცნობს თუ არა ლუკა მცენარეებსა და ცხოველებს, მათ ნაწილებს. მასწავლებელმა ლუკას მცენარის სურათი დაუბეჭდა, აჩვენა და ეკითხება: „ლუკა, ეს რა არის?“, „დაასახელე მცენარის ნაწილები“. ლუკა ვერ პასუხობს მასწავლებელს. ნინომ

დაასკვნა, რომ მოსწავლე ვერ ცნობს მცენარეს და არ იცის მათი ნაწილები. მასწავლებელმა მიზნად ლუკას დახმარება დაისახა .

როგორც სპეციალური მასწავლებელი, რას ურჩევდით ნინოს?

სპეციალური მასწავლებელი ნინოს ამ შემთხვევაში ურჩევს, რომ დავალების ინსტრუქცია მოსწავლის საჭიროებების მიხედვით შეცვალოს. რადგან ლუკას ლექსიკურ მარაგში მხოლოდ ორი სიტყვაა, ცხადია, ის ვერ მოახერხებს დასახლოს მცენარის ნაწილები. მაგრამ შეძლებს თუ არა მოსწავლე, დასახელების ნაცვლად ამოიცნოს მცენარის ნაწილები? შესაბამისად, სპეციალური მასწავლებლის რეკომენდაციაა:

- აჩვენეთ მოსწავლეს მცენარის სურათი და უთხარით: „მაჩვენე, სად არის ფოთოლი“, „მაჩვენე, სად არის ფესვი“.
- მიაწოდეთ მოსწავლეს მცენარის გამოქრილი ნაწილები ცალ-ცალკე და სთხოვეთ, ააწყოს.


მას შემდეგ რაც ნინომ სპეციალური მასწავლებლის რეკომენდაცია გაითვალისწინა, აღმოჩნდა, რომ ლუკა სწორად უთითებს მცენარის ფესვზე, ყვავილსა და ფოთოლზე. უჭირს დეროს ამოცნობა. თუმცა ყვავილის აწყობის დროს სწორად დებს ყვავილის ნაწილებს ერთმანეთთან.

ამგვარი რეკომენდაციებით სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებლებს ეხმარება არა მხოლოდ მოსწავლის შეფასების პროცესში, არამედ მიზნების დასახვისას, კომპლექსური დავალებების ადაპტირებისა და აქტივობების მორგების პროცესში.

ცხრილი 22. სპეციალური მასწავლებლის როლი ისბ-ს შექმნისა და განხორციელების პროცესში

| სპეციალური მასწავლებლის როლი საგნის მასწავლებელთან თანამშრომლობის პროცესში<br>ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნისა და განხორციელების ხელშეწყობისთვის |  |
|--|--|
| როდის?   | რა მიზნით?   |
| მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის შეფასებისას   | <ul style="list-style-type: none"> <li>- რამდენად შესაბამისია მოსწავლის ცოდნის შესაფასებლად გამოზნული აქტივობა, დავალება მის შესაძლებლობებთან და უნარებთან</li> <li>- ხომ არ საჭიროებს მიწოდებული დავალებები გამარტივებას ან პირიქით, გართულებას</li> <li>- ამომწურავადაა თუ არა აღწერილი მოსწავლის საგნობრივი ცოდნის აქტუალური დონე</li> <li>- მოსწავლის საგნობრივ შეფასებაში ასახულია თუ არა მისი ძლიერი მხარეები და არა მხოლოდ საჭიროებები</li> </ul> |
| სასწავლო მიზნების დასახვისას   | <ul style="list-style-type: none"> <li>- მოდიფიცირებული მკვიდრი წარმოდგენები ქმნის თუ არა მოსწავლის შესაძლებლობებისადმი ადეკვატურ, თუმცა მაღალ მოლოდინებს</li> <li>- რამდენად დაფარულია დასახულ მიზნებში საგნის ცნებები</li> <li>- რამდენად რეალისტური და მოსწავლეზე მორგებულია დასახული მიზნები</li> <li>- რამდენად შეუწყობს დასახული მიზნები ხელს ფუნქციური ცოდნის შეძენას</li> </ul>  |

|   |   |
|---|---|
| კომპლექსური<br>დავალების<br>ადაპტირებისას     | <ul style="list-style-type: none"> <li>- ადაპტირებული კომპლექსური დავალება ხომ არ იქნება მოსწავლისთვის ან ზედმეტად რთული ან პირიქით, ზედმეტად მარტივი</li> <li>- რამდენად გასაგებია მოსწავლისთვის დავალების პირობა</li> <li>- არის თუ არა დავალების პირობა მოსწავლისთვის სხვადასხვა გზით მიწოდებული</li> <li>- იქნება თუ არა დავალების შესრულება მოსწავლისთვის საინტერესო</li> <li>- არსებობს თუ არა საკმარისი რესურსი და მხარდაჭერა იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს კომპლექსური დავალებისთვის თავის გართმევა</li> </ul> |
| საგაკვეთილო<br>პროცესის<br>მიმდინარეობისას    | <ul style="list-style-type: none"> <li>- შექმნილია თუ არა სათანადო პირობა მოსწავლისთვის გაკვეთილზე ჩართულობისთვის</li> <li>- მასწავლებლის მიერ მომზადებული და მიწოდებული ტიპობრივი აქტივობები მორგებულია თუ არა მოსწავლის უნარებზე</li> <li>- გამოყენებულია თუ არა მრავალფეროვანი რესურსები და მულტიმედიალური მიდგომა საგაკვეთილო პროცესში</li> </ul>   |
| განმავითარებელი<br>უკუკავშირის<br>მიწოდებისას | <ul style="list-style-type: none"> <li>- არის თუ არა მასწავლებლის უკუკავშირი დაუყოვნებლივი</li> <li>- მოსწავლისთვის გასაგები სიტყვებით არის თუ არა ფორმულირებული უკუკავშირი</li> </ul>  |





# სპეციალური მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ანალიზი

## სპეციალური მასწავლებლის თვითშეფასება

ყველა პროფესიის ადამიანს უჩნდება კითხვა: როგორ უნდა მოახერხოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება და პროფესიაში წარმატების მიღწევა? ამ მიზნისკენ სვლა იწყება ობიექტური თვითშეფასებით და მის საფუძველზე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, წარმატებული და წარუმატებელი საქმიანობების იდენტიფიცირებით; სუსტი მხარეებისა და წარუმატებელი საქმიანობების გაუმჯობესებაზე, ე.ი. საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვით. რაც, თავის მხრივ, სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებას და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას უწყობს ხელს<sup>5</sup>.

**თვითშეფასება სპეციალური მასწავლებლის პრაქტიკისა და საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ეხმარება მას, დაინახოს საკუთარი ეფექტურობა, შედეგები და პირიქით, აღმოჩინოს, რაში სჭირდება გაძლიერება და ცვლილებების განხორციელება.**

თვითშეფასების განხორციელება სპეციალური მასწავლებლისგან მოითხოვს რეფლექსიის უნარს. რეფლექსია კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია საკუთარი პრაქტიკის ობიექტურად აღმასთან, გაანალიზებასა და კრიტიკულ ხედვასთან. ცვლილებების განხორციელების საფუძველი, პირველ რიგში, იმის აღმოჩენაა, თუ რა არის შესაცვლელი. სპეციალური მასწავლებლის საქმიანობა თავისი შინაარსით და არსით ძალზედ მრავალფეროვანია. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უნიკალურობის დანახვა, მასზე მორგებული მეთოდებისა და სტრატეგიების შერჩევა კარგად განვითარებულ რეფლექსიის უნარს მოითხოვს. რეფლექსია სხვა არაფერია თუ არა მუდმივი ფიქრი და განსჯა იმის შესახებ, „რა შეიძლებოდა უკეთესად დამეგეგმა? რატომ არ გაამართლა ჩემმა დაგეგმილმა აქტივობამ? რამ შემიშალა ხელი სასურველი შედეგის მიღებაში? რას შევცვლიდი კონკრეტულ სიტუაციასა და მომენტში, ხელახლა რომ მქონდეს მისი განხორციელების შესაძლებლობა?“. მაშასადამე, რეფლექსია და თვითშეფასება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს გაუმჯობესებისკენ.

<sup>5</sup> პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016

მნიშვნელოვანია, რომ თვითშეფასების ინსტრუმენტი სწორად იქნას აღქმული და გაგებული. **თვითშეფასება სპეციალური მასწავლებლის პერსონალური დოკუმენტია და არა ანგარიშგების სახე.** თვითშეფასებას სპეციალური მასწავლებელი მიმართავს საკუთარი პრაქტიკის გასაანალიზებლად და არა სხვა პირისთვის დემონსტრირების მიზნით.

სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სწორედ თვითშეფასებაა, რომელსაც ის ახორციელებს სასწავლო წლის დასაწყისში და დასასრულს.

თვითშეფასების კითხვარში სპეციალური მასწავლებელი ფიქრობს, აანალიზებს და აფასებს საკუთარ საქმიანობას შემდეგი მიმართულებების მიხედვით: სასწავლო გარემო, სასწავლო პროცესი და სწავლება.

ილუსტრაცია 26. თვითშეფასების კითხვარის 3 მიმართულება

### სასწავლო გარემო

- პოზიტიური და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება;
- თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა;
- ქცევის პოზიტიური მხარდაჭერა;
- თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოსა და რესურსების შექმნა.

### სასწავლო პროცესი

- სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჩიროებების იდენტიფიცირება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში მონაწილეობა;
- ქცევის პოზიტიური მხარდაჭერა;
- თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოსა და რესურსების შექმნა.

### სწავლება

- სსსმ მოსწავლის ჰოლდისტურ განვითარებაზე ზრუნვა - აკადემიური, პოგნიტური, მოდორული, სოციალურ-ემოციური, ფუნქციური, კომუნიკაციერი და ენა - მეთაველების უნარების განვითარების მხარდაჭერა.

განვიხილოთ თვითშეფასების კითხვარის შევსებისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. კითხვარში თითოეული მიმართულებისა და კატეგორიის მიხედვით წარმოდგენილია დებულებები, რომელიც დაკავშირებულია სპეციალური მასწავლებლის საქმიანობასთან, კომპეტენციებთან და უნარებთან. სპეციალური მასწავლებელი საკუთარი პრაქტიკის შეფასებას აზდებს 3 ქულიან სკალაზე, სადაც 0 ნიშნავს - „არ შეესაბამება ჩემს პრაქტიკას“, 1 = „ვცდილობ, მაგრამ უმეტესად არ გამომდის“, 2 = „ვცდილობ და უმეტესად გამომდის“, 3 = „ყოველთვის ვზრუნავ და ჩვეულებრივ კარგად გამომდის“. ქულებით შეფასების შემდეგ კი სპეციალური მასწავლებელი ახორციელებს თვითრეფლექსიას, სადაც აღწერს და განმარტავს კონკრეტული მაგალითების, არგუმენტების მოყვანით მინიჭებულ ქულას.

ქვემოთ მოცემულია ფრაგმენტი სპეციალური მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარიდან. თითოეული დებულების გასწვრივ მინიჭებულია ქულა, ხოლო თვითრეფლექსიის ნაწილში მოცემულია სპეციალური მასწავლებლის კომენტარი.

ცხრილი 23. ნიმუში თვითშეფასების კითხვარიდან

| სასწავლო გარემო  | შეფასება  | თვითრეფლექსია              |  |
|--|---|----------------------------|--|
| <p>სკოლაში (სსსმ<br/>მოსწავლეებთან,<br/>მშობლებთან,<br/>მასწავლებლებთან,<br/>ადმინისტრაციასთან)</p> <p>ვამყარებ პოზიტიურ<br/>კომუნიკაციას,<br/>კეთილგანწყობილ<br/>და<br/>თანამშრომლობაზე<br/>დაფუძნებულ<br/>ურთიერთობებს</p> | <p>ვცდილობ, შევქმნა<br/>ისეთი სასწავლო<br/>გარემო, რომ<br/>მოსწავლეებს ჰქონდეთ<br/>შესაძლებლობა უკეთ<br/>გაიცნონ და იზრუნონ<br/>ერთმანეთზე</p> <p>ყურადღებით ვუსმენ<br/>მოსწავლეს, ვიყენებ<br/>აქტიური მოსმენის<br/>სტრატეგიებს (ვუსვამ<br/>დამაზუსტებელ<br/>კითხვებს, ვაჯამებ<br/>მოსწავლის ნათქვამს<br/>და ა.შ.)</p> <p>ხელს ვუწყობ სსსმ<br/>მოსწავლეებს<br/>გამოხატონ თავიანთი<br/>დამოკიდებულებები,<br/>დასვან კითხვები,<br/>გამოთქვან<br/>მოსაზრებები<br/>(საჭიროების<br/>შემთხვევაში,<br/>კომუნიკაციის<br/>ალტერნატიული<br/>საშუალებებით)</p> | <p>3</p> <p>2</p> <p>2</p> | <p>ვუსმენ მოსწავლეს<br/>ყურადღებით და ველოდები,<br/>სანამ წინადადებების თქმას<br/>დაასრულებს, არ ვაწყვეტინებ.<br/>ვფიქრობ, იშვიათად ვსვამ<br/>შეკითხვებს, განსაკუთრებით<br/>ღია ტიპის. უფრო მეტად ისეთ<br/>კითხვებს ვსვამ, რომელზეც<br/>მოსწავლე კი/არა-თი<br/>მპასუხობს.</p> <p>ხშირად ვაძლევ მოსწავლეს<br/>დავალებების რამდენიმე<br/>ალტერნატივას, რომ<br/>დავეხმარო არჩევანის<br/>გაკეთებაში, ასევე ვეკითხები,<br/>რა მოსწონს ან რას ფიქრობს.<br/>კომუნიკაციის ალტერნატიული<br/>საშუალებების გამოყენებას<br/>ვერ ვახერხებ, რადგან არ მაქვს<br/>გამოცდილება.</p> |

თვითრეფლექსიის წერისას მნიშვნელოვანია, სპეციალურმა მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს რამდენიმე დეტალს:

- შეეცადეთ რეფლექსიური კომენტარი შინაარსობრივად შეესაბამებოდეს მოცემულ დებულებას. მაგალითად, დებულებაში მოცემულია შემდეგი სახის წინადადება: „სწავლების პროცესში ვიყენებ ასისტირების ტექნიკებს და საბოლოოდ, ვცდილობ, გავზარდო მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხი“. რეფლექსიაში სპეციალურმა მასწავლებელმა დაწერა: „განრიგის შესაბამისად სსსმ მოსწავლეებს ასისტირებას ვუწევ კლასში“. სპეციალური მასწავლებლის აღნიშნული კომენტარი არ შეესაბამება დებულების შინაარსს. თუ სპეციალური მასწავლებელი ფიქრობს, რომ ასისტირების სხვადასხვა ტექნიკების გამოყენება

და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მისი ძლიერი მხარეა და აქვს სურვილი აღწეროს, უმჯობესია თვითრეფლექსიაში კონკრეტულად წარმოაჩინოს როგორ, რა გზებით ახერხებს ამას. მაგალითად: „ვიყენებ მოსწავლეებთან ფიზიკური დახმარების ტექნიკას, რომელსაც თანდათანობით ვანაცვლებ ნაწილობრივი დახმარებით მანამდე, სანამ მოსწავლე თავად არ შეძლებს დამოუკიდებლად განხორციელებას“.

- მნიშვნელოვანია, რეფლექსია მკაფიოდ, ცხადად და კონკრეტულად იყოს ფორმულირებული. მაგალითად, დებულებაზე „სწავლების პროცესში მაქსიმალურად ვიყენებ თვალსაჩინო მასალას“, ბუნდოვანი რეფლექსური კომენტარია - „ნაწილობრივ ვიყენებ თვალსაჩინო მასალას“. ხოლო უფრო მკაფიოა - „ვცდილობ, ვიზუალური მასალა გამოვიყენო მოსწავლეებთან დავალებების მიწოდების დროს, რისთვისაც ვამზადებ სხვადასხვა ელექტრონულ, ილუსტრირებულ სავარჯიშოებსა და ადაპტირებულ ტექსტებს სურათებით. ვფიქრობ, არ მაქვს საკმარისად მრავალფეროვანი, სხვადასხვა სახის ვიზუალური მასალა (გარდა სურათებისა და დაბეჭდილი ილუსტრაციებისა), როგორიცაა მულაჟი, მაკეტი, სამგანზომილებიანი წიგნები“.
- რეფლექსია მოითხოვს გულწრფელ, კრიტიკულ ხედვას და არა საკუთარი პროფესიონალიზმის „იდეალურად“ წარმოჩენას. მნიშვნელოვანია, სპეციალური მასწავლებელი, მაქსიმალურად ობიექტურად აანალიზებდეს საკუთარ კომპეტენციებს, შესაძლებლობებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს. თვითშეფასების კითხვარში საკუთარი სისუსტეების, შეცდომების ან გამოწვევების წარმოჩენა არ ნიშნავს, რომ სპეციალური მასწავლებელი არ არის საკმარისად კარგი პროფესიონალი. არამედ, ეს ნიშნავს, რომ მას შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კრიტიკული რეფლექსია და განვითარებაზე ორიენტირებულია.

## სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა

წელიწადში ორჯერ სპეციალური მასწავლებელი ავსებს თვითშეფასების დოკუმენტს, რომელშიც ქულობრივად აფასებს საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. დოკუმენტის შევსების შემდეგ კი, ის აჯამებს იმ ძლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, რომელზე დაყრდნობითაც შეძლებს კარგი პრაქტიკის გაზიარებას კოლეგებისათვის და პროფესიული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას. რაც შეეხება გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, თვითშეფასების დოკუმენტში დაბალი ქულები მიუთითებს იმ მიმართულებებზე, სადაც სპეციალისტს სჭირდება მხარდაჭერა, გაძლიერება. ამ მიმართულებების გამოკვეთის შემდეგ კი, ის გეგმავს სამომავლო ქმედებებს საქმიანობის უკეთ შესრულებისათვის.

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა ვიზუალურად ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები. მისი შევსების პრინციპის უკეთ აღქმის მიზნით განვიხილოთ თითოეული ველი ცალ-ცალკე.


ცხრილი 24. სამოქმედო გეგმა

| # | dლიერი მხარეები                  | რაზე დაყრდნობით განვსაზღვრე<br>dლიერი მხარეები                |
|---|----------------------------------|---|
| 1 | სასწავლო გარემო:                 |   |
| 2 | სასწავლო პროცესი:                |   |
| 3 | სწავლება:                        |   |
| # | გასაუმჯობესებელი მიმართულებები   | რაზე დაყრდნობით განვსაზღვრე<br>გასაუმჯობესებელი მიმართულებები |
| 1 | სასწავლო გარემო:                 |   |
| 2 | სასწავლო პროცესი:                |   |
| 3 | სასწავლო პროცესი:                |   |
| # | გაუმჯობესების სტრატეგია/აქტივობა | განხორციელების პერიოდი  |
| 1 |                                  |   |
| 2 |                                  |   |
| 3 |                                  |   |

სამოქმედო გეგმა სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება, ესენია: dლიერი მხარეები, გასაუმჯობესებელი მიმართულებები და გაუმჯობესების სტრატეგია/აქტივობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალური მასწავლებელი წელიწადში ორჯერ ავსებს თვითშეფასების დოკუმენტს, სადაც ის სასწავლო გარემოსთან, სასწავლო პროცესთან და სწავლებასთან მიმართებით აფასებს საკუთარ პროფესიულ საქმიანობას და სემესტრის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებს. შესაბამისად, dლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ მიმართულებებში გამოკვეთილ ასპექტებს სწორედ ამ სამი მიმართულების მიხედვით განიხილავს. შეიძლება ითქვას, რომ ის აჯამებს თვითშეფასების დოკუმენტში ასახულ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ გარდა თვითშეფასების დოკუმენტისა, სპეციალური მასწავლებლისთვის dლიერი მხარეების იდენტიფიცირებისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების აღმოჩენის საშუალება შესაძლოა იყოს კოლეგის, პროფესიული საზოგადოების და/ან ხელმძღვანელის მხრიდან მიღებული უკუკავშირი. ამ ყოველივეს აღნიშვნა კი, ხდება ცხრილში ცალკე გამოყოფილ პუნქტში, იმის მიხედვით, თუ რაზე დაყრდნობით განსაზღვრა სპეციალურმა მასწავლებელმა dლიერი მხარეები ან გასაუმჯობესებელი მიმართულებები.

ბუნებრივია, სამოქმედო გეგმა მხოლოდ არსებული რეალობის ასახვას არ გულისხმობს. გეგმაში ყველაზე მნიშვნელოვანია, ნათლად ჩანდეს, რა რეაგირება მოჰყვება გამოკვეთილ, გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, როგორ დაგეგმავს სპეციალური მასწავლებელი პროფესიულ განვითარებას. განვითარებასა და კომპეტენციის ამაღლებაში ბევრი რამ შეიძლება დაგვეხმაროს, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ტრენინგი, სუპერვიზის გავლა და/ან საჭირო ლიტერატურის შეძენა და მისი დამუშავება. მთავარია, სპეციალურმა მასწავლებელმა სწორად დაგეგმოს ის სტრატეგია და/ან აქტივობები, რომელიც მას წინსვლაში დაეხმარება. გარდა ამისა, მასწავლებელი საზღვრავს იმ დაახლოებით პერიოდს, რაც დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის დასჭირდება. დაახლოებითი დროის წინასწარ განსაზღვრა ეხმარება სპეციალურ მასწავლებელს დროის მენეჯმენტში და გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე რეაგირების მაქსიმალურად დროულად დაგეგმვაში.

ილუსტრაცია 27. სამოქმედო გეგმის ნაბიჯები



გასაუმჯობესებელი მიმართულებების განვითარებაში სპეციალური მასწავლებლის მხარდამჭერი შესაძლოა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია, კოლეგები და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურა/დაწესებულება, რომელიც ტრენინგებს, სასწავლო კურსებს სთავაზობს პროფესიულ საზოგადოებას. სწორედ ადმინისტრაციაა ის მხარდამჭერი რგოლი, რომელსაც შეუძლია შესძინოს სპეციალურ მასწავლებელს შესაბამისი ლიტერატურა, დაარეგისტრიროს და/ან დაუფინანსოს სატრენინგო კურსები და სხვა.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპეციალური მასწავლებელს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა ეხმარება საკუთარი საქმიანობის შეჯამებაში, ანალიზსა და სამომავლო აქტივობების ეფექტიანად დაგეგმვაში.

## რუბრიკები

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული საქმიანობა მოსწავლის შესაძლებლობების და საჭიროებების აღწერის, ინტერვენციის გეგმის დასახვის, აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გარდა მოიაზრებს თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირებას, საკუთარი საქმიანობის შეჯამებას, ანალიზს და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით პრაქტიკაში განსახორციელებელი ცვლილებების დაგეგმვას.

სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო მოიცავს სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ანალიზს - რუბრიკას. რუბრიკა ორი კომპონენტისგან შედგება. პირველი კომპონენტის მიხედვით სპეციალური მასწავლებელი გარკვეული პერიოდულობით, დაახლოებით თვე ნახევარში ერთხელ, აანალიზებს საკუთარ პრაქტიკას, სწავლა-სწავლების პროცესში თითოეულ მოსწავლესთან დასახული მიზნების ეფექტიანობას, გამოყენებულ მიდგომებსა და სტრატეგიებს აკავშირებს შესაბამის თეორიულ საფუძვლებთან. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, აქ სპეციალური მასწავლებელი განხორციელებული რეფლექსიის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს, სამომავლო პრაქტიკისა და პროცესის გაუმჯობესების მიზნით. განვიხილოთ თითოეული კომპონენტი:

ცხრილი 25. რუბრიკების 2 მიმართულება

|          |   |
|----------|---|
| რეალისტი | პედაგოგიური საქმიანობის ანალიზი (რეფლექსია) და დაგეგმვა |
|          | სწავლა-სწავლების ეფექტიანი მეთოდები და სტრატეგიები      |

**პედაგოგიური საქმიანობის ანალიზი (რეფლექსია) და დაგეგმვა** - ამ კომპონენტში სპეციალური მასწავლებელი აანალიზებს და აფასებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დასახული მიზნების შესაბამისობას, მათ მისაღწევად გამოყენებულ სტრატეგიებს, აქტივობებსა და მიდგომებს. აჯამებს, რამ გაამართლა კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში და რამ - არა. რეფლექსია ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ყველა მიმართულებაზე, იქნება ეს კოლეგებთან თანამშრომლობა, ინკლუზიური სასწავლო გარემოს ფორმირება, მშობლებთან კომუნიკაცია თუ სხვა. მნიშვნელოვანია, რომ სსსმ მოსწავლეების სწავლის პროცესზე რეფლექსია მკაფიოდ და გასაგებად იყოს ფორმულირებული, თან ახლდეს მაგალითები და ნათლად იყოს ნაჩვენები, როგორ შეძლო მოსწავლემ საკუთარი ცოდნის დემონსტრირება დასახულ მიზნებთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ პორტფოლიოს ეს კომპონენტი მოიცავს რეფლექსიის ნაწილს, სპეციალურ

მასწავლებელს ის დაეხმარება საკუთარი საქმიანობის შეფასებაში და სამომავლო ცვლილებების განსაზღვრაში.


სპეციალური მასწავლებელი წლის განმავლობაში რამდენჯერმე აჯამებს საკუთარ პედაგოგიურ საქმიანობას და აღწერს გამოყენებულ ეფექტიან მიდგომებსა და სტრატეგიებს. ეს პროცესი ეხმარება, ნათლად დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა და მასზე დაყრდნობით იმსჯელოს, რამდენად სწორად გეგმავს სასწავლო პროცესს და აკეთებს თუ არა მაქსიმუმს, რითაც დაეხმარება მოსწავლეს ხარისხიანი განათლების მიღებასა და სწავლა-სწავლების პროცესში სრულყოფილად ჩართვაში.

გარდა ამისა, ამავე კომპონენტში მნიშვნელოვანია სპეციალურმა მასწავლებელმა განხორციელებულ პრაქტიკას დაუკავშიროს სწავლა-სწავლების ეფექტიანი მეთოდები და სტრატეგიები. სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობა სხვადასხვა თეორეტიკოსის მიდგომებსა და მეთოდებს ეფუძნება. ავტორების მხრიდან ჩამოყალიბებული თეორიული კონცეფციები კი მრავალმხრივი კვლევების, მიღებული შედეგების დამუშავებისა და განზოგადების შედეგადაა ფორმირებული. თუ სპეციალური მასწავლებელი იცნობს სწავლისა და განვითარების ისეთ თეორიებს/თეორეტიკოსებს, როგორიცაა: კოგნიტური განვითარების თეორია (ჟან პიაჟე), სოციოკულტურული თეორია (ლევ ვიგორტსკი), ფსიქოსოციალური თეორია (ერიკ ერიქსონი), მორალური განვითარების თეორია (ლოურენს კოლბერგი), ჰუმანისტური თეორიები (აბრაჰამ მასლოუ, კარლ როჯერი), ბიჰევიორისტული თეორიები (ივან პავლოვი, სკინერი), ბიოეკოლოგიური მოდელი (ური ბრონფრენბრენერი) და სხვა, მას შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აქტივობებისა და სტრატეგიების შერჩევისას, დაეყრდნოს სწორედ იმ მნიშვნელოვან თეორიულ ცოდნას, რომელიც მოსწავლეების ასაკობრივი განვითარების, ინდივიდუალური ტემპისა და პიროვნული შესაძლებლობების შედეგადაა ჩამოყალიბებული.

გარდა თეორიული ცოდნისა, სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა ეფუძნება იმ ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა საგაკვეთილო მუშაობის აგება და მიმდინარეობა უნივერსალური სასწავლო დიზაინისა და დიფერენცირებული მიდგომის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე, სწავლა-სწავლების პროცესში მულტიმოდალური მეთოდის, მოდელირების, სკაფოლდინგის, გრაფიკული სიტემების, მიმანიშნებლებისა და კეთებით სწავლის კომპონენტის გამოყენება, რომლის მიხედვითაც პროცესი იქნება ინდივიდუული, მოსწავლეული ცენტრირებული, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ძლიერი მხარეები. მოსწავლეებს სწავლა-სწავლების პროცესში შესაძლებლობა ექნებათ, მაქსიმალურად მრავალფეროვანი გზით მიიღონ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია და თავადაც მრავალფეროვანი მეთოდებით მოახდინონ თავიანთი ცოდნის დემონსტრირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუბრიკების ამ კომპონენტში სპეციალური მასწავლებელი გამოყენებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს უსაბამებს სხვადასხვა თეორიულ კონცეფციას, ადასტურებს მათ მართებულობასა და აფასებს, რომელი მიდგომა იყო მეტად ეფექტური და რომელი ნაკლებად, რასაც მომავალი პროცესის დაგეგმვის დროს გაითვალისწინებს.

ილუსტრაცია 28. შეჯამების წილები



**სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული რეკომენდაციები** - პედაგოგიური საქმიანობის რეფლექსიაზე დაყრდნობით სპეციალური მასწავლებელი განსაზღვრავს, თუ რა ცვლილებებს განახორციელებს პრაქტიკაში. შესაბამისად, რუბრიკის პირველი კომპონენტზე მუშაობის დასრულების შემდეგ ის განსაზღვრავს იმ ცვლილებებს, რომელიც მან ინტერვენციის გეგმის ფარგლებში უნდა განახორციელოს. ეს რეკომენდაციები შეიძლება დაკავშირებული იყოს გამოყენებული სტარტეგიებისა და მეთოდების ცვლილებასთან, მიზანზე მუშაობის ვადის გახანგრძლივებასთან ან მიზნის დაზუსტება/გამარტივებასთან. მნიშვნელოვანია, რომ რეკომენდაციებში აღწერილი ცვლილებები სპეციალურმა მასწავლებლმა ასახოს შესაბამის დოკუმენტებში.

**სწავლა-სწავლების ეფექტიანი მეთოდები და სტრატეგიები** - სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობა სხვადასხვა თეორეტიკოსის მიღების მიღებისა და მეთოდებს ეფუძნება. ავტორების მხრიდან ჩამოყალიბებული თეორიული კონცეფციები კი მრავალმხრივი კვლევების, მიღებული შედეგების დამუშავებისა და განზოგადების შედეგადაა ფორმირებული. თუ სპეციალური მასწავლებელი იცნობს სწავლისა და განვითარების ისეთ თეორიებს/თეორეტიკოსებს, როგორიცაა: კოგნიტური განვითარების თეორია (ჟან პიაჟე), სოციოულტურული თეორია (ლევ ვიგორსკი), ფსიქოსოციალური თეორია (ერიკ ერიქსონი), მორალური განვითარების თეორია (ლოურენს კოლბერგი), ჰუმანისტური თეორიები (აბრაჰამ მასლოუ, კარლ როჯერი), ბიჰევიორისტული თეორიები (ივან პავლოვი, სკინერი), ბიოეკოლოგიური მოდელი (ური ბრონფრენბრენერი) და სხვა, მას შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აქტივობებისა და სტრატეგიების შერჩევისას, დაეყრდნოს სწორედ იმ მნიშვნელოვან თეორიულ ცოდნას, რომელიც ბავშვების ასაკობრივი განვითარების, ინდივიდუალური ტემპისა და პიროვნული შესაძლებლობების შედეგადაა ჩამოყალიბებული.

გარდა თეორიული ცოდნისა, სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა ეფუძნება იმ ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა საგაკვეთილო მუშაობის აგება და მიმდინარეობა უნივერსალური სასწავლო დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე, სწავლა-სწავლების პროცესში მულტიმოდალური მეთოდისა და კეთებით სწავლის კომპონენტის გამოყენება, რომლის მიხედვითაც პროცესი იქნება ინდივიდუალური მოსწავლეზე ცენტრირებული, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ძლიერი მხარეები. მოსწავლეებს სწავლა-სწავლების პროცესში შესაძლებლობა ექნებათ, მაქსიმალურად მრავალფეროვანი გზით მიღონ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია და თავადაც მრავალფეროვანი მეთოდებით მოახდინონ თავიანთი ცოდნის დემონსტრირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუბრიკების ამ კომპონენტში სპეციალური მასწავლებელი გამოყენებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს უსაბამებს სხვადასხვა თეორიულ კონცეფციას, ადასტურებს მათ მართებულობასა და აფასებს, რომელი მიდგომა იყო მეტად ეფექტიანი და რომელი ნაკლებად, რასაც მომავალი პროცესის დაგეგმვის დროს გაითვალისწინება.

### სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის განრიგი

სპეციალური მასწავლებლის სამუშაო განრიგისა და კვირის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა საქმიანობების აღნუსხვა პორტფოლიოს ნაწილია. განრიგის წარმოება სპეციალურ მასწავლებელს დაეხმარება საკუთარი სამუშაო პროცესის ეფექტიანად ორგანიზებასა და დაგეგმვაში, დროის მენეჯმენტსა და დამსაქმებლის წინაშე ანგარიშებაში. ქვემოთ შემოთავაზებულია განრიგის სარეკომენდაციო ფორმები. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სპეციალურ მასწავლებელს თავად შეუძლია მისთვის მოსახერხებელი ფორმატი შეიმუშაოს იმის გათვალისწინებით, რომ წარმოჩნდეს კვირის განმავლობაში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი საქმიანობები. მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობა, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის მხარდაჭერა, დაგეგმილი შეხვედრები საგნის მასწავლებლებთან, მშობელთან, დირექტივის წარმომადგენელთან ან სხვა პირთან, რესურსებსა და მასალებზე მუშაობა და ა.შ. განვიხილოთ თითოეული კომპონენტი:

ცხრილი 26. სპეციალური მასწავლებლის განრიგი (სარეკომენდაციო ფორმა N 1)

| ინდ. მუშაობა | წყვილში ან აღუფში მუშაობა | კლასში მუშაობა | რესურსების მომზადება | დოკ. წარმოება | სხვადასხვა პირთან თანამშრომლობა | სამუშაო საათების ჯამური რ.ბა |
|--------------|---------------------------|----------------|----------------------|---------------|---------------------------------|------------------------------|
| ორგანიზაცია  | დორ (საათი)               | მოსწავლე       |                      |               |                                 |                              |
|              |                           |                |                      |               |                                 |                              |

|               |             |  |  |  |  |  |  |  |
|---------------|-------------|--|--|--|--|--|--|--|
|               | საქმიანობა  |  |  |  |  |  |  |  |
| სა<br>მშაბათი | დრო (საათი) |  |  |  |  |  |  |  |
|               | მოსწავლე    |  |  |  |  |  |  |  |
|               | საქმიანობა  |  |  |  |  |  |  |  |
| ოთხშაბათი     | დრო (საათი) |  |  |  |  |  |  |  |
|               | მოსწავლე    |  |  |  |  |  |  |  |
|               | საქმიანობა  |  |  |  |  |  |  |  |
| ხუთშაბათი     | დრო (საათი) |  |  |  |  |  |  |  |
|               | მოსწავლე    |  |  |  |  |  |  |  |
|               | საქმიანობა  |  |  |  |  |  |  |  |
| ჰარისკვეთი    | დრო (საათი) |  |  |  |  |  |  |  |
|               | მოსწავლე    |  |  |  |  |  |  |  |
|               | საქმიანობა  |  |  |  |  |  |  |  |

ცხრილის პორიზონტალურ ხაზზე მოცემულია სპეციალური მასწავლებლის ძირითადი საქმიანობების ჩამონათვალი, ხოლო ვერტიკალურზე სამუშაო კვირის დღეები განრიგის მნიშვნელოვანი კომპონენტების გათვალისწინებით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან **ინდივიდუალური მუშაობა** სპეციალური მასწავლებლის ყოველდღიური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია. ინდივიდუალური მუშაობა, მართალია, უმეტესწილად, რესურსოთახში მიმდინარეობს, თუმცა, შესაძლებელია, აღნიშნული საქმიანობისთვის სკოლის ტერიტორიაზე სხვა სივრცის გამოყენებაც. ინდივიდუალური მუშაობის მიმდინარეობა ეფუძნება ინტერვენციის გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებსა და აქტივობებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში, გარდა ინდივიდუალური მუშაობისა, **წყვილში მუშაობა ან ჯგუფური** აქტივობების დაგეგმვაც მნიშვნელოვანია, რადგან ხელს უწყობს კომუნიკაციური და სოციალური უნარების განვითარებას. აქტუალურია შეკითხვა, თუ ვინ უნდა შეირჩეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან წყვილში ან ჯგუფში სამუშაოდ. ცხადია, ეს შეიძლება იყოს მოსწავლის თანაკლასელი/თანაკლასელები ან სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

სპეციალური მასწავლებლის საგაკვეთილო პროცესში თანამონაწილეობას შესაძლოა რამდენიმე მიზანი ჰქონდეს, კერძოდ:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე დაკვირვება;
- სწავლის სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით მოსწავლეებზე დაკვირვება;
- საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტირება ან/და მხარდაჭერა;
- მასწავლებლის მხარდაჭერა;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის თანაკლასელებთან პოზიტიური ურთიერთობები ჩამოყალიბების მიზნით დაგეგმილი აქტივობების განხორციელება და სხვ.

სპეციალურმა მასწავლებელმა მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა აქტივობა უნდა დაგეგმოს და განახორციელოს, რაც მრავალფეროვან, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ საგანმანათლებლო **რესურსების** შექმნას მოითხოვს. მაგ: აკადემიური და კოგნიტური უნარის განმავითარებელი სავარჯიშო, ადაპტირებული ტექსტი, ბარათი, ვიზუალური მიმანიშნებელი, ხელნაკეთი რესურსი, ტაქტილური და სენსორული რესურსები, ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმილი აქტივობებისთვის საჭირო რესურსები (ბუკლეტი, პრეზენტაცია, ვიდეო) და სხვა.

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული საქმიანობა პრაქტიკულ კომპონენტთან ერთად, სხვადასხვა დოკუმენტის შექმნასა და წარმოებას მოიცავს. **დოკუმენტაცია** პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია და ამავდროულად, ეხმარება სპეციალისტს დაგეგმილი პროცესების წარმატებით მართვასა და განხორციელებაში. სპეციალური მასწავლებელი პრაქტიკაში სხვადასხვა და მრავალფეროვან დოკუმენტებზე მუშაობს, მათ შორის:

- მოსწავლის შეფასების შედეგების შეჯამება;
- სასწავლო მიზნებისა და აქტივობების დაგეგმვა (ინტერვენციის გეგმა);
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;
- მოსწავლის ქცევაზე დაკვირვების ჩანაწერების ანალიზი;
- რთული ქცევის მართვის გეგმა;
- წერილობითი რეკომენდაციები საგნის მასწავლებლისთვის;
- წერილობითი რეკომენდაციები მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ან საჭიროების შემთხვევაში სხვა პირისათვის;
- ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაში სპეციალური მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები;
- სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ანალიზი (რეფლექსია);
- და სხვა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანი მიმდინარეობისთვის გადამწყვეტია სხვადასხვა რგოლის მჭიდრო თანამშრომლობა და თანმიმდევრული კომუნიკაცია. სპეციალურმა მასწავლებელმა სამუშაო განრიგის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს და წინასწარ

განსაზღვროს დრო მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, მასწავლებელთან, ადმინისტრაციასთან, სხვა სპეციალისტთან ან საჭიროებიდან გამომდინარე სხვა პირთან შეხვედრისათვის. **სხვადასხვა რგოლთან/პირთან თანამშრომლობა** შესაძლოა გულისხმობდეს:

- ისგ ჯგუფის შეხვედრას;
- საგნის მასწავლებელთან, კლასის დამრიგებელთან შეხვედრას/კონსულტაციას;
- სკოლის ადმინისტრაციასთან, ექიმთან და მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთან შეხვედრა/კონსულტაციას;
- ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან შეხვედრა/კონსულტაციას;
- სხვა სპეციალისტებთან კომუნიკაციას (პირადი ფსიქოლოგი, თერაპევტი, სოციალური მუშაკი და სხვა.);
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, ოჯახთან ინდივიდუალურ შეხვედრას;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით მშობლებთან, სასკოლო საზოგადოებასთან და მოსწავლეებთან დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას;
- მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენელთან შეხვედრას და სხვ.

სპეციალური მასწავლებლის სამუშაო განრიგის შევსებისას მნიშვნელოვანია; ყურადღება მივაქციოთ ვერტიკალურ სვეტში მოცემულ კომპონენტებს, რომლებიც თითოეული დღის გასწროვაა მოცემული. განვიხილოთ თითოეული:

- **დრო (საათი)** - სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა მონიშნოს, რომელ გაკვეთილზე, რა დროს, რა ტიპის საქმიანობას ახორციელებს. მაგალითად, ინდივიდუალური მუშაობა დაგეგმილი აქვს მეორე გაკვეთილზე. შესაბამისად, „გაკვეთილის“ გასწრივ და „ინდივიდუალური მუშაობის“ ქვემოთ გადაკვეთაზე წერს „10: 00 – 11:00“. შესაბამისად, ჩანს, რომ დღის ამ მონაკვეთში სპეციალური მასწავლებელი მოსწავლესთან ინდივიდუალურ გაკვეთილს ატარებს.
- **მოსწავლე** - კომპონენტის გასწრივ სპეციალური მასწავლებელი წერს იმ მოსწავლის ინიციალებს, რომელთან დაკავშირებითაც ხორციელდება კონკრეტული საქმიანობა. მაგალითად, ინდივიდუალურ მუშაობას მეორე გაკვეთილზე სპეციალური მასწავლებელი გეგმავს მოსწავლე ლ.ქ.-სთან. შესაბამისად, „მოსწავლის“ გასწრივ და „ინდივიდუალური მუშაობის“ ქვემოთ გადაკვეთაზე წერს „ლ.ქ.“. როგორც ვხედავთ, ცხრილში გამოიყენება არა მოსწავლის სახელი და გვარი, არამედ ინიციალები. ინიციალების გამოყენების მიზანი მოსწავლის კონფიდენციალურობის დაცვაა და სწორედ ამგვარად არის შესაძლებელი, არ მოხდეს მაიდენტიფიცირებელი დეტალების გამოყენება სხვა პირების მიერ.
- **საქმიანობა** - სპეციალური მასწავლებელი მონიშნავს ან აღწერს, თუ რას გულისხმობს მის მიერ განსახორციელებელი აქტივობა. მაგალითად, მეორე

გაკვეთილზე, მოსწავლე ლ.ქ.-სთან ინდივიდუალური მუშაობის პროცესში სპეციალური მასწავლებელი ორიენტირებული იქნება წერისა და ნატიფი მოტორული უნარების განვითარებაზე.


იგივე კომპონენტების გათვალისწინებით, სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ამსახველ ცხრილს შესაძლოა ასეთი ფორმა ჰქონდეს. ქვემოთ მოცემულია სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ამსახველი ერთი კვირის განრიგი. როგორც ვხედავთ, სპეციალური მასწავლებლის კონტაქტური სამუშაო საათების რაოდენობა (კვირაში 18 საათი) სრულად შევსებულია. ის ხუთ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობს და განრიგში თვალნათლივ ჩანს, თუ რომელ დღეს, რა დროს აქვს თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობა ან გაკვეთილზე ასისტირება. არასაკონტაქტო საათების დაგეგმვა და გამოყენება სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია დამოუკიდებლად, საჭიროებიდან გამომდინარე. მაგალითად, გარკვეულ დოკუმენტაციაზე მუშაობა, მასალების მომზადება შესაძლებელია დისტანციურად განახორციელოს და არ იყოს საჭირო მისი სკოლის შენობაში ფიზიკურად ყოფნა.

ცხრილი 27. სპეციალური მასწავლებლის განრიგი (სარეკომენდაციო ფორმა N 2)

| დღე       | საქმიანობა  | დრო (საათი)  | აღწერა   |
|-----------|---|--|--|
| ორშაბათი  | <input checked="" type="checkbox"/> ინდივიდუალური<br><input checked="" type="checkbox"/> წყვილში მუშაობა<br><input checked="" type="checkbox"/> კლასში მუშაობა<br><input type="checkbox"/> რესურსების მომზადება<br><input type="checkbox"/> დოკუმენტაცია<br><input checked="" type="checkbox"/> სხვადასხვა რგოლი<br><input type="checkbox"/> სხვა | 9:00 – 10:00<br>10:00- 11:00<br>12:00 – 13:00<br>13:00 – 14:00<br>14:00 – 15:00<br>15:00- 16:00<br>16:00 – 17:00 | 6.მ რესურს ოთახში<br>თ.კ და ბ.დ წყვილში მუშაობა<br>6.მ კლასში ასისტირება<br>შეხვედრა ბ.დ-ს მშობელთან<br><br>ბ.დ. რესურს ოთახში |
| სამშაბათი | <input checked="" type="checkbox"/> ინდივიდუალური<br><input type="checkbox"/> წყვილში მუშაობა<br><input checked="" type="checkbox"/> კლასში მუშაობა<br><input checked="" type="checkbox"/> რესურსების მომზადება<br><input type="checkbox"/> დოკუმენტაცია<br><input type="checkbox"/> სხვადასხვა რგოლი<br><input type="checkbox"/> სხვა            | 9:00 – 10:00<br>10:00- 11:00<br>12:00 – 13:00<br>13:00 – 14:00<br>14:00 – 15:00<br>15:00- 16:00<br>16:00 – 17:00 | 6.6 კლასში ასისტირება<br>6.6 კლასში ასისტირება<br>6.მ რესურს ოთახში<br>ილუსტრირებული ბარათები                                  |
| ოთხშაბათი | <input checked="" type="checkbox"/> ინდივიდუალური<br><input checked="" type="checkbox"/> წყვილში მუშაობა<br><input type="checkbox"/> კლასში მუშაობა<br><input type="checkbox"/> რესურსების მომზადება<br><input type="checkbox"/> დოკუმენტაცია<br><input type="checkbox"/> სხვადასხვა რგოლი<br><input type="checkbox"/> სხვა                       | 9:00 – 10:00<br>10:00- 11:00<br>12:00 – 13:00<br>13:00 – 14:00<br>14:00 – 15:00<br>15:00- 16:00<br>16:00 – 17:00 | თ.კ და ბ.დ წყვილში მუშაობა<br>6.მ რესურს ოთახში  |
| ხუთშაბათი | <input checked="" type="checkbox"/> ინდივიდუალური<br><input type="checkbox"/> წყვილში მუშაობა   | 9:00 – 10:00<br>10:00- 11:00   | 6.6 კლასში ასისტირება<br>6.6 კლასში ასისტირება   |

|           |   |  |  |
|-----------|---|--|--|
|           | <input checked="" type="checkbox"/> კლასში მუშაობა<br><input type="checkbox"/> რესურსების მომზადება<br><input type="checkbox"/> დოკუმენტაცია<br><input type="checkbox"/> სხვადასხვა რგოლი<br><input type="checkbox"/> სხვა  | 12:00 – 13:00<br>13:00 – 14:00<br>14:00 – 15:00<br>15:00- 16:00<br>16:00 – 17:00                                 | ბ.დ რესურს ოთახში  |
| პარასკევი | <input checked="" type="checkbox"/> ინდივიდუალური<br><input type="checkbox"/> წყვილში მუშაობა<br><input type="checkbox"/> კლასში მუშაობა<br><input type="checkbox"/> რესურსების მომზადება<br><input checked="" type="checkbox"/> დოკუმენტაცია<br><input type="checkbox"/> სხვადასხვა რგოლი<br><input type="checkbox"/> სხვა | 9:00 – 10:00<br>10:00- 11:00<br>12:00 – 13:00<br>13:00 – 14:00<br>14:00 – 15:00<br>15:00- 16:00<br>16:00 – 17:00 | ბ.დ რესურს ოთახში<br>6.ნ რესურს ოთახში<br>6.მ რესურს ოთახში<br>მოსწავლეების პორტფოლიოების<br>გადახედვა |

საათების ჯამური რაოდენობა: 18 საათი



# სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს დამატებითი კომპონენტები

რა დამატებითი დოკუმენტაცია შეიძლება იყოს წარმოდგენილი  
სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოში?

სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილია ძირითადი დოკუმენტები, ერთი მხრივ, საკუთარი პროფესიული კომპეტენციისა და საქმიანობის აღმნიშვნელი, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე შექმნილი დოკუმენტები.

გარდა ამისა, საჭიროებიდან გამომდინარე, სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოში შესაძლებელია გაერთიანდეს სხვა დამატებითი დოკუმენტები. თუ სპეციალურ მასწავლებელს უწევს ქცევის სირთულეების მქონე მოსწავლისთვის ქცევის მართვის გეგმის შედგენა და განხორციელება, პორტფოლიოში აისახება შესაბამისი დოკუმენტი. როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე გადადის საგანმანათლებლო სისტემის შემდეგ საფეხურზე, იქნება ეს უმაღლესი სასწავლებელი თუ პროფესიული, სპეციალური მასწავლებელი გუნდთან ერთად ქმნის და ახორციელებს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმას. შესაბამისად, შექმნილი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება პორტფოლიოში.

ილუსტრაცია 29. სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ასახველი დოკუმენტები

## სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო

|  |  |
|--|--|
|  <h3>ძირითადი დოკუმენტები</h3> <p><b>სპეციალური პრეზტიპი</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>თვითშეასება</li><li>სამოქადაგი გეგმა</li><li>რუბრიკები</li><li>სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ამსახველი</li><li>განრიგი</li></ul> <p><b>სსსრ მოსწავლე</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>მოსწავლის შეფასება (ძლიერი მხარეების და საგანმანათლებლო მასწავლებელის აღწერა)</li><li>ინდივიდუალური გეგმა</li><li>მოსწავლის ნამუშევრები</li></ul> | <h3>დამატებითი დოკუმენტები</h3> <ul style="list-style-type: none"><li>ოქმები</li><li>ეცევის მართვის გეგმა</li><li>ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა</li><li>კომპლექსური დავალება</li><li>ცნობიერების ამაღლების მხარდასაჭირად გამართული აქტივობები და კამპანიები</li><li>წერილობითი რეკომენდაციები</li><li>და ა.შ.</li></ul> |
|--|--|

როგორც ილუსტრაციაზე ვხედავთ, სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოში შესაძლებელია სხვადასხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

## ქცევის მართვის გეგმა

ქცევის სირთულეები მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის, თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და აკადემიური წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია. არასასურველ ქცევებთან გამკლავება, ქცევის პოზიტიური მართვა სკოლის პერსონალისთვის, მასწავლებლებისა თუ სპეციალური მასწავლებლებისთვის საკმაოდ დიდი გამოწვევაა. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, განვასაზღვროთ, რას ნიშნავს არასასურველი ქცევა. ქცევა პრობლემურია მაშინ, როდესაც ის აზიანებს ვინმეს ან რამეს, ხელს უშლის სხვებს ან თავად მოსწავლეს სასწავლო პროცესში მისი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებასა და თანამონაწილეობაში.

არასასურველი ქცევები შეიძლება ძალიან მრავალფეროვანი რეპერტუარით ვლინდებოდეს, როგორიცაა: ყვირილი, ნივთების დაზიანება, ტანტრუმი, სიტყვიერი ან ფიზიკური აგრესია, პროტესტი და ა.შ. როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არასასურველ ქცევებს ავლენს, დიდი რისკია, რომ ქცევა დაუკავშირდეს მის პიროვნებას. ქცევის სირთულეების მართვის უნივერსალური, ძირითადი სტრატეგიაა, გავმიჯნოთ მოსწავლის ქცევა და მისი პიროვნული მახასიათებლები ერთმანეთისგან. ამაში კი ქცევის ობიექტური, მიუკერძოებელი და არაინტერპრეტაციული აღწერა გვეხმარება.

ცხრილი 28. ქცევის აღწერის ნიშულები

| არასასურველი ქცევის ობიექტურად აღწერა  | არასასურველი ქცევის ინტერპრეტირება                                   |
|--|--|
| ნიკუშა გაკვეთილზე მასწავლებლის მიერ მიწოდებული დავალებისას ჩხაპნის რვეულს, ხევს და ისვრის იატაკზე; | ნიკუშა აპროტესტებს დავალებების შესრულებას და ცუდად იქცევა;           |
| ქეთო სკოლაში მოსვლისას წვება კართან, იატაკზე, ყვირის, ტირის და კბენს საკუთარ ხელს;                 | ქეთო აგრესიულია და თავს იზიანებს, რადგან არ მოსწონს სკოლაში სიარული; |

არასასურველი ქცევების იდენტიფიცირება, მათი აბიექტურად აღწერა ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს სპეციალისტისგან. შემდეგ ეტაპზე კი, მნიშვნელოვანი ხდება ქცევის მიზეზების გაგება. შეკითხვა, რომელიც სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა დასვას შემდეგია: რატომ იქცევა მოსწავლე ამგვარად? რატომ ავლენს არასასურველ ქცევებს? ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად სპეციალურ მასწავლებელს დაეხმარება ქცევაზე დაკვირვების ჩანაწერები, მათ შორის ABC ფორმატი, რომელიც შესაძლებელს ხდის ქცევის წინაპირობისა და შედეგის აღნუსხვასა და გაანალიზებას.

ქცევის პოზიტიური გაძლიერისთვის, განსაკუთრებით საყურადღებოა, სპეციალურმა მასწავლებელმა ამოიცნოს არასასურველი ქცევების უკან მდგომი უნარების განვითარების საჭიროება. მაგალითად, მოსწავლე კბენს თანატოლს მაშინ, როდესაც მის

ნივთს იღებენ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო გახდეს მოსწავლისთვის ნივთების გაზიარების უნარის გამომუშავებასა და სურვილების ასერტულად გამოხატვაში დახმარება.

თუ სპეციალურ მასწავლებელს უწევს მოსწავლის არასასურველ ქცევებზე რეაგირება, მისთვის სასურველი ქცევების ათვისებაში მხარდაჭერა, შესაბამისად, ქცევის მართვის გეგმის შედგენა, შესაძლებელია, რომ აღნიშნული დოკუმენტი აისახოს მის პორტფოლიოში.

ცხრილი 29. ქცევის მართვის გეგმის ნიმუში.

#### მოსწავლის სახელი, გვარი: ლ.ქ

ასაკი: 8 წლის

კლასი: პირველი

#### პირველი საფეხური: არასასურველი ქცევების ჩამონათვალი

ლ.ქ-ს ქცევის სირთულე გამოიხატება იმაში, რომ მიწოდებულ დავალებებს არ ასრულებს და დავალების შესრულებას თავიდან ირიდებს ქვემოთ ჩამოთვლილი ქცევებით.

- უშვებს ხმებს, ამბობს „არა, არა, ნიეტ“
- აყირავებს მერხს
- ისვრის კალმებს, ფანქრებს
- ჩხაპნის დავალებას, მერხს

#### მეორე საფეხური: სასურველი ქცევის განსაზღვრა

- ასრულებს მიწოდებულ დავალებებს - 2-3 სამუშაო ფურცელს მარტივიდან რთულისკენ
- გაკვეთილის განმავლობაში ზის მერხთან

#### მესამე საფეხური: არასასურველი ქცევის გაზომვა

სიხშირე: ნოემბრის თვეში აღნიშნული ქცევის სირთულეები ვლინდებოდა კვირაში დაახლოებით 4 ჯერ, ყველა გაკვეთილზე

ხანგრძლივობა: 1) ქცევის სირთულე ვლინდებოდა მეორე და მესამე გაკვეთილებზე (ნაკლებად პირველ გაკვეთილზე) დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში

#### მეოთხე საფეხური: ქცევის კონტექსტი

ლ.ქ უმეტესად გაკვეთილებზე დაკავებული იყო იმ აქტივობებით, რომელიც მას მოსწონდა და სიამოვნებდა, ასევე ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვდა მისი შესრულება, როგორიცაა გაფერადება, სახატავ რვეულში ხატვა. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც მასწავლებლის მიერ მიწოდებულ დავალებას არ ასრულებდა და მასწავლებელი მას აძლევდა ამის ნებას. თუ ლ.ქ. კლასში მერხთან მჯდარი გაჩერდებოდა, შეეძლო ან მისთვის სასურველი აქტივობა განეხორციელებინა ან არაფერი გაეკეთებინა. ამ პერიოდში ლ.ქ. კლასში იყო დამოუკიდებლად და მასწავლებლის თქმით, არ იყო სპეციალისტის ასისტირების აუცილებლობა. როდესაც ინსტრუქციების შეუსრულებლობის სიხშირემ იმატა, მასწავლებელი არ რთავდა ნებას ლ.ქ-ს, რომ ყოველთვის მისთვის სასურველი აქტივობით დაკავებულიყო, რამაც განაპირობა ქცევის სირთულეების გამოვლენა.

### **როდის, რა პირობებში ვლინდება არასასურველი ქცევა?**

როდესაც მერჩზე მასწავლებელი დავალებას დაუდებს ან როდესაც იწყებს დაფაზე წერას და ბავშვებმა უნდა გადაწერონ.

როდესაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმეცადინა (დაახლოებით 1 საათი).

### **როდის, რა პირობებში არ ვლინდება არასასურველი ქცევა?**

უმეტესად მაშინ, როდესაც ასრულებს ისეთ აქტივობას, რაც მას მოსწონს, გაფერადება, ხატვა.

როდესაც პირველი გაკვეთილია ან ახალი დაწყებული აქვს მეცადინეობა.

### **რა მოვლენები უსწრებს უშუალოდ მას წინ?**

ახალი დავალების მიცემა და დაწყებული აქტივობის შეწყვეტა. ასევე ისეთი დავალებების შესრულება, რომელიც უკავშირდება დაფილან გადაწერას.

**არასასურველი ქცევა წინ უსწრებს რაიმე ქცევას თუ მასთან ერთად ვლინდება? (მაგ: დავალებაზე მუშაობისას)?**

ორივე შემთხვევაში.

### **რა ფაქტორები შეიძლება ახდენდნენ გავლენას ქცევის შენარჩუნებაზე?**

ერთი აქტივობიდან მეორეზე ტრანზიციის/გადართვის სირთულე.

არასაკმარისი მოტივაცია დავალების შესრულებისათვის.

ინსტრუქციის გაგების სირთულე.

ყურადღების მიპყრობის სურვილი.

### **მეხუთე საფეხური: ქცევის ფუნქცია (რა მოთხოვნილებებს ემსახურება ქცევა)**

- თავის არიდება
- სენსორული სტიმულაცია
- ყურადღების მიღება
- რაიმე სარგებლის მიღება

### **მეექვსე საფეხური: განმამტკიცებლის შერჩევა**

**მატერიალური:** დედა ყიდულობს მისთვის ბანანს ან ბარნის

**აქტივობითი:** ბატუტზე ხტომა, ხატვა

**სოციალური:** გაღიმება, შექება, ზურგზე ხელის მოსმა

**გადაცვლითი:** სტიკერების დაგროვება

**აღწერეთ:** ლ.ქ.-სთვის შევიმუშავეთ დაგროვებითი სისტემა, გაკვეთილის განმავლობაში მან უნდა დააგროვოს 4 ღამურის, უთოს, მზის ან რობოტის სტიკერი და ოთხივეს დაგროვების შემთხვევაში, შეუძლია სასურველი აქტივობით დაკავდეს (ლ.ქ.-ს მასწავლებელი ან სპეციალური მასწავლებელი შესთავაზებს არჩევანს: ბარნი, ბურთზე ან ბატუტზე ხტომა)

### **მეშვიდე საფეხური: არასასურველი ქცევის ჩაქრობის სტრატეგია**

არასასურველი ქცევის გამოვლენისას ვერ იღებსწამახალისებულ სტიკერს (თუმცა არ აკლდება შეგროვებული), დავალებების შესრულებაში დახმარება

### **მერვე საფეხური: განმამტკიცებლის შემცირების სტრატეგია**

**რაოდენობრივი:** 4 სტიკერის დაგროვების გადანაწილება ორ გაკვეთილზე  
**თვისებრივი:** ინტეგრირებულ კლასში მეცადინეობის დროს დაგროვების სისტემის ნაცვლად,  
შეთანხმება ბატუტზე ხტუნვის მისაღებად.

## კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალება, რომელიც ადაპტირებული და მორგებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე, მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნაწილია. თითოეული საგნის გეგმაში წარმოდგენილია იმ კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვერსია, რომელიც კლასში ხორციელდება. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებელს ეხმარება და კონსულტაციას უწევს კომპლექსური დავალების მორგების შესაძლებლობებზე. ამავდროულად, საჭიროებიდან გამომდინარე, სპეციალური მასწავლებელი შესაძლებელია თავადაც იღებდეს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მონაწილეობას. ასეთ შემთხვევებში, სპეციალური მასწავლებლის მონაწილეობით შექმნილი კომპლექსური დავალება შესაძლებელია პორტფოლიოს ნაწილი გახდეს. სპეციალურმა მასწავლებელმა ადაპტირებული კომპლექსური დავალება შეიძლება წარმოადგინოს როგორც თემატური მატრიცის, ასევე კომპლექსური დავალების ბარათის სახით.

სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი ან ადაპტირებული კომპლექსური დავალება შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან: თემა ან მიმართულება, განხორციელების პერიოდი, გრძელვადიანი მიზნები, საკითხი ან საკითხები, კომპლექსური დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმები და დამუშავების ეტაპები.

თემა და მიმართულება მნიშვნელოვანია იყოს საერთო კლასში მყოფი ნებისმიერი მოსწავლისთვის, რადგან ამგვარადაა შესაძლებელი სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ხარისხიანი ჩართულობა და თანამონაწილეობა.

გრძელვადიანი მიზნების დასახვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის აუცილებელი წინაპირობაა აკადემიური წინსვლის ხელშეწყობისთვის. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- სამიზნე ცნება ნარჩუნდება სსსმ მოსწავლისთვის, შესაბამისად, მასწავლებელი თუ სპეციალური მასწავლებელი იმგვარად გეგმავს პროცესს, რომ დაეხმაროს მოსწავლეს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაში ცნებებთან მიმართებით;
- მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტებით შესაძლებელია სსსმ მოსწავლესთან გრძელვადიანი, საფეხურის ორიენტირების დასახვა. მკვიდრი წარმოდგენების ადაპტირება ხდება მათი რაოდენობის შემცირებით, შინაარსობრივი გამარტივებით, ახალი მკვიდრი წარმოდგენის ფორმულირებით ან ჩამოთვლილი გზების კომბინაციით;
- მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტება და მოსწავლის საჭიროებებზე მორგება თავისთავად ამცირებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ადაპტირებული მკვიდრი წარმოდგენებისა და

საგნობრივი სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია სსსმ მოსწავლისთვის უფრო კონკრეტული, სპეციფიკური წლიური მიზნების ფორმულირება;

კომპლექსური დავალება, რომელიც მორგებულია კონკრეტულ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე, წარმოადგენს როგორც მოკლევადიან მიზანს, ასევე ცოდნის, ნასწავლის დადასტურების გზას. კომპლექსურ დავალებაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს, რა პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ და რა უნდა ასახოს მის მიერ შექმნილ დავალებაში.

ცხადია, იმისთვის, რომ მოსწავლემ კომპლექსური დავალება განახორციელოს, საჭიროა თანმიმდევრული, გააზრებული აქტივობების დაგეგმვა, მრავალფეროვანი რესურსების შექმნა და შერჩევა, თითოეულ გაკვეთილზე მოსწავლის მხარდაჭერა იმ ცოდნის ათვისებაში, რასაც მოითხოვს კომპლექსური დავალების შესრულება. აქტივობები და რესურსები თემატური მატრიცის შუა სვეტშია წარმოდგენილი. ქვემოთ მოცემულია ნიმუში, რომელიც შექმნილია კონკრეტულ, მეშვიდე კლასელ სსსმ მოსწავლეზე საგანში ბიოლოგია.

ცხრილი 30. ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში

| <b>თემა:</b> მცენარეთა სამეფო   | <b>განხორციელების პერიოდი:</b> ნოემბერი  | <b>კომპლექსური დავალება</b>  |
|---|--|--|
| <p><b>გრძელვადიანი მიზნები</b></p> <p>სასიცოცხლო თვისებები</p> <p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს:</p> <p>1.ყველა ორგანიზმისთვის დამახასიათებელია სასიცოცხლო თვისებები: ზრდა-განვითარება, გამრავლება, კვება, სუნთქვა, გამოყოფა, მოძრაობა.</p> <p>2.სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს შორის შეიძლება იყოს როგორც მსგავსება, ასევე განსხვავებაც;</p> | <p><b>საკითხი/საკითხები: მცენარის კვება</b></p> <p>ეტაპები, აქტივობები, რესურსები</p> <p><b>1 ეტაპი - წინარე ცოდნის გაავტიურება</b></p> <p><b>აქტივობა 1.</b> გაიხსენე მცენარის ნაწილები</p>  <p><b>აქტივობა 2.</b> როგორ იკვებება ადამიანი? ჩამოთვალე, რას ჭამს ადამიანი? როგორ ჭამს? შენი საყვარელი საჭმელი რა არის? რა მოხდება, თუ ადამიანი არ შეჭამს?</p>  <p><b>აქტივობა 3.</b> როგორ სუნთქავს ადამიანი? გავიხსენოთ, ვის სჭირდება სუნთქვა</p> | <p>ჩამოთვალები და სუნთქავს მცენარე. შენ დაგჭირდება ფოთოლი ან მცენარე, ორი ქილა. ერთი ჩადე წყლიან ჭურჭელში და განათებულ ადგილზე დადე, მეორე ცარიელში და ბნელ ადგილას.</p> <p>გადაუდე სურათები და გამოფენაზე გვაჩვენე. აღწერე და შეადარე ერთმანეთს. ნაშრომმში წარმოაჩინე:</p> <p>1) რომელი ნაწილით</p> |

3. სასიცოცხლო  
თვისებები გარემო  
პირობებს  
უკავშირდება;

### მოსწავლემ უნდა შეძლოს:

1. შესწავლილი  
ცხოველების და  
მცენარეების  
დახასიათება  
სასიცოცხლო  
თვისებების  
მიხედვით (ზრდა,  
გამრავლება, კვება,  
სუნთქვა, მოძრაობა)
2. შესწავლილი  
ცხოველების და  
მცენარეების  
შედარება  
ერთმანეთთან 2-3  
სასიცოცხლო  
თვისების მიხედვით;
3. სასიცოცხლო  
თვისების (სუნთქვა  
და კვება)  
დაკავშირება  
გარემოსთან;

სუნთქვის დროს ადამიანი ჰაერს ჩაისუნთქავს და ამინისუნთქავს.



ჰაერის გარეშე ადამიანი ვერ ცოცხლობს. ჰაერი აუცილებელი  
ადამიანისთვის, ცოცხლისთვის, ურინველებისთვის და  
შეკრებისთვის.

ჰაერი წყალშიც არის. თევზები ჰაერით სუნთქავნ.



### ეტაპი 2. კომპლექსური დავალების დამუშავება

**აქტივობა 4. ადაპტირებული ტექსტი**  
მცენარე ცოცხალია, რადგან ის იზრდება,  
სუნთქავს და იკვებება. მცენარის ფოთლებს  
შეუძლიათ საკვები შექმნან. როცა მცენარეს  
მზე ანათებს, მის ფოთლებში წარმოიქმნება  
საკვები. ამ პროცესს ეწოდება **ფ თ ტ ო ს ი ნ თ ე ზ ი.**

ფოტოსინთეზის დროს მცენარე გამოყოფს  
**ჟანგბადს.** ჟანგბადი კი ადამიანს სჭირდება  
სუნთქვისთვის.



### აქტივობა 5. უპასუხე კითხვებს:

1. რა შეუძლია მცენარის ფოთლებს?
2. ფოტოსინთეზისთვის რა არის  
აუცილებელი?
3. ფოტოსინთეზის დროს რას უშვებს  
მცენარე?
4. როცა ფოტოსინთეზი არაა, როგორ  
სუნთქავს მცენარე?
5. ადამიანს რა სჭირდება  
სუნთქვისთვის?
6. რა ჰქვია საკვების შექმნის პროცესს?

სუნთქავს

მცენარე?

2) რომელი

ნაწილით

იკვებება


მცენარე?

3) რა სჭირდება

მცენარეს

კვებისთვის?

**აქტივობა 6. შემოხაზე, რა სჭირდება  
მცენარეს კვებისთვის**



### ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა

სწავლის ახალ საფეხურზე გადასვლა ნებისმიერი მოსწავლისთვის მნიშვნელოვან ცვლილებებთანაა დაკავშირებული. გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა პროფესიას დაეფლება მოზარდი სკოლის საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ, არ არის მარტივი. საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებში, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და არსებულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში მათ მხარდაჭერა სჭირდებათ, განსაკუთრებით კი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს.

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით ის პასუხისმგებელია მოამზადოს სსსმ მოსწავლე სასწავლო გარემოსთან დაკავშირებული ცვლილებებისთვის, სხვა სკოლაში ან განათლების სხვა საფეხურზე ტრანზიციისთვის. შესაბამისად, როდესაც ასეთი საჭიროება დგება, სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოში დამატებითი დოკუმენტაციის სახით მნიშვნელოვანია წარმოჩინდეს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა და უმტკიცნეულო ტრანზიციის პროცესის ხელშემწყობი, წინასწარ დაგეგმილი აქტივობები და ნაბიჯები.



ცხადია, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა მოითხოვს სკოლის სხვადასხვა რგოლის ჩართულობასა და პასუხისმგებლობების განაწილებას, ესენია: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი და ა.შ.

ცხრილი 31. იტე-ს ნიმუში

#### ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა (იტე) სკოლებისთვის

|   |                    |                    |                    |
|---|--------------------|--------------------|--------------------|
| სკოლა: 1001   | მოსწავლე: თ.კ.     | კლასი: 8           | თარიღი: 12/06/2021 |
| ძირითადი მიზანი: თ.კ. შეარჩევს მისთვის საინტერესო და შესაბამის პროფესიას და რამდენიმე (2-3) პროგრამას პროფესიულ სასწავლებელში.                          |                    |                    |                    |
| შუალედური მიზანი: თ.კ. ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოკვლევა;  |                    |                    |                    |
| დაგეგმილი აქტივობები  |                    |                    |                    |
| აქტივობა:   | პასუხისმგებელი:    |                    | ვადა:              |
| კლასის საათზე დამრიგებელი წერს დაფაზე ფრაზას “ჩემი მომავალი პროფესია” და სთხოვს მოსწავლეებს, დააფიქსირონ თავიანთი აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. | კლასის დამრიგებელი | ნოემბერი-დეკემბერი |                    |

|   |   |                      |
|---|---|----------------------|
| თანხმდებიან, რომ შემდეგ კლასის საათზე<br>მასწავლებელი გააცნობს მათ მიერ<br>დასახელებული პროფესიების მიმოხილვას<br>უფრო დეტალურად.   |   |                      |
| მოსწავლის ინტერესების აღმოსაჩენად<br>მშობელს, მასწავლებელს, დღის ცენტრის<br>წარმომადგენლებს მიეწოდებათ კითხვარი,<br>რათა შეგროვდეს მოსწავლის მიდრეკილებებისა<br>და ძლიერი მხარეების შესახებ ინფორმაცია  | სპეციალური<br>მასწავლებელი                  | დეკემბერი            |
| პროექტი - „ერთი კვირა - ერთი პროფესია“.<br>დამრიგებელი კვირაში ერთხელ<br>ვიდეორგოლების საშუალებით მოსწავლეებს<br>აჩვენებს ვიდეოს, სხვადასხვა პროფესიის<br>წარმომადგენლების შესახებ. ვიდეოს შემდეგ<br>უსვამს შეკითხვებს. მოსწავლეს აძლევს ბლანკს,<br>სადაც მან უნდა მონიშნოს რამდენად მოეწონა<br>ვიდეოში ნაჩვენები პროფესია და საქმიანობა. | მასწავლებელი,<br>სპეციალური<br>მასწავლებელი | იანვარი<br>თებერვალი |



## **ცხრილების სარჩევი:**

|   |     |
|---|-----|
| ცხრილი 1. ფორმალური და არაფორმალური მეთოდების შედარება.....                             | 9   |
| ცხრილი 2. შეფასების მეთოდების აღწერა .....  | 11  |
| ცხრილი 3. წერის უნარის შეფასების ფორმალური მეთოდები.....                                | 19  |
| ცხრილი 4. წერის უნარის შეფასების სირთულეები და პრევენციის გზები.....                    | 21  |
| ცხრილი 5. კითხვის უნარის შეფასების კითხვარი .....                                       | 34  |
| ცხრილი 6. კითხვის შეფასება - სიტყვების სია .....  | 35  |
| ცხრილი 7. კითხვის შეფასება - მონიშვნის სისტემა .....                                    | 36  |
| ცხრილი 8. თხრობის შეფასების რუბრიკა.....  | 41  |
| ცხრილი 9. თხრობის შეფასება - დაკვირვების ბლანკი.....                                    | 43  |
| ცხრილი 10. მათემატიკური უნარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება .....                     | 46  |
| ცხრილი 11. მათემატიკური უნარების შეფასება .....   | 47  |
| ცხრილი 12. ყურადღების უნარზე დაკვირვება .....   | 64  |
| ცხრილი 13. ყურადღების უნარის შეფასების კითხვარი .....                                   | 65  |
| ცხრილი 14. მეხსიერების მოცულობა .....   | 72  |
| ცხრილი 15. კოგნიტური განვითარების სტადიები .....  | 78  |
| ცხრილი 16. აზროვნების შეფასებისთვის საჭირო დავალებათა ტიპები .....                      | 80  |
| ცხრილი 17. ფიზიკური სფეროს განვითარების შეფასების კითხვარი.....                         | 91  |
| ცხრილი 18. სოციალური და ემოციური უნარების შეფასების კითხვარი.....                       | 94  |
| ცხრილი 19. ადაპტური სფეროს შეფასება.....  | 96  |
| ცხრილი 20. ინტერვენციის გეგმის ფორმა .....  | 99  |
| ცხრილი 21. ინტერვენციის გეგმის ნიმუში .....   | 103 |
| ცხრილი 22. სპეციალური მასწავლებლის როლი ისგ-ს შექმნისა და განხორციელების პროცესში ..... | 107 |
| ცხრილი 23. ნიმუში თვითშეფასების კითხვარიდან .....                                       | 111 |
| ცხრილი 24. სამოქმედო გეგმა .....  | 113 |
| ცხრილი 25. რუბრიკების 2 მიმართულება.....  | 115 |
| ცხრილი 26. სპეციალური მასწავლებლის განრიგი (სარეკომენდაციო ფორმა N 1) .....             | 118 |
| ცხრილი 27. სპეციალური მასწავლებლის განრიგი (სარეკომენდაციო ფორმა N 2) .....             | 122 |
| ცხრილი 28. ქცევის აღწერის ნიმუშები.....   | 125 |
| ცხრილი 29. ქცევის მართვის გეგმის ნიმუში.....  | 126 |
| ცხრილი 30. ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში .....                              | 129 |
| ცხრილი 31. იტგ-ს ნიმუში .....   | 131 |

## ილუსტრაციების სარჩევი:

|   |     |
|---|-----|
| ილუსტრაცია 1. შეფასების ციკლური პროცესი.....                                  | 10  |
| ილუსტრაცია 2. კითხვის პროცესის კომპონენტები .....                             | 26  |
| ილუსტრაცია 3. კითხვის აღმავალი და დაღმავალი მოდელი .....                      | 29  |
| ილუსტრაცია 4. ფონოლოგიური უნარები .....                                       | 31  |
| ილუსტრაცია 5. სიტყვის წაკითხვის პროცესი.....                                  | 32  |
| ილუსტრაცია 6. კითხვის სავარჯიშო - სიტყვა და სურათი.....                       | 37  |
| ილუსტრაცია 7. კითხვის სავარჯიშო - წინადადებება და სურათი.....                 | 37  |
| ილუსტრაცია 8. წაკითხულის შინაარსის გაგება.....                                | 38  |
| ილუსტრაცია 9. ადაპტირებული ტექსტი "თოვლის ბაბუა დნება" .....                  | 41  |
| ილუსტრაცია 10. "თოვლის ბაბუა დნება" მოთხოვობის ნახატები .....                 | 42  |
| ილუსტრაცია 11. ოპტიკური ილუზია.....   | 50  |
| ილუსტრაცია 12. აღქმა - გადაფარული ობიექტების სავარჯიშო.....                   | 56  |
| ილუსტრაცია 13. დაფარული ობიექტის მთლიანობით აღქმის სავარჯიშო .....            | 56  |
| ილუსტრაცია 14. ყურადღების ფუნქციონირება .....                                 | 60  |
| ილუსტრაცია 15. ყურადღების სავარჯიშო - ვიზუალური ელემენტის სწრაფად პოვნა ..... | 66  |
| ილუსტრაცია 16. ყურადღების სავარჯიშო - სიმბოლოების შესაბამება .....            | 68  |
| ილუსტრაცია 17. ყურადღების სავარჯიშო - სმენით ინფორმაციაზე ფოკუსირება .....    | 68  |
| ილუსტრაცია 18. მეხსიერების ძირითადი ეტაპები .....                             | 70  |
| ილუსტრაცია 19. მეხსიერების სავარჯიშო - სიტყვების დამახსოვრება .....           | 75  |
| ილუსტრაცია 20. კოგნიტური უნარების ურთიერთკავშირი .....                        | 77  |
| ილუსტრაცია 21. განსხვავება კლასიფიკაციასა და კატეგორიზებას შორის .....        | 79  |
| ილუსტრაცია 22. ენის კომპონენტებისა და ელემენტების მოდელები. ....              | 86  |
| ილუსტრაცია 23. სოციალური და ემოციური უნარების კლასიფიკაცია.....               | 92  |
| ილუსტრაცია 24. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნაწილები .....                   | 98  |
| ილუსტრაცია 25. Smart მიზნების განმარტება .....                                | 101 |
| ილუსტრაცია 26. თვითშეფასების კითხვარის 3 მიმართულება .....                    | 110 |
| ილუსტრაცია 27. სამოქმედო გეგმის ნაბიჯები.....                                 | 114 |
| ილუსტრაცია 28. შეჯამების ნიმუში.....  | 115 |
| ილუსტრაცია 29. სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები..... | 124 |

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. A Beginning Teacher's Guide to Special Educational Needs, Janice Wearmouth, 2009
2. Research and Evaluation Methods in Special Education, Donna M. Mertens, John A. McLaughlin, 2004
3. Teachers' Guide To Assessment, ACT Government Education, 2016
4. Leading the Way to Assessment for Learning: A Practical Guide, 2nd Edition, Davies, A., et al. 2012
5. Understanding Assessment in the Special Education Process, Roger Pierangelo, George Giuliani, 2008
6. Assessing Learners with Special Needs, An Applied Approach, Terry Overton, 2016
7. Assessment of attention in school children: teachers' ratings related to tests of attention, TIMOTHY C. PAPADOPOULOS, J. P. DAS, H. M. NELLY KODERO and VERONICA SOLOMON, 2002
8. Assessment of Reading Comprehension, Madani Jabib, 2016
9. The Development of a New Test for Consecutive Assessment of Narrative Skills in Iranian School-Age Children, Zahra Soleymani, Shohreh Jalaie, 2020
10. The Effect of a Narrative Intervention on Story Retelling and Personal Story Generation Skills of Preschoolers With Risk Factors and Narrative Language Delays, Trina D. Spencer, Timothy A. Slocum, 2010
11. Standards for the Assessment of Reading and Writing, International Reading Association, 2010
12. Strategies for Teaching Students with Learning and Behavior Problems, Sharon R. Vaughn, Candace S. Bos, 2015
13. Theoretical Models and Processes of Reading, Donna E. Alvermann, Norman J. Unrau, Robbert B. Ruddell, International Reading Association, 2013
14. What Research Has To Say About Reading Instructions, S. Jay Samuels, Alan E. Farstrup, International Reading Association, 2011
15. Essentials of Special Education, Catherine Lawless Frank, Stephen B. Richards, First published 2021 by Routledge
16. Identifying Special Needs, Checklists for profiling individual differences, Second edition, Glynis Hannell, Second edition published 2014 by Routledge
17. Vygotsky and Special Needs Education, Rethinking Support for Children and Schools, H. Daniels, M. Hedegaard, 2011
18. Teaching Students with Language an Communication Disabilities, S. JAY KUDRE, Fifth Edition, Pearson, 2018
19. Special education in Finland: A system beyond the uniformity of a globalized ideal. Anastasiou, D., & Keller, C. E, 2010
20. Cognitive Psychology, Michael W. Eysenck; Mark T. Keane, 2000
21. Cognitive Psychology, Nick Braisy; Angus Gallatly, 2005
22. Teaching Students with Language an Communication Disabilities, S. Jay Kuder, Pearson, 2018
23. Attention, Perception and Memory, Elizabeth A. Styles, 2005
24. The silver Drawing Test and Draw a Story, Assessing Depression, Aggression and Cognitive Skills, Rewlet Silver, 2007

25. Classroom Assessment for Students in Special and General Education, Cathleen G. Spinelli, Pearson, 2012
26. Language Disorders, Rhea Paul; Courtenay F.Norbury, Elsevier, 2012
27. „მასწავლებლის პორტფოლიო - გზა წარმატებისაკენ ინკლუზიურ განათლებაში“. ლადიძე, ა. ფილაური, ქ. თბილისი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013.;
28. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანება, სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი
29. კოგნიტური ფსიქოლოგია , მ. წერეთელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012
30. მეხსიერების ფსიქოლოგია, დ. ფარჯანაძე,
31. განვითარების ფსიქოლოგია, მ. მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
32. ბავშვის განვითარება, ლ. ბერკი, 2010
33. კოგნიტური ფსიქოლოგია, დ. ფარჯანაძე,
34. პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016
35. სასწავლო აქტივობები ყველასათვის, მ. ბაგრატიონი - გრუზინსკი, ქ. კვაჭაძე, რ. ლორთქიფანიძე, ნ. გაჩეჩილაძე, გაეროს ბავშვთა ფონდი, ვორლდ ვიუენ საქართველო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
36. ლევ ვოგოტსკის სოციო-კულტურული თეორია, მ. მელიქიშვილი, 2012
37. კოგნიტური ფსიქოლოგია, დ. ფარჯანაძე,
38. ინკლუზიური განათლების გზამკვლევი - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ლ.ქურციკიძე, მ. ბაგრატიონი - გრუზინსკი, შ.ტყეშელაშვილი, 2021
39. ადრეული ბავშვობა და ტრანზიცია სკოლაში, მ. ბაგრატიონი- გრუზინსკი, ც. ბარქაია, მ. წულაძე, მ. ხვადაგიანი, ქ.კვაჭაძე, მ. ზაქარეიშვილი, ვ. მიდელაური, 2019
40. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება, მ. ბაგრატიონი - გრუზინსკი, 2020
41. სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, შ. ტყეშელაშვილი, 2021

